

ბიულეტენი

№ 56
2001
ივნისი

საქართველოს
სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი



ISSN 1512-0813

☐

საერთაშორისო ბარორიზმი

☐

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის
ფორმირება და შეიარაღებული ძალების
დაგეგმვა

☐

საქართველოს ეროვნული უშიშროების
ასაქმები ქვეყნის უშიშროების საკითხებზე
შეფხედო უახლეს დოკუმენტთა ძირითადი

☐

დემოკრატიული სახელმწიფოების სავაჭრო
(კონტრსადაზიარებო) სამსახურების სამართლებრივი
საფუძვლებისა და მათი სამიანოების კონტროლის
მეცნიერების შესახებ

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

C 02 - 00948

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი**

ზვიად ჩხაიძე

საერთაშორისო ტარორიზმი..... 2

მამუკა ნაზიერიძე

**ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმირება
და შეიარაღებული ძალების დაგეგმვა ----- 27**

თემურ კეკელიძე

**საქართველოს ეროვნული უშიშროების ასაქმები ქვეანის უშიშროების
საპრობლემო შემთხვევით უსაფრთხოების დოკუმენტთა ჭრილობი..... 39**

გურამ რეხვიაშვილი

**დემოკრატიული სახელმწიფოების სპეციალური (კონტრსადაზვარყო)
სამსახურების სამართლებრივი საფუძვლებისა და მათი საქმიანობის
კონტროლის მექანიზმის შესახებ 46**

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG



C 02 - 00948

საერთაშორისო ბაზარიზმი

ზვიად ჩხაიძე

ტერორიზმი - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შიშს, საშინელებას. თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მთავარი სხვა აქტუალური, გადაუჭრელ პრობლემაა შორის ტერორიზმით გამოწვეულ ეკონომიკური, პოლიტიკური და რაც მთავარია, ადამიანურ დანაკარგებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. დღეისათვის ფაქტიურად არ არსებობს რეგიონი ან ქვეყანა, რომელიც ტერორიზმის ზეგავლენას არ განიცდის.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის „საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ მოხსენების“ თანახმად, დღეისათვის მსოფლიოში მოქმედებს 500-მდე მსხვილი ტერორისტული ორგანიზაცია. მათ გააჩნიათ მჭიდრო კონტაქტები ერთმანეთთან, რაც ინფორმაციის გაცვლაში, ტერორისტული აქტების მომზადებასა და მათ ფინანსურ უზრუნველყოფაში გამოიხატება. ამასთან, უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო საშუალო ფორმას იღებს ტერორისტების გააქტიურება და ფინანსების წყაროების მოპოვების მიზნით საერთაშორისო ნარკობიზნესისა და იარაღით ვაჭრობის სფეროში.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტერორისტული დაჯგუფებების სტრატეგია ძირითადად შეიცვალა და მხოლოდ ტერორისტული აქტების მოწყობით არ შემოიფარგლება. „ირაკ“-ს, „ხამას“-ს, „ეტა“-ს და სხვა ტერორისტული დაჯგუფებების საქმიანობას გააჩნია, როგორც ტერორისტული ასევე პოლიტიკური ელფერი (უზრუნველყოფენ სოციალურ საკითხებს, დაკავებული არიან ბიზნესით, მონაწილეობას იღებენ არჩევნებში). „მრიმის ასეთი განაწილება“ საშუალებას აძლევს ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, უარყონ თავიანთი მონაწილეობა ტერორისტულ აქტებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკოსები ყოველთვის ვერ განმარტდებიან შეიარაღებულ დაჯგუფებებს, ებნადან ისინი დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვიან.

არსებობს ტერორიზმის რამდენიმე განსაზღვრა, რომელთაგან არცერთი არ არის უნივერსალური:

ტერორიზმი არის ძალადობა, რომელსაც პოლიტიკური მიზნები გააჩნია, გამოძალკის, იძულების, დაშინების მეთოდით ტერორისტები ცდილობენ პიროვნებებს ან პირთა ჯგუფებს შეაკვლევინონ თავიანთი მოქმედების ნებსები;

ტერორიზმი ნიშნავს წინასწარ

განზრახულ, პოლიტიკურად მოტივირებულ დანაშაულებრივ ქმედებას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას (ტერორიზმი მშვიდობიანი მოსახლეობა გამოყენებულია, როგორც მოქალაქეების ასევე იმ სამხედრო პირების მიმართ, რომლებიც მოცემულ მომენტში განიარაღებულნი არიან ან სამხაზურეობრივი მოკავლეობის შესრულების პროცესში არ იმყოფებიან);

ტერორისტული აქტი შედგება არაქანონიერი თავდასხმებისაგან და მუქარებისაგან ადამიანთა მიმართ და მისი მიზანია არასასურველი პოლიტიკური ძალაუფლების შესუსტება. ტერორიზმი საერთაშორისო ტერორიზმში გადაიზრდება მაშინ, როდესაც მსხვერპლი, ინციდენტის ადგილმდებარეობა და აზრი, რომელიც მიზნად ისახავს ტერორისტული აქტების გატარებას, ერთზე მეტ ქვეყანას მოიცავს;

ტერორიზმი არის ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა ფიზიკური პირების ან ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომელიც იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, მნიშვნელოვან ქონებრივ ზარალს ან სხვა საზოგადოებრივ მნიშვნელობის მქონე საშუალებების შეჭმას, რაც მიზნად ისახავს სუბიექტის უსაფრთხოების ხელყოფას, მოსახლეობის დაშინებას ან სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებულ კანონებზე ისეთი ზემოქმედების მოხდენას, რომელიც აკმაყოფილებს ტერორისტების პოლიტიკურ, ქონებრივ თუ სხვა ინტერესებს.

ტერორიზმი თავისი ხასიათის მიხედვით შეიძლება იყოს:

რევოლუციური და კონტრრევოლუციური;

სუბერსიული და რეპრესიული; პირველი მიმართულია არსებული სისტემის დესტაბილიზაციისაკენ ან სრული განადგურებისაკენ. მეორე, პირიქით, მისი გაძლიერებისაკენ.

ფიზიკური და სულიერი; ფიზიკურში შედის მკვლელობა, ადამიანთა გატაცება, მძევლების აყვანა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სულიერი - ფიზიკურის დანაშაულებრივად, რომელიც გამოიხატება განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანების დევნაში.

სელექციური და ბრმა; პირველი მიმართულია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის, ხოლო მეორე შემთხვევითი ადამიანების წინააღმდეგ.

პროვოკაციული; სამიზნეს პროვოცირება კონტრზომების მისაღებად.

პრევენტიული; განვითარების პროცესისათვის ხელის შეშლა.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩადენილი ტერაქტების დიფერენციაციას, მათ მოქმედებს გარკვეული კლასიფიკაციის ჩარჩოებში, რათა შემოკლებულ იქნას ინდივიდუალური მიდგომა ტერორიზმის თითოეული სახეობის წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო ფორმის შერჩევისათვის. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია, რადგან ძნელია ზღვრის გავლება ერთის მხრივ, ტერორიზმსა და ბანდიტიზმს და მეორეს მხრივ, თავისუფლებისათვის მეტძოლუ შეიარაღებულ ფორმირებებს შორის, მითუმეტეს, რომ ტერორიზმის ერთი რომელიმე სახეობა მრავალად შეიცავს სხვა სახეობისათვის დაშინებით ნიშნებს. ამას შედეგად უაღრესად რთულდება ტერორიზმის სახეობათა კლასიფიკაცია, მაგრამ გარკვეული მახასიათებლებით, როგორიცაა ტერორიზმის წარმოშობის ფესვები, მიზნები და მასშტაბები, აღნიშნულ კლასიფიკაციას შემდეგი სახეობები:

1. კრიმინალური ტერორიზმი. ამ სახეობას ფესვები თვით ადამიანში და იმ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში აქვს, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. სუსტი მორალური და ზნეობრივი მდგარადობის ინდივიდი ეკონომიკური პრობლემების დაჭერის შემთხვევაში ინდივიდუალურად ან თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებების და მძევლების აყვანას ფულის გამოძიების მიზნით.

ასეთი სახის ტერაქტის ჩამდენი არ ისახავს პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ან რაიმე სხვა მიზნებს, გარდა ფულის გამოძიებისა. როგორც წესი ამგვარი დანაშაულის ჩამდენი კრიმინალური წარსლის მქონე პირები არიან და ზოგიერთ შემთხვევაში წარმოადგენს ალკატონს.

გამონაკლის შემთხვევაში, ანალოგიურ მეთოდებს მიმართავენ ორგანიზაციები, რომლებშიც ძირითადად ერთიანდებიან ყოფილი სამხედრო პირები. ისინი არ მიეკუთვნებიან რომელიმე პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ მიმდინარეობას და ტერაქტების განხორციელებით ირჩებიან თავს. ასეთი ორგანიზაცია არსებობს ნიკარაგუაში „რევოლუტარასის“ (ახალი კონტრასის) სახელწოდებით და მასში შედიან შტატების შემცირებაში მოყოლილი სანდანისტური არმიის სამხედრო მოსამსახურეები.

2. დიქტიურად და დავადებულთა და

განდიდების მანიით შეპყრობილ პირთა ტერორიზმი. არცთუ იშვიათად ტერაქტებს ჩადიან ფსიქიური გადახრების მქონე პირები, რომლებიც ავადმყოფური წარმოსახვის შედეგად ან განდიდების მანიით შეპყრობილი (პეროსტატის კომპლექსი) თავს ესხმიან გამოჩენილ პიროვნებებს (ანსამბლი „ბითლზი“-ს მომღერალის ჯონ ლენონის მკვლელობა 1979 წელს. ჯონ ჰინკლის მიერ აშშ-ს პრეზიდენტ რონალდ რეიგანზე თავდასხმა 1981 წელს).

3. იდეოლოგიური ტერორიზმი. დემოკრატიულ სანქსიებზე აგებულ სახელმწიფოებში იდეოლოგიური (რევოლუციური და რელიგიურ-ფანატიკური) სახის ტერორიზმის ფესვები გადგმულია იმ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის პრობლემებში, რომელთა აღმოფხვრა ცივილიზებული ფორმით შესაძლებელია. დემოკრატიული სახელმწიფოებში ამგვარი სახის ტერორიზმი წმინდა დანაშაულებრივ და ფსიქოპათურ ხასიათს ატარებს. ტერორისტების მიზანს წარმოადგენს ძალის გამოყენებით ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი წყობის შეცვლა საკუთარი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური მხედველობის მიხედვით ან პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ფიზიკური განადგურება. მიუხედავად ტერორისტების მიერ მოწყობილი უამრავი ტერაქტისა და მის შედეგად გამოწვეული მრავალრიცხოვანი ადამიანთა მსხვერპლისა, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მათ საქმიანობას წარმატება არ მოჰყოლია და თავიდანვე მარცხისთვის იყო აღწერილი, რადგან ასეთ ორგანიზაციებს არასოდეს არ ჰქონიათ რაიმე სოციალური ბაზა, რომელზეც დაყრდნობითაც ისინი საკუთარ მიზანს მიაღწევნ. სამწუხაროდ ასეთი ტერორიზმის მასშტაბები ფართოა, თუმცა სწორედ ზემოთ აღნიშნული მასშტაბები წარმოადგენს მათ „აქტიუგის ქუსლს“, რაც საშუალებას იძლევა გატარებულ იქნას კონკრეტული ღონისძიებები ტერორისტების წინააღმდეგ. ეფექტურ შედეგს იძლევა პოლიტიკური და კონტრდაზვერვითი მეთოდების გამოყენება.

იდეოლოგიურ (რევოლუციური და რელიგიურ-ფანატიკური) პრინციპებზე აგებული ტერორისტული ორგანიზაციების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია შემარტყნენ (პროკომუნისტური) პოლიტიკური მხედველენები, თუმცა ასეთი ორგანიზაციებისაგან ლეგალური კომუნისტური პარტიები (გდლიობენ თავი შორს დაიჭირონ და მუდამ ემიგრებიან მათ. თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური სისტემის მარცხმა სერიოზული დარტყმა მიაყენა მემარტყნენ მხედველობების მქონე ტერორისტულ ორგანიზაციებს, რის შედეგადაც მათი აქტიუობა საგრძნობლად შემცირდა. სამაგიეროდ, წინა პლანზე წამოიწია რელიგიურ-ფანატიკურმა ტერორიზმმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა „წინასწარმეტყველთა“ ქადაგების

შედეგად სექტების წევრთა მიერ მოწყობილი ტერაქტები.

იდეოლოგიური სახის ტერორიზმი მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში არსებობდა. ასეთმა ტერორიზმმა პიკს 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში მიაღწია, თუმცა როგორც შემოღობილი ადგილის კომუნისტური წყობის კრახმა და მის შედეგად, მსოფლიოში მომხდარმა კორდინალურმა ცვლილებებმა იდეოლოგიური ტერორიზმს ყველაფერი საფუძველი გამოაცალა და მან აშკარა რევრესი განიცადა. განვითარებული სხვადასხვა დემოკრატიულ ქვეყანაში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციები და მათ მიერ ჩადენილი ყველაზე გახმაურებული ტერაქტები:

საფრანგეთი. „უშუალო მოქმედება“ (აქსიონ დირექტ-AD) - გამოდის მემარცხენე, პროკომუნისტური, ანტიიმპერიალისტური ლოზუნგებით; პირველად არსებობის შესახებ განაცხადა 1979 წელს. ყველაზე გახმაურებული ტერაქტები: 1980 წელს ქ.სოლის აეროპორტის აფეთქება, რის შედეგადაც დაიჭრა 8 ადამიანი; 1986 წელს „რენო“-ს გენერალური დირექტორის ყოფილ ბესას მკვლელობა.

გერმანია. „ნათელი არმიის ფრაქცია“ (RAF) - გამოდის მემარცხენე, პროკომუნისტური, ანტიიმპერიალისტური ლოზუნგებით; პირველად არსებობის შესახებ განაცხადა 80-იანი წლების მიწურულს. დაარსა ადგილობრივი პირველი ყველაზე გახმაურებული ტერაქტები: გერმანელი ყველაზე პანს მარტივი ბლეირის მკვლელობა 1977 წლის ოქტომბერში; აშშ-ს V საარმიო კორპუსის შტაბის აფეთქება 1972 წელს ქ. ფრანკფურტში. ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ულრიკ-მარია მაინოფმა და ანდრეას ბაადერმა თავი ჩამოირჩვეს სასამართლო პროცესის დაწყებამდე.

„რევოლუციური უფრადები“ - გამოდის ანალოგიური ლოზუნგებით. პირველად არსებობის შესახებ განაცხადა 1973 წელს.

იტალია. „ნათელი ბრძანებები“ - პროკომუნისტური დაჯგუფება. პირველად განაცხადა არსებობის შესახებ 1970 წელს. ყველაზე გახმაურებული ტერაქტები: პრემიერმინისტრ ალდო მორის მკვლელობა 1978 წელს. ავიაციის გენერალ ჯორჯიონის მკვლელობა 1987 წელს. ბოვიკოთა საერთაშორისო დაჯგუფება 100-ს არ აღემატება.

საბერძნეთი. „სახალხო რევოლუციური ბრძოლა“ (ELA) - პროკომუნისტური ტერორისტული ორგანიზაცია. არსებობის შესახებ განაცხადა 1974 წელს. განახორციელა დაახლოებით 3200 ტერაქტი.

„17 ნოემბერი“ - მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაცია. შეიქმნა 1988 წელს. მის შემადგენლობაში 20-25 წევრი. მოქმედებს ძირითადად საბერძნეთში არსებული აშშ-ს წარმომადგენლობების წინააღმდეგ.

აშშ. „სახალხო ლაშქარი“ - უკიდურესად მემარჯვენე პარტიკულარის გაერთიანება. მოქმე-

დებს თითქმის ყველა შტატში. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა მიჩიგანის და არიზონას შტატებში. 1995 წლის 19 აპრილამდე არ ეწოდებოდა ტერორისტული საქმიანობა. 1995 წელს გადაადგარდა სერჟანტმა ტიმოთი მაქვეიმ მოანყო აშშ-ს ისტორიაში ყველაზე გახმაურებული ტერაქტი.

კლამპომა სიტის ფედერალური შენობის აფეთქების შედეგად დაიღუპა 167 ადამიანი. მაქვეიმ არ იყო რომელიმე კონკრეტული ტერორისტული ორგანიზაციის წევრი, მაგრამ საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა „სახალხო ლაშქარის“ წევრებთან და იზიარებდა მათ შეხედულებებს ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის თაობაზე.

იაპონია. „აუმ სინრიკო“ - რელიგიური ტერორისტული ორგანიზაცია, დაარსა სიოკო ასაკარამ. 1975-97 წლებში სექტა იაპონიის გარდა მოქმედებდა რუსეთსა და აშშ-ში, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებას ნებართვით გახსნილი ჰქონდა ფილიალები. სექტა აერთიანებს დაახლოებით 10 000 წევრს.

ყველაზე გახმაურებული ტერაქტები: 1995 წლის 20 მარტს იაპონიის მეტროს 16 სადგურში სექტის წევრებმა გამოიყენეს მომწამლავი აირი „ზარინი“. დაიღუპა 8 კაცი და დაახლოებით 5000 ადამიანი იქნა მოსპობილი ზირებული. ძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ სექტას ჰქონდა ნერვულ-პარალიტიკური გაზ „ზარინის“ დიდი მარაგი, ასევე გაიწვია დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი და საბჭოური წარმოების ვერტიკალი. ამჟამად სექტის ლიდერი დაპატიმრებულია.

„იაპონიის ნათელი არმია“ - შედარებით მცირე, მაგრამ ფანატიკურად განწყობილი და კარგად ორგანიზებული მემარცხენე ორიენტაციის მქონე ორგანიზაცია. მის იდეოლოგიას წარმოადგენს მარქსიზმის და ტრადიციული იაპონური მილიტარიზმის ნარევი უკიდურესი ფორმებით. დაარსდა 70-იანი წლების დასაწყისში. კავშირი აქვს პალესტინის და დასავლეთ ევროპის ტერორისტულ ფორმირებებთან. 1972 წელს ორგანიზაციის წევრებმა გაიტაცეს იაპონიის ავიაკომპანიის თვითმფრინვა. 1974 წელს განახორციელეს ტერაქტები კომპანია „შელის“ ნავთობმომწოდებლის სანარმოს წინააღმდეგ სინგაპურში, იაპონიის საელჩოს წინააღმდეგ ქუეყთში და საფრანგეთის საელჩოს წინააღმდეგ პოლანდიაში.

4. დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებული ორგანიზაციების ტერორიზმი. ამ სახის ტერორიზმი ყველაზე მეტად გავრცელებულია ლათინური ამერიკის დიქტატორულ ქვეყნებში. მასში საკმაოდაა იდეოლოგიური ტერორიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ განსხვავდება მასშტაბით, რადგან ასეთ ორგანიზაციებს გარკვეული დასაბრუნებელი აქვთ მოსახლეობის რომელიმე ნაწილში და ეწვიან სამოქალაქო ომს ტერორისტული ხერხების გამოყენებით არსებული რეჟიმის დასაპყრობად.

იდეოლოგიური ტერორიზმისგან განსხვავებით აჯანყებულთა ორგანიზაციების წინააღმდეგ პოლიციური მეთოდების გამოყენება შეუძლებელია, ამიტომ აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისუფლებას ჩაბმული ჰყავს ერთგული სამხედრო შენაერთები, რის შედეგადაც სამოქალაქო ომი კიდევ უფრო მძვავდება და შესაბამისად იზრდება ადამიანთა მსხვერპლიც. ასეთი კონფლიქტიდან გამოსავლის იდეალური პირობაა ქვეყანაში დემოკრატიული წყობილების დამყარება არჩევნების მოწყობით. აჯანყებულთა ორგანიზაციები ლათინურ ამერიკაში დაფინანსების წყაროების მოსაპოვებლად ხშირ შემთხვევაში ჩაბმული არიან ნარკობიზნესში.

თავის მხრივ ნარკომაფია დაინტერესებულია ასეთ ორგანიზაციებთან კონტაქტებით, რადგან მათი ხელშეწყობით მნიშვნელოვნად უიოლდება დამაშალეობრივი საქმიანობის წარმართვა. ამგვარი კონტაქტების შედეგად კი ისაა, რომ აჯანყებულთა იდეებიდან წმინდა კრიმინალური საქმიანობაღარჩება.

კოლუმბია. „M-19“ - მემარცხენე ტერორისტული დაჯგუფება. ყველაზე გახმაურებული ოპერაცია: 1985 წელს ხელში ჩაიგდეს მართლმადიდებლების სასახლე ბოგოტაში. დაიღუპა 100 ადამიანი. „M-19“-ის ლიდერებს მჭიდრო კავშირები აქვთ კოლუმბიელ ნარკობიზნესმეწიეებთან და სამართალ მოქმედებებით ხელს უწყობენ მათ დასაშალეობრივი ოპერაციების განხორციელებაში. „M-19“ წარმოადგენს ლათინურ ამერიკაში გავრცელებული ტერორიზმის ტიპური წარმომადგენელი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ნარკობიზნესთან და პირველადი მიზანი - დიქტატორის წინააღმდეგ ბრძოლა, შორმადღაა გამოყენებული კრიმინალური საქმიანობის საწარმოებლად.

ურუგვაი. „ტუპაკ ამარუ“ - ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც მემარცხენე შეხედულების ლოზუნგებით ფარავს თავის კრიმინალურ საქმიანობას. დაარსდა 1965 წელს. თავისი არსებობის მანძილზე აშკარად დაამტკიცა, რომ მის პროგრამას დასაქმიანობის შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. ამორცოდებს თავდასხმებს პასეკებსა და კაზინოებზე. მისმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები და ხელი შეუწყო ხელისუფლების სათავეში სამხედრო ხუნტის მოსვლას.

პერუ. „სენდერო ლუმინოსო“ (ნათელი გზა) - ბოლო პერიოდამდე ითვლებოდა მსოფლიოს უდიდეს ტერორისტულ ორგანიზაციად. 1980 წელს დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. გამოდიოდა მაონისტური ლოზუნგებით, ტერორში ამყოფებდა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 2/3-ს. ორგანიზაციის განადგურება დაიწყო მისი ლიდერის აბიმედი გაუსამანის დაპატიმრების და დიქტატორ ფუხიმორის მიერ ორგანიზაციის წინააღმდეგ

დაწყებული დაუნდობელი ბრძოლის შემდეგ.

გვატემალა. „შეიარაღებული რევოლუციური ძალები“ - უდიდესი მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაცია. დაარსდა 1960 წელს. დაარსების დღიდან ბრძოლას ეწევა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ხნის მანძილზე დაიღუპა დაახლოებით 200 ათასი ადამიანი. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისუფლება აქტიურად იყენებს ტერორისტულ ორგანიზაციებს „თეთრი ხელი“ და „სიკვდილის ესკადრონები“.

ნიკარაგუა. „კონტრასი“ - 1979-90 წლებში პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდნენ ნიკარაგუას სანდანიტური მთავრობის წინააღმდეგ. ორგანიზაციის ბირთვს წარმოადგენს დიქტატორ სომოსას არმიის ყოფილი ოფიცრები და ჯარისკაცები. აქტიურად ეხმარებოდნენ აშშ-ს სპეცსამხაზურები (ირან-კონტრასის საქმე).

5. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ტერორიზმი (სეპარატისტული ტერორიზმი). აღნიშნული ტერორიზმის ფესვები მჭიდროდაა გადახლართული სეპარატისტთან და აქვს მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური შინაარსი.

შემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ამ სახის ტერორიზმს ანიჭებს უაღრესად აგრესიულ ხასიათს და წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ გადამწყველ პრობლემას. სეპარატისტული ტერორიზმის მასშტაბებისა და მოქმედების ფართო არეალის გამო საკითხის გადაწყვეტის საშუალებები დღეს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის განვითარებასა და ტენდენციებში. როგორც სეპარატისტული სენტიმენტების ქვეყნების ისტორია გვაჩვენებს, სახელმწიფოს მხრიდან ადექვატური ზომების მიღება მხოლოდ ზრდის ადამიანთა მსხვერპლს ორივე მხრიდან და დროებით მოპოვებული წარმატების შემდეგ უფრო მეტი სიხშირითა და სისასტიკით ახლდება ტერაქტთა სერია.

ტერორისტული სეპარატისტების წინააღმდეგ სახელმწიფოები აქტიურად იყენებენ არა მარტო პოლიციას და რევოლუციურ ჯარებს, არამედ სპეცსამხაზურებსაც, რომელთა დახმარებით აწარმოებენ დაზვერვით საქმიანობას. სეპარატისტები მიდევნებდნენ აქვთ გადგებული ფესვები მოსახლეობის გარკვეულ ფენებში (რელიგიური ან ეროვნული ნიშნის მიხედვით), რომ მოკლდემის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოგვარების გარეშე შეძლებული ხდება ტერორისტული საქმიანობის აღკვეთა.

ჩრდილოეთი ირლანდია. „ირლანდიის რესპუბლიკური არმია“ (IRA) - კათოლიკეების შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც გამოდის ოლსტერის ირლანდიასთან შეერთების ლოზუნგით. არსებობის შესახებ განაცხადა 1914 წელს. 1969 წლიდან ეწევა ტერორისტულ საქმიანობას. 1994 წლის 31 აგვისტოდან მიღწეული შეთანხმების შედეგად გამოაცხადა მორატორიუმი ტერაქტების

შენწყვეტის თაობაზე. 1996 წლის 9 თებერვალს განახალა საქმიანობა ინგლისისადმი წაყენებული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო. აქვს ლეგალური პოლიტიკური ფრთა „შინ ფინი“, რომელიც გამოდის ერთიანი ირლანდიის და ბრიტანეთის არმიის ოლსტერისგან გამოყენების იდეით. ლიდერი ჯერი ადამსი.

„ირლანდიის გამათავისუფლებელი არმია“ - კათოლიკური სამხედრო დაჯგუფება, გამოვეო ირალ-70-იან წლებში. გამოირჩევა განსაკუთრებული სისასტიკით. 1992 წელს მათ მიერ დისკოთეკაზე მოწვევით ტერაქტის შედეგად დაიღუპა 17 ადამიანი.

კათოლიკე სეპარატისტების წინააღმდეგ მათივე მეთოდებით აქტიუღეს იბრძვის პროტესტანტები, რომლებიც გამოდიან ჩრდილოეთ ირლანდიის ბრიტანეთის შემადგენლობაში დატოვების იდეით.

„ოლსტერის მოხალისე ძალები“ - პროტესტანტების სამხედრო დაჯგუფება. შეიქმნა 1966 წელს. მათ მოაწყვეს 6 კათოლიკეს მკვლელობა ერთ-ერთ ბარში.

„ოლსტერის გამათავისუფლებელი მებრძოლები“ - პროტესტანტთა უმსხვილესი დაჯგუფება. არსებობის შესახებ განაცხადა 1972 წელს.

ესპანეთი. „ETA“ - ბასკების ტერორისტული ორგანიზაცია, დაარსდა 1959 წელს. არსებობის შესახებ განაცხადა 1968 წელს. გამოდის პროკომუნისტური ლოზუნგებით. მათი საქმიანობის მიზანია ბასკების ეროვნული სახელმწიფოს შექმნა და საფრანგეთის პროვინცია - ნავარის მიერთება, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებულნი ბასკები.

გამაურებული ტერაქტები: ესპანეთის პრემიერ-მინისტრის ლუი ბლას კოს მკვლელობა 1975 წელს. 1996 წელს ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ფრანსისკო ტომასა-ი-ვალენსას და მისი პირადი ადვოკატის ფილიპე გონსალეს ფერნანდო მესიკას მკვლელობა. ეტა-ს ანგარიშზეა დაახლოებით 800 მკვლელობა.

ამ კლასიფიკაციაში აღსანიშნავია ისლამისტი ტერორისტების საქმიანობა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მათ ზურგს უმაგრებს არა მარტო ტერორისტული მოთხოვნები, არამედ ისლამის, როგორც საყოველთაო რელიგიის გამარჯვება სხვა რელიგიებზე და აქედან გამომდინარე დაუნდობელ ბრძოლას უცხადებენ „არამბარ-თლმორმუნებებს“. ფანატიკური სეპარატისმი თანაბარი სისასტიკით ებრძვის ქრისტიანებს, ებრაელებს და ასევე იმ მუსულმანებსაც, ვინც არ იზიარებს მათ მოსაზრებებს. ტერორისტთა მოქმედების არეალი არ შემოიფარგლება ახლო აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთ აფრიკით, სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ და ძლიერია მათი გავლენა, არამედ ვრცელდება ევროპა და აშშ-იც. ახლო აღმოსავლეთი. „ჰამასი“ - ექსტრემისტული ორგანიზაცია, დაარსდა 1987 წელს ორი

ისლამური დაჯგუფების შეერთების შედეგად. დააარსა შეიხმა აჰმედ იასინმა. ატარებს ფუნდამენტალურ ხასიათს. ახლანდელი ლიდერია მუსა აბუ მარზუკი. აქვს სამხედრო ფრთა - „იზედინ ალ-ყარუთის ბრიგადები“. ახორციელებს ტერაქტებს იერუსალიმსა და თელ-ავივში.

„ჰალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტი“ - დაარსდა 1967 წელს არაბ ნაციონალისტებს შორის განხეთქილების შედეგად. ლიდერი ჟორჟ ჰაბაზი.

„ჰალესტინის გათავისუფლების დემოკრატიული ფრონტი“ - დაარსდა 1969 წელს. აღნიშნული ორგანიზაციიდან გამოსული ტერორისტებისგან ნაიფუ ჰავატის ხელმძღვანელობით.

„ჰესბოლ“ - პროირანული ექსტრემისტული დაჯგუფება. სულიერი ლიდერი სეიდ მუჰამედ ჰუსეინი ფადალა. ჰყავს 8 000-მდე მებრძოლი. ყოველი მათგანი ორგანიზაციის კმაყოფილება და თვეში მინიმუმ 400-მდე აშშ დოლარს იღებს. იგი ისლამური ექსტრემიზმის ერთ-ერთი გავლენიანი წარმომადგენელია, რომელმაც არაერთხელ გააშთავა სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში. 80-იან წლებში „ჰესბოლამ“ პირველმა დაიწყო თვითმკვლელი ტერორისტების გამოყენება.

„ჰესბოლას“ მიერ გამოყენებული ბრძოლის მეთოდების ავტორია ითვლება პირველებმა ფსევდონიმით „ჰაჯ-ჰალილ“ (მოქმედების ოსტატი), რომელმაც ჩამოაყალიბა ტერორისტთა ბრძოლის პრინციპები:

- ერიდებო ქლიერებს, შეუტეო სუსტებს - შეუტეო და სწრაფად დაიხიო უკან;
- საკუთარი მებრძოლების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მონიშნულდგეგმისათვის ზიანის მიყენება;

- დარტყმა მიაყენო მხოლოდ მაშინ, როცა წარმატება უზრუნველყოფილია, მოულოდნელობა წარმატების აუცილებელი პირობაა;

- არ ჩაებათ გაჭიანურებულ ბრძოლაში, მოასწარით უკან დახევა მანამ, სანამ მონიშნულდგეგმისათვის უპირატესობას გამოიყენებს;

- მიზნის მისაღწევად საჭიროა ზედმეტი იცოდე მონიშნულდგეგმის სუსტი ადგილები;

- მუდამ იმოძრავეთ, ანუ განლაგდებით სწორ ხაზზე;

- აიძულეთ მონიშნულდგეგმ მუდამ დაძაბული იყოს, როგორც წინა ხაზზე, ასევე ზურგში;

- გაზიდი გამარჯვებისკენ მრავალ პატარა გამარჯვებაზე გადას;

- შეინარჩუნეთ თქვენი მებრძოლების მაღალი საბრძოლო სულისკეთება;

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დიდი შესაძლებლობები გააჩნიათ, გამოიყენეთ ისინი;

- სურსათის მოპოვების საკითხში ადგილო ბრივი მოსახლეობა ფასდაუდებელია;

- მონიშნულდგეგმ დარტყმის მიყენების შემდეგ თვალს მოეფარეთ და შეისვენეთ, რათა მან ვერ მოახერხოს ძლიერი კონტრდარტყმის

განხორციელება. ისლამური რელიგიის მიმდევართა რიცხვმა, მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში მილიარდს გადაჭარბა. გარდა ამისა, მუსულმანური თემები არსებობენ მსოფლიოს 120 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

მსოფლიო დესტაბილიზაციის გამოწვევ ერთ-ერთ უმთავრეს ძალად დღეს ისლამური რადიკალიზმი გვევლინება, რომელმაც ფაქტიურად შემარტყნე რადიკალიზმის ადგილი დაიკავა, თუმცა ამ ორ ძალას შორის უდიდესი განსხვავებაა, თუნდაც იმაში, რომ ისლამი შეურთგებულია კომუნიტური დოქტრინისადმი, ისევე, როგორც მარქსიზმისათვის მიუღებელია რელიგიური მსოფოხმუდგეგმობა.

გამოიყოფა ისლამური რადიკალიზმის ზინიერი ისლამისაგან განმსხვავებული რამოდენიმე ნიშანი, ესენია:

- შეურთგებლობა სამოქალაქო-საზოგადოებისადმი და მისწრაფება ხალხის შარიათის კანონებით მართვისკენ;

- ისლამის უპირატესობის მტკიცება დანარჩენ რელიგიებზე და სწრაფვა მისი გავრცელებისკენ;

- საერთაშორისო სამართლის პრინციპების მიუღებლობა;

- ლეგალურ გზებთან ერთად, არაკანონიერი მეთოდების გამოყენება ხელისუფლების მოსაპოვებლად.

ისლამისტი ექსტრემისტების მოქმედებაზე პასუხისმგებლობას არ იღებს არცერთი ქვეყანა, თუნდაც საკუთარ ტერიტორიაზე. თუმცა მათ მფარველობა ირანის, ლიბიის, სუდანის, სირიის, ირაკისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურები.

ისლამური ექსტრემიზმი უშუალოდ გვევლინება არა სამთავრობო, არამედ კლერიკალურ-პოლიტიკური ორგანიზაციების სახით, რომელთა რიცხვიც 150-ს აღწევს. მათ შორის გამოიყოფა სამი ძირითადი მიმდინარეობა:

- სუნიტური ორგანიზაციები, რომლებიც საუდის არაბეთზე არიან ორიენტირებული;

- პროირანული, უპირატესად შიიტური ორგანიზაციები, რომლებიც ისლამური რევოლუციის მოსივიაზე დგანან („ჰესბოლა“, „ალ-ჯამად-ალ-ისლამი“);

- პალესტინური („ჰამასი“ და სხვები), ქურთული და სხვა ნაციონალისტური და სეპარატისტული ტიპის დაჯგუფებები.

ალღური „ხსნის ისლამური ფრონტი“ - ალღური ფუნდამენტალისტი ისლამისტების პარტია. დაარსდა 1989 წელს აბას მადანის ხელმძღვანელობით. 1991 წელს მოიპოვა გამარჯვება პარლამენტის არჩევნების პირველ ტურში. 1992 წელს მთავრობამ აკრძალა ფრონტის საქმიანობა, რის შედეგადაც ორგანიზაციამ წამოიწყო ტერორისტული საქმიანობა.

ექვთაქტე „მუსულმანთა სამო“ - ისლამისტთა

საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დაარსდა ჰასან ალ-ბანას ხელმძღვანელობით.

„ისლამური ჯიჰადი“ - არსებობის შესახებ განაცხადა 1977 წელს. 1995 წელს განახორციელა უმედეგო თავდასხმა ეკვიპტის პრეზიდენტზე ჰოსნი მუბარაქზე. ლიდერი - შეიხი ომარ აბდულ რახმანი, რომელიც გასაპარტლდა აშშ-ში. ორგანიზაციის ადგილსამყოფელი - სუდანი.

შრი-ლანკა. „თაბილი ილამის გამათავისუფლებელი ევფეხები“ - არსებობის შესახებ განაცხადა 1983 წელს. იბრძვის ჩრდილო-აღმოსავლეთ შრი-ლანკის ავტონომიის მოთხოვნით. 1995 წელს მათ მიერ მოწყობილი აფეთქების შედეგად დაიღუპა 100 კაცი. ოფიციალური მონაცემებით 1983 წლიდან დღემდე შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 50 000 კაციმდე.

6. პარტიზანული ტერორიზმი. აღნიშნული სახის ტერორიზმს ადგილი აქვს აგრესორი ქვეყნის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე. დღემდე მკვეცვარები თავს არიდებენ პარტიზანული საქმიანობისა და ტერორიზმის ერთ კონტექსტში განხილვას, რადგანაც იგი ითვლებოდა საომარი მოქმედების დამატებად. მაგალითად შესაძლებელია მოვიყვანოთ რუსეთის ფედერალური ჯარების წინააღმდეგ ჩვენების მიერ მოწყობილი ტერორისტული აქტები. შამილ ბასაევის, სალმან რადუევის და სხვათა მიერ განხორციელებულ აქციების მიაზნი იყო მიექციათ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება ჩვენეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ.

დაპყრობილ ქვეყნებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის შექრება საომარი ოპერაციებით ფაქტიურად უშეძლებელია და კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ სრულ-მასშტაბის პოლიტიკური მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების შედეგადაა შესაძლებელი.

7. სახელმწიფო ტერორიზმი. თანა-

მედროვე მსოფლიოს აქტუალური პრობლემაა ტერორიზმის ყველაზე საშიში ფორმა. იგი გამოხატულებას პოულობს ზოგადასაკაცობრივი ფასეულობების სრულ იგნორირებაში. მისი აღმოფხვრა უაღრესად რთულია. თავად ტერმინოლოგიის განსაზღვრა სხედა დიფერენცირებული მიდგომით.

ერთი მხრივ, სახეზეა მსოფლიო საზოგადოების მიერ სახელმწიფო ტერორიზმში დადანიშნულად 4 სახელმწიფო - ირანი, ლიბია, სუდანი და სირია. ისინი აქტიურ ფინანსურ დახმარებას უწევენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციებს, ამაზადებენ მებრძოლებს საკუთარ ტერიტორიებზე მონაწილეობა სპეცბანაკებში.

მეორე მხრივ, მცირერიცხოვანი ხალხის წინააღმდეგ სხედა ბრძოლის იმ საშუალებათა გამოყენება, რომლებიც მსოფლიოს სამართლებრივ პრაქტიკაში მხოლოდ სახელმწიფო ტერორიზმით კვალიფიცირდება. სახელმწიფო

ტერორიზმს ახასიათებს საარტილერიო და სარაკეტო დაბომბვები, მოსახლეობის მძევლად აყვანა და ე.წ. საფლტრაციო ბანაკებში მოთავსება, ნადირობა პოლიტიკურ მოღვაწეებზე, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების განადგურება.

8. ტერორიზმის ახალი ფორმები - „საინფორმაციო ლაშქრობა“ და „კიბერტერორიზმი“. ტერორიზმის უახლეს ფორმად ე.წ. „საინფორმაციო ლაშქრობას“ მიიჩნევენ. ამ „ლაშქრობის“ მიზანია მონიშნულმდეგის სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურაში არსებული ინფორმაციისა და საინფორმაციო სისტემის განადგურება. განაჩევენ საინფორმაციო ტერორიზმს ორ სახეს: 1) საინფორმაციო ტექნიკის ისეთი (ელექტრონიული ან ფიზიკური) დაზიანება, რომ ამას საინფორმაციო სისტემისა და მასზე დამოკიდებული ყველა ინფრასტრუქტურა მწყობრიდან გამოეყვას; 2) საინფორმაციო სისტემით მანიპულირება მონაცემთა შეცვლის, მოპარვის ან საერთოდ სისტემის ფუნქციის შეცვლის გზით.

„საინფორმაციო ლაშქრობის“ მსგავსად, „კიბერტერორიზმი“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც საიდუმლო აგენტთა თუ სუბნაციონალური ჯგუფის მიერ კარგად დაგეგმილი, პოლიტიკურ მოტივებით შეტყა ინფორმაციის, კომპიუტერული სისტემის, კომპიუტერული პროგრამებისა და ელექტრონულ მონაცემთა ნინაღმდეგ, რასაც მოჰყვება საოქოლაქო პირთა დაშავება ან დაღუპვა. დღემდე ტერორისტული ჯგუფები ინტერნეტსა და სხვა საკომუნიკაციო ქსელებს ძირითადად პროპაგანდის, უსაფრთხო კავშირის, ინფორმაციის შეგროვების და ფინანსების მართვისთვის იყენებდნენ, მაგრამ ბოლო დროს, სამიზნეები სამთავრობო სტრუქტურებიდან მოქალაქეებზე გადააქცა. მართალია, ტერორისტული საქმიანობის ამ ტიპს ჯერ ფართო გავრცელება არ მოჰყოლია, მაგრამ მთავრობა ამგვარ შესაძლებლობათს არსებობის შესახებ კარგად უნდა იცოს ინფორმირებული, რათა შეძლოს მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვა.

ინტერნეტის გაფართოვება „ჰაკერთა“ რაოდენობის ზრდა გამოიწვია, რომლებმაც შეიძლება იერიში მიიტანონ ბანკებზე და სამხედრო სატელეკომუნიკაციო დაზიანებაზე. „ჰაკერების“ ტერმინებს კრიტიკულში არევა ტერმინი „ჰაკერი“ მთუთითებს პიროვნებაზე, რომელსაც კარგად ესმის კომპიუტერი, ხოლო „კრეკერი“ ხსნის სხვის კოდებს და იჭრება კომპიუტერულ სისტემაში. უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება ამ ორ ტერმინს შორის თითქმის ნაშლილია. „ჰაკერები“ თავიანთ პროფესიას ორ ნაწილად ყოფენ: „თეთრ ქუდიანი ჰაკერები“ („ეთიკური ჰაკერები“) და „შავქუდიანი ჰაკერები“ („პრეკერები“).

„ჰაკერების“ 90%-ს ჩვეულებრივ წარმოადგენს ახალგაზრდები, რომლებიც გააჩნიათ

უნარი, შესაძლებლობა და სურვილი ინტერნეტში შესაღწევად. მათ სამიზნეებს ჩვეულებრივ NASA, პენტაგონი და თეთრი სახლი წარმოადგენს. გამოცდილი „ჰაკერები“ შეუძლიათ სახე შეუცვალონ CIA-ს ვებსაიტებსაც.

კომპიუტერულ ქსელში არასანქცირებული შეღწევის მიზანი შეიძლება იყოს არა მარტო საინფორმაციო ბაზის განადგურება, არამედ ამგვარმა შეღწევამ შეიძლება გაუადვილოს ტერორისტს ობიექტზე თავდასხმა (მაგ. ენერგეტიკული სისტემის ქსელში შეღწევით).

აღსანიშნავია, რომ კიბერტერორისტული აქტი საფრთხეს წარმოადგენს როგორც მსხვერპლისთვის, ასევე თავდასხმელისთვის, რადგან შესაძლებელია თავდასხმელის ადგილმდებარეობის დადგენა და შესაბამისი ზომების მიღება.

სამხედრო სისტემაში კომპიუტერთა გარკვეული ნაწილი შარს უნდა იყოს ინტერნეტთან, რაც გამოირჩევა მასზე პირდაპირი იერიშის მიზანის შესაძლებლობას. „კიბერტერორისტები“ არა მარტო აზიანებენ სისტემას, არამედ ენევიან სადაზვერუო საქმიანობასაც (ასევე დეზინფორმაციის გავრცელებას).

ტერორისტული აქტის მომზადების ეტაპები.

- ტერორისტად გადამიზრება, სწავლება, შეიარაღება;
- შეიარაღებული ფორმირების, კრიმინალური დაჯგუფების, ტერორისტული აქტის შემსრულებელი ორგანიზებული ჯგუფის შექმნა;
- ტერორისტული აქტის დაგეგმვა და ორგანიზება;
- ტერორისტული აქტის განხორციელება.

ტერაქტის განხორციელების მეთოდები.

პოლიტიკური მკვლელობა გულისხმობს ცნობილი პიროვნების, პოლიტიკური მოღვაწეების და იქ პირების მკვლელობას, რომელთაც ცდადეს ტერორისტული ჯგუფიდან გასვლა;

ხანძრის მოწყობა მოსახერხებელი საშუალებაა ტერაქტის ორგანიზატორისთვის, რომელიც პრაქტიკულად არავითარი რისკი არ მოიცავს.

აფეთქება წარმოადგენს მინიმალურ რისკს კარგად მომზადებული ტერორისტისათვის. ასაფეთქებელი მოწყობილობა საათის მქონეშია, ტერორისტს აძლევს საშუალებას აფეთქებამდე დატოვოს ტერიტორია;

სატრანსპორტო საშუალებების გატაცება, დაზიანება ან განადგურება ყურადღების მიპყრობის ერთერთი საუკეთესო საშუალებაა;

მძევლად აყვანა შესაძლოა განხორციელდეს ყურადღების მიპყრობის ან გამოსასყიდის მიზნის მიზნით;

ადამიანთა გატაცება ტერორისტების ჩვეულებრივი ქმედითი ღონისძიებაა. მთავრობა პასუხისმგებელია საკუთარი მოსახლეობის დაცვაზე, ხოლო თუ გატაცებული ოფიციალური პირია, პასუხისმგებლობა მის გასათავისუფლებლად ორმაგდება. ადამიანთა გატაცება შესაძლებელია განსხვავდება მძევლად აყვანისაგან. ჩვეულებრივ ადამიანთა გატაცება ხდება საიდუმლო და გატაცებული განსაზღვრული დროის განმავლობაში შეუძლიათ არ განავლიონ თავიანთი მოთხოვნების შესახებ, მაშინ როდესაც, მძევლად აყვანისას ტერორისტები ცდილობენ საზოგადოების ყურადღების მიპყრობას. ადამიანთა გატაცებისას ტერორისტი უფრო ნაკლებ რისკზე მიდის ვიდრე მძევლად აყვანისას;

ობიექტების და შენობების დაკავება მიზანდასახავს ყურადღების მიპყრობას. ამ შემთხვევაში ტერორისტი და რისკზე მიდის, ვინაიდან უმარტივესი ძალებს საპასუხო ზომების მიხედვით დასჯის დრო გააჩნიათ;

დოკუმენტული საქმიანობა ტერორისტული აქტის წინაშე ხელისუფლების სისუსტის ჩვენებას ისახავს მიზნად. განვითარებულ ქვეყნებში კომუნალური და კავშირგაბმულობის ობიექტები და სატრანსპორტო საშუალებები ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებული, რომ ერთის მწყობრიდან გამოსვლა მეორეს წარმოადგენს ზეშაქვანებად გავლენას. დივერსიის მოწყობა სამხრეთელი ან კომერციულ სანარმოზე და სამხედრო ობიექტზე წარმოადგენს სამიზნე დაუცველობის დემონსტრაციის საშუალებას;

ცრუ განცხადება მიზნად ისახავს ტერორისტული ჯგუფის მიერ ინფორმაციის გავრცელებას არარსებელი საფრთხის შესახებ. აფეთქების შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს რაიმე დანახვების ჩვეული ფუნქციონირების პარალელურად, აიძულებს რა მომუშავე პერსონალს დატოვოს შენობა;

სამხორივი განადგურების იარაღის გამოყენება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტერორისტული ჯგუფების სახასიათო ქმედებაა, რომლებიც სარგებლობენ ტექნიკის უახლესი საშუალებებით.

ტერორისტების ძირითად სამიზნეს ჩვეულებრივ სამთავრობო შენობები, საელჩოები და სამხედრო ობიექტები წარმოადგენენ, მაგრამ სამოქალაქო ობიექტების ნაკლებად დაუცველობის გამო, ამ უკანასკნელთა მიმართ განხორციელებული ტერაქტების რიცხვი საგრძნობლად მატება და შესაბამისად ტერაქტების შედეგად დაღუპულთა საერთო რაოდენობის 75%-ს უდნაშაულო მოქალაქეები შეადგენენ.

ტერორისტული დაჯგუფების სტრუქტურა

ტერორისტული დაჯგუფების სტრუქტურა პრიმიტიული სამხედრო ორგანიზაციის ნაგავსა და

ერთმანეთისაგან იზოლირებულ, სხვადასხვა ფუნქციების მქონე ჯგუფების ერთობლიობას წარმოადგენს. ასეთი სტრუქტურა ორგანიზაციის უსაფრთხოების საშუალებას იძლევა (მაგ. ჯგუფის, რომელიმე წევრის დაპატიმრებისას მას შეუძლია გასცეს მხოლოდ შეზღუდული ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ).

ტერორისტული ორგანიზაცია შედგება ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციის რიგითი წევრებისაგან, ჰყავს აქტიური და პასიური მხარდამჭერები. განვიხილოთ აღნიშნული ცნებები:

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა საზღვრავს მოქმედების პოლიტიკას და მიმართულებას, კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის საქმიანობას, გეგმავს და რიგ შემთხვევაში უშუალოდ ხელმძღვანელობს ტერაქტებს, უზრუნველყოფს ორგანიზაციის მატერიალურ და ტექნიკურად.

ორგანიზაციის წევრები წარმოადგენენ გარკვეული იდეური ნიშნით გაერთიანებულ პირებს. მათ გარდა ორგანიზაციაში შეიძლება განეცრიანებულნი იყვნენ პროფესიონალი ტერორისტები, რომელთაც არ გააჩნიათ იდეოლოგიური სტიმული და ტერაქტებში მხოლოდ ფინანსური გამომჩენის მიზნით მონაწილეობენ.

აქტიური მომხრეები არიან პირები, რომლებიც არ იღებენ უშუალო მონაწილეობას ტერაქტში, მაგრამ ახორციელებენ ფინანსურ, ინფორმაციულ და სხვა სახის დახმარებას.

პასიური მომხრეები იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც უთანაგრძნობენ ტერორისტებს, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო არანერუნევენ მათ აქტიურ დახმარებას.

ტერორისტთა საქმიანობის მოტივები

ტერორისტული დაჯგუფების საქმიანობის მოტივაცია შესაძლებელია განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რა სახის პოლიტიკური ძაღის წინააღმდეგ არის იგი მიმართული:

• თუ არასასურველი პოლიტიკური ძალა უცხოური სახელმწიფოს მთავრობაა, მაშინ ტერორისტების მოტივი იქ არსებული ხელისუფლების მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლაა;

• თუ არასასურველი პოლიტიკური ძალა საკუთარი ქვეყნის მთავრობაა, მაშინ ტერორისტების მოტივი წარმოადგენს რეფორმის გატარება ან რევოლუციას;

• თუ არასასურველი პოლიტიკური ძალა კოლონიალური სახელმწიფოს მთავრობაა, ტერორიზმის მოტივი სეპარატიზმის ან ეროვნული განმანათავისუფლებელი მოძრაობის ესკალაციაა.

ტერორისტთა მიზნების კლასიფიკაცია

აღიარების მოპოვება: ტერორისტული საქმიანობის პირველი ეტაპზე ტერორისტთა მიზანია ყურადღების მიპყრობა და მძლავრ

ორგანიზაციად აღიარების სურვილია. ტერორის-
ტული ჯგუფები, რომლებსაც სურთ აღიარების
მოპოვება ახორციელებენ ტერაქტებს მასობრივი
ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების
მიპყრობის მიზნით.

იძულება; იძულების მიზანია უბიძგოს ამა
თუ იმ პირთა ჯგუფს ან მთავრობას მათთვის
სასურველი საქმიანობისაკენ. ამ ამოცანის
შესრულება მოითხოვს სტრატეგიის კურსის მტკი-
ვნად განსაზღვრას და სამიზნეების კონკრეტულად
შერჩევას.

დაშინება; იგი განსხვავდება იძულებისაგან
და მიმართულია არ დაუშვას რაიმე მოქმედება
გარკვეული პირობებისაგან ან პირთა ჯგუფისაგან.

პროვოკაცია; მისი ამოცანაა გარკვეული
პროვოკაციული ქმედებების შედეგად გამოი-
წვიოს ტერორისტთათვის სასურველი რეაქცია
სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან.

აჯახებულთა მოძრაობის მხარდაჭერა;
ტერორისტული დაჯგუფების მიზანია მხარი
დაუჭიროს რაიმე ამბოხებას ან რევოლუციურ
მოძრაობას. იგი ახორციელებს რამე ტერაქტებს,
ცდილობს სამთავრობო ძალოვანი სტრუქ-
ტურების ყურადღება გადაიტანოს ტერორის-
ტების თავდასხმის პოტენციური ობიექტების
დაცვაზე და ამით გარკვეულწილად დაქსაქსოს და
შეასუსტოს იგი.

ტერორიზმის დამფინანსებელი სახელ- მწიფოები

დღესდღეობით ტერორისტული ჯგუფების
კლასიფიცირება ხდება სახელმწიფო ორგანოებ-
თან კავშირის ან კავშირის არ არსებობის მიხედ-
ვით:

**ჯგუფები, რომლებიც არ სარგებლობენ
სახელმწიფოს მხარდაჭერით** ყოველგვარი
დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად მოქმედებენ
(მაგ.: „ეტა“ (ესპანეთი), „ნითელი ბრიგადები“
(იტალია));

**სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული
ტერორისტული ჯგუფები** მოქმედებენ
დამოუკიდებლად, მაგრამ გააჩნიათ ერთი ან
ერთზე მეტი სახელმწიფოს მხარდაჭერა;

**სახელმწიფოს მიერ კოორდინირებული
ტერორისტული ჯგუფები** მოქმედებენ რომე-
ლიმ მთავრობის უშუალო მითითებით და
კოორდინაციით. მთავრობა მათ ამარაგებს
სადაზვერვო ინფორმაციით და უზრუნველყოფს
მატერიალურად და ტექნიკურად (მაგ.:
„დამრტყმელი ჯგუფები“ (ლიბია) - ახორციელებენ
ტერაქტებს სამშობლოდან ემიგრირებულ თანა-
მემამულეებზე).

სადაზვერვო მონაცემების კონკრეტული
შესწავლის და ანალიზის შემდეგ აშშ-ს სახელ-
მწიფო დეპარტამენტმა შეადგინა ტერორიზმის
დამფინანსებელ სახელმწიფოთა ჩამონათვალი,
მათ წინააღმდეგ სანქციების შემოღების მიზნით.
ასეთი გაზი აშშ-ს მთავრობას ცდილობს იზო-

ლირება გაუკეთოს მსგავს სახელმწიფოებს იმ
სახელმწიფოებისაგან, რომლებიც გმობენ და
უარყოფენ ტერორიზმს როგორც პოლიტიკურ
იარაღს.

მსოფლიო ტერორიზმის სამშრობო ძირი-
თადად მომდინარეობს სამხრეთ აზიისა და ახლო
აღმოსავლეთის რეგიონებიდან, სადაც ტერორის-
ტები დაუსჯელად მოქმედებენ.

სამხრეთ აზიაში განსაკუთრებით აღსა-
ნიშნავია ავღანეთი, რომლის ტერიტორიის
გარკვეულ ნაწილს მოქმედება „თალიბანი“
აკონტროლებს. ავღანეთი თავშესაფარს აძლევს
მრავალ ცნობილ ტერორისტს, მათ შორის უსამა
ბინ ლადენსაც. ტერორიზმთან დამოკი-
დებულებანი გაურკვეველი მოზიკა უჭირავს
პაკისტანსაც. ეს სახელმწიფოები შედარებით
ლიბერალურად ეპყრობა ამ კატეგორიის დამნა-
შავეებს. ტერორიზმთან მიმართებაში პაკისტანის
მსგავსი პოლიტიკის გამტარებელ სახელმწიფოებს
ენ. „ქოლგის ქვეყნებს“ უწოდებენ.

ახლო აღმოსავლეთში მდებარეობს ტერო-
რიზმის დამფინანსებელი ორი სახელმწიფო -
ირანი და სირია. ირანის ინფორმაციის (უში-
შროების) სამინისტრო და ისლამური რევოლუ-
ციის გაუშვანა კორუფსი, ფინანსური და პოლიტი-
კურ მხარდაჭერას უწევს ისეთ ტერორისტულ
დაჯგუფებას, როგორიცაა „პაკისტანის ისლამი-
ური ფრთები“, „ჰამასი“, „ჰეზბოლა“.

ზემოაღნიშნული სახელმწიფოები ტერორის-
ტულ დაჯგუფებებს უწევენ შემდეგი სახის
დახმარებებს:

მატერიალური: შეიარაღება, სამხედრო
სპეციალისტები, დაქირავებული შეომრები,
საბრძოლო მასალები, კავშირგაბმულობის
საშუალებები, მედიკამენტები, საწვრთნელი
ბაზების მოწყობა;

ფინანსური: მსოფლიო საბანკო ქსელის
მეშვეობით ფინანსების მიწოდება, დახმარე
სატრანსფერო ფონდების შექმნა, ნაღდი ფულის
გადაღება, იარაღის შესყიდვისათვის ფინანსური
ოპერაციების უზრუნველყოფა;

საინფორმაციო: ეს არის საინფორმაციო
ომის შემადგენელი ნაწილი, რაც გამოირჩევა
საინფორმაციო საშუალებებისათვის ისეთი
ინფორმაციის მიწოდებაში, რომელიც
ტერორისტებისათვის ხელსაყრელია
(დეზინფორმაციის გავრცელება, საერთაშორისო
დონეზე დემოკრატიულ სახელმწიფოთა
მთავრობების დისკრედიტაცია და სხვა).

კავშირი ნარკობიზნესსა და ტერორიზმს შორის

ტერორიზმის საერთაშორისო ექსპერტები
ნარკობიზნესს და ტერორიზმს ერთ კონტექსტში
განიხილებენ, ვინაიდან ნარკობიზნესიდან შემო-
სული ფული ტერორისტული ორგანიზაციების
დაფინანსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს
წარმოადგენს.

ნარკოკარტელებსა და ტერორისტულ დაჯ-
გუფებს შორის საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები
არსებობს. ტერორისტული დაჯგუფებები ასეულ
მილიონობით დოლარის ოდენობის საფასურს
იღებენ მსხვილი ნარკოკარტელებისათვის
კუთვნილ ნათესებსა და სანარმო ლაბორა-
ტორიების დაცვაში, ნარკოტიკული ნივთიე-
რებების გადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნ-
ველყოფაში. გარდა ამისა, ზოგიერთი ტერორის-
ტული დაჯგუფება თავად ეწევა ნარკოტიკული
ნივთიერების დამზადებას და მართვალზაციას.
განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

კოლუმბიანარმოადგენს მსოფლიო ლიდერს
კოკაინის, პეროინისა და მარიხუანის წარმოება-
რეალიზაციაში. მსოფლიოში მოხმარებული
კოკაინის 75% მზადდება კოლუმბიაში ადგი-
ლობრივი და ბოლივიისაგან იმპორტირებული
რესურსი. აშშ-ს მთავრობის განცხადებით კოლუმ-
ბიაში წარმოებული კოკაინის რაოდენობა
უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ორჯერ
გაიზარდა და შეადგინა 165 ტონა წელიწადში.
ამავე პერიოდში პეროინის წარმოება გაიზარდა
20%-ით და შეადგინა 60 ტონა წელიწადში.
ტერორისტული ორგანიზაციები „ფარკ“-ი და
„ელს“-ი დაახლოებით 1 მილიარდი აშშ დოლარის
გადასახად აწესებენ ნარკოკაჭრებზე ნარკო-
ტიკების სანარმო ლაბორატორიების დაცვის
სანაცვლოდ.

პერუში მთავრობის მიერ გატარებული
ანტიანარკოტიკული პროგრამის შედეგად ნარკო-
ტიკული ნივთიერებების წარმოება შემცირდა
50%-ით. პერუში მოქმედებს ტერორისტული
ორგანიზაციის „ელ“-ს შემოსავლების მნიშვნე-
ლოვან ნაწილს ნარკოკარტელებზე დანე-
სებული გადასახადი წარმოადგენს. ასევე დიდი
შეოსავალი ნარკოკაჭრებიდან გააჩნია პერუს
სხვა მნიშვნელოვან ტერორისტულ ორგანიზაციას
- „ტუპაკ კამარუს“.

თურქეთში მოქმედი „ჰკკ“-ს (ქურთ მუშათა
პარტია) დაფინანსების ერთ-ერთ ძირითად წყა-
როს ნარკოტიკების რეალიზაციიდან შემოსული
ფული წარმოადგენს. 1984 წლიდან დღემდე
დაკავებულია „ჰკკ“-ს 300-მდე წევრი ნარკო-
რეალიზაციის ბრალდებით.

1999 წლის აპრილში საქმობლის პოლიციამ
დააკავა „ჰკკ“-ს ერთ-ერთი წევრი 73კგ პეროინით.
გერმანიის პოლიციამ გამოავლინა „ჰკკ“-ს წევრი
ნალისტილიზატორები ჰანოვერსა და ჰამბურგში,
რომლებიც 125 მილიონი ევროს ღირებულების
ნარკოტიკების რეალიზაციას ახდენდნენ წელი-
წადში.

ავღანეთი პეროინის ყველაზე დიდი მწარ-
მოებელია მსოფლიოში. არსებული ინფორმაციით
1999-2000 წლებში წარმოებულ იქნა 8200 ტონა
პეროინი.

ლიბანი წლების განმავლობაში „ჰესბოლა“-
სირიის ტერორისტული ორგანიზაციების
დახმარებით ახდენს ნარკოტიკების ექსპორტს

ბეკას ველიდან. ლიბანის მთავრობის კონტროლი
ბეკას ველზე თანდათანობით მცირდება, რის
შედეგადაც ძლიერდება ნარკოკაჭრობა. „ჰესბო-
ლა“ აკონტროლებს პეროინის მწარმოებელ ლაბო-
რატორიებს, საიდანაც შემდგომში პროდუქცია
ევროპაში გაედინება.

განვიხილოთ საქართველოს მეზობელ
სახელმწიფოებში მოქმედი ტერორისტული
ორგანიზაციები და მათი საქმიანობა.

რუსეთი

მსოფლიო ტერორიზმის ექსპერტების თვალ-
საზრისით პოლიტიკური ტერორის სამშობლოდ
რუსეთი ითვლება, თუმცა ტერორიზმის „პიო-
ნერები“ ამ ცნების თანამედროვე გაგებით XIX
საუკუნის იტალიელი კარაბინერები იყვნენ. სწო-
რედ მათგან გადმოიღეს ორგანიზაციული
მეთოდები და სტრუქტურა „ნაროდნია ვოლია“-ს
ექსტრემისტული ფრთის წარმომადგენლებმა,
ხოლო მოგვიანებით მემარჯვენე თუ მემარცხენე
სოციალისტმა რევოლუციონერებმა. რუსი
ტერორისტების ყველაზე დიდი წარმატება XIX
საუკუნის ბოლოს იმპერატორ ალექსანდრე II-ზე
განხორციელებული თავდასხმა იყო, რითაც მათ
მოახერხეს მძლავრი დარტყმა მიეყენებინათ
სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურისათვის.
რუსი ტერორისტების ხელით დაიღუპა იმ
დროისათვის ცნობილი არაერთი ადამიანი, მათ
შორის ქვეყნის პრემიერი და შსს მინისტრი
სტოლიპინი (1911წ.). აღსანიშნავია, რომ ტერო-
რისტები ვერ მოახერხებდნენ ცნობილ პოლი-
ტიკოსებზე თავდასხმების განხორციელებას
საიდუმლო პოლიციის აქტიური მხარდაჭერის
გარეშე: ესართა სამხედრო სტრუქტურას მეფის
„ოხრანისი“ აგენტი აზევი მთაურობდა, სტო-
ლიპინი კი საიდუმლო პოლიციის თანამშრომელმა,
ბოგოვმა დაჭრა სასიკვდილოდ.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ქვეყნის
სპეცსამსახურების მიერ განხორციელდა არაერთი
ტერორისტული აქტი. მაგალითად: სუკო-ს მომა-
ვალმა გენერალმა სუდოპლატოვმა როგორცდამ-
სახვეთებელი ნივთიერებებით დატენილი კანფე-
ტების ყუთი „შეიარაღა“ უკრაინელი ნაციო-
ნალისტების ლიდერს კონოვალცემ (1938წ.), რამონ
მერკადერმა მეხიკოში მოკლა ლეე ტროცკი,
რისთვისაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება
მიენიჭა (1940წ.).

სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთის
ტერიტორიაზე დაფიქსირდა პოლიტიკურად
მოტივირებული ტერორისტული აქტების
მრავალი შემთხვევა, თუმცა ამასთან ერთად,
კრიმინალური ტერორიზმი რუსეთისათვის ერთ-
ერთი აქტუალურ პრობლემად იქცა.

1991 წლისათვის ყოფილ სსრკ-ში შეტაკებების

შედეგად დაიღუპა 1500 ადამიანი (მათ შორის 100-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და შსს-ს მუშაკი), დაიჭრა 10 000 კაცზე მეტი.

თუ 70-80-იან წლებში ტერორისტები უმეტესწილად ცალკეულად მოქმედებდნენ ან ხშირად ფსიქოურად დაავადებული ფანატიკოსები იყვნენ, 90-იანი წლების დასაწყისისათვის ნარმოქმნა რიგი ორგანიზაციები, რომლებიც ემზადებოდნენ შეიარაღებული (ვატეტირად ტერორისტული) ბრძოლისათვის. 1990-93 წლებში მოხდა სერიოზული ცვლილებები ტერორისტთა შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკაში. თუ ადრე ტერორისტები იყენებდნენ თვითნაკეთ ცეცხლსასროლ იარაღს და ასაფეთქებელ ნივთიერებებს, ახლამათ გაუჩნდათ უახლესი შეიარაღება, რამაც მრავალი ახალი ამოცანის წინაშე დააყენა ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები. ამ ამოცანათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ბრძოლაში კრიმინალური შეიარაღებული დაჯგუფებების წინააღმდეგ, ექსპერტთა აზრით, 1994 წლისათვის მათ რიგებში ირიცხებოდა 200-300 ათასი კაცი, რაც დაახლოებით სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა რიცხვს უტოლდებოდა.

1992 წლიდან რუსეთში ფართო გავრცელება ჰპოვა ე.წ. „ქილორობამი“, ანუ შევცეითლამა მკვლელობამ. ტერორისტების საბრძოლო-პროფესიონალურ მომზადების დონე ამ დროისათვის საგრძნობლად გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში ტერორიზმის აქტიუიზაციის პერიოდში (1991-94წწ.) განხორციელდა არასაკმარისი და გაანალიზებული და არარაციონალური რეფორმები არმიისა და სამართალდამცავი ორგანოების სისტემებში, რაც შესაძლებელია, გამოწვეული იყო საზოგადოებრივი საფრთხის არაადეკვატური შეფასებით. ამის შედეგად ტერორიზმმა რუსეთში საკმაოდ სოლიდური „ფორა“ მიიღო სამართალდამცავებთან შედარებით: 1992-94 წლებში „ფსბ“-სა და შსს-ს ოპერატივ-პრომოტელა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ამავე დროს 1995 წლისთვის სისხლის სამართლის სამსახურის თანამშრომელთა 63%-ის ოპერატიული სტაჟი 5 წელს არ აღემატებოდა.

რუსული ტერორიზმის დახასიათებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ რუსეთში ორგანიზებული დამპყველობითი პოლიტიკის ზრდის ტენდენცია, რომელთა ქმედებებს ხშირ შემთხვევაში ტერორიზმის ელფერი გააჩნია. კერძოდ: შევცეითლი მკვლელობები (ვლ. ლის-ტივის მკვლელობაში „სოლდევოს“ დაჯგუფებაა ექვტიშანილი), აფეთქებების ორგანიზება, გარეკვეულ პირთა მძევლად აყვანა, დაშინება ან ფიზიკური ლიკვიდაცია.

ბოლო პერიოდში რუსეთში აქტუალური გახდა მემარცხენე-რადიკალური დაჯგუფებათა ტერორიზმის პრობლემა. მემარცხენე-რადიკალები განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ 1997 წელს, როდესაც დაფიქსირებულ იქნა

მათ მიერ განხორციელებული მრავალი დივერსიული აქტი. მემარცხენე მოძრაობის აქტივიზაციას ხელი შეუწყო 1990 წლის მეორე ნახევარში აღნიშნულ მოძრაობაში ახალგაზრდების დიდი რაოდენობის ჩაბმამ. ისინი მცირე დაჯგუფებების საშუალებით ახორციელებდნენ ტერაქტებს, რომლებიც გამაფრთხილებელ ხასიათს ატარებდნენ. ტერორისტები იყენებდნენ მცირე სიმძლავრის ასაფეთქებელ მოწყობილობებს. განვიხილოთ მემარცხენე-რადიკალური ტერორისტული ორგანიზაციები.

„ახალგაზრდული რევოლუციური კომუნისტური კავშირი“.

ხელმძღვანელი: იგორ გუბკინი.

მიზანი: რუსეთის ფედერაციის მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობა და პროლეტარიატის დიქტატურის დანერგვა საბჭოთა ხელისუფლების ფორმით, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ჩამოყალიბება.

იდეოლოგია: მემარცხენე რადიკალიზმი.

შტაბბინა: ქ. მოსკოვი.

სტრუქტურა: შეიარაღებული დაჯგუფება.

რაოდენობა: 500 კაცი.

ბრძოლის მეთოდი: შენობა-ნაგებობების აფეთქება.

განხორციელებული ტერაქტები:

1997 წელს მეფე ნიკოლოზ II-ის ძეგლის აფეთქება.

1997 წელს სამეფო ოჯახის წევრების საფლავების აფეთქება ვაგანკოვოს სასაფლაოზე;

1997 წელს პეტრე I-ის მშენებარე ძეგლის დანადგვა;

1997 წელს სამრეწველო ობიექტის დანადგვა მოსკოვის კრემლ-თერაიონში;

1999 წელს თავდასხმა აშშ-ს საელჩოზე მოსკოვში;

1999 წელს აფეთქების მოწყობა აშშ-ს საკონსულოს მიმდებარე ტერიტორიაზე ეკატერინ-ბურგში.

„ახალი რევოლუციური ალტერნატივა“.

მიზანი: პროლეტარიატის დიქტატურის დამყობა.

იდეოლოგია: მემარცხენე რადიკალიზმი.

შტაბბინა: ქ. მოსკოვი.

სტრუქტურა: შეიარაღებული დაჯგუფება.

რაოდენობა: 80-100 კაცი.

ბრძოლის მეთოდი: შენობების აფეთქება.

განხორციელებული ტერაქტები:

1996 წელს ოსტაშკინის სამხედრო კომისარიატის აფეთქება მოსკოვში;

1997 წელს ჩერნიომუჰის სამხედრო კომისარიატის დანადგვა.

რუსეთის ფედერაციაში არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე, გარდა ზემოაღნიშნულისა გავლენას ახდენს ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში არსებული რთული სიტუაცია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსე-

თის ფედერაციის ტერიტორიაზე თავი იჩინა სხვადასხვა სახის რელიგიურმა და ეთნიკურმა ძირითადი პოლიტიკური მოთხოვნები ემო საფუძვლად. ამ მხრივ დღემდე მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილად მიჩნევა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი. იქ განვითარებულმა მოვლენებმა და საბრძოლო მოქმედებებმა სათავე დაუდო რეგიონში სხვადასხვა სახის უკონტროლო შეიარაღებული დაჯგუფებების, ტერორისტული ორგანიზაციების და ცალკეული ტერორისტების თავმოყრას.

ჩრდილოეთ კავკასია

ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმის დახასიათებისას განვიხილოთ „ჩეჩნური ტერორიზმი“, რომელმაც XX საუკუნის ბოლოს იჩინა თავი. 1991-94 წლებში იგი კრიმინალურ ხასიათს ატარებდა - ბანდობა, რომლებიც ძირითადად ჩეჩენი ყრულების წევრები იყო დაკომპლექტებული (ჩრდილოეთ კავკასიაში), რამდენიმე პიროვნება მძევლად აიყვანა. ტერორისტებს არ გააჩნდათ პოლიტიკური მოთხოვნები და როგორც წესი ფულს, იარაღს და ნარკოტიკებს ითხოვდნენ.

1994-96 წლებში კრიმინალურთან ერთად ჩნდება „ჩეჩნური ტერორიზმის“ სხვა სახის გამოვლინებებიც - ადამიანების მასობრივი გატაცება გამოსასყიდვის გამოძღვლის მიზნით და ტერორი მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების სახით. ამავე წლებში „ჩეჩნური ტერორიზმი“ საერთაშორისო ხასიათს იღებს (რუსული ხომალდ „ავრასიას“ ხელში ჩაგდება ტრანზიტში).

1996 წლების შემდეგ, რაც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩეჩნეთის ტერიტორია დატოვა, მსხვილმასშტაბიანი ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობა შემცირდა. ტერორიზმის ყველაზე გავრცელებულ ფორმად იქცა რუსი და უკრაინელი ჟურნალისტების, აგრეთვე ჩეჩნეთში ჰუმანიტარული მიზნით მყოფი უცხოელების გატაცება. განხორციელდა რამდენიმე პროვოკაციული მკვლელობა (1996 წელს „ნითელი ჩეჩნის“ 2 ექვთის მკვლელობა და სხვა). პერიოდულად ხორციელდებოდა შსს-ს და სამოქალაქო პირების გატაცება ინგუშეთისა და დაღესტნის ტერიტორიებიდან. აღნიშნულ ოპერაციებს გეგმავდა და ახორციელებდა იორდან-ნიელი ტერორიზმი აზირალ ხაბაბი.

ამ პერიოდში „ჩეჩნური ტერორიზმი“ სულ უფრო პოლიტიკურ ხასიათს იძენს. რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ დივერსანტთა მცირერიცხოვანი ჯგუფები. 1999 წლის ზაფხულში გააქტიურებულმა ისლამისტმა ექსტრემისტებმა განახორციელეს რეიდები დაღესტნის ტერიტორიაზე. ჩეჩნური დაჯგუფებები შამალ ბასაევისა და ხატაბის მეთაურობით შეიჭრნენ დაღესტნის ცუმადინის და ბოთლიხის რაიონებში. ექსტრემისტებმა გააკეთეს განცხადებები დაღეს-

ტნის ტერიტორიაზე „დაღესტნის ისლამური მეჯლისი - შურა“-ს და დამოუკიდებელი ისლამური სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ამის შემდეგ დაღესტნის ტერიტორიაზე კონცენტრირდულ იქნა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს და შსს-ს ძალები, რომლებმაც შესძლეს რესპუბლიკის ტერიტორიიდან ექსტრემისტების გაძევება.

საომარ მოქმედებათა მეორე ეტაპი განვიხილოთ დაღესტნის კადარის ზონის სოფლებში. სოფლები კარამახი და ჩაბანახი, რომელთაც ვაჰაბიტები აკონტროლებდნენ, გადაიქცა დაღესტანში ისლამური ექსტრემიზმის საყრდენ პუნქტად. რუსულ ჯარებს მოუხდათ შეტაკება, როგორც ადგილობრივ ვაჰაბიტებთან, ასევე ჩეჩენ მოჯაჰედებთან. ბრძოლის დროს ისინი „სამეულბად“ მოქმედებდნენ, რომელთაც შეიარაღებულმა ჰქონდათ ავტომატური იარაღი, ტყვიამფრეკვეი და სხვაიერი საშუალება (თითო ერთეული).

პარალელურად ბრძოლები მიმდინარეობდა ნოვოროსიისკის რაიონში. ხატაბისა და ბარაევის დაჯგუფებები ხასიათურისაკენ ცდილობდნენ გასვლას, მაგრამ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა შესძლეს მათი შეჩერება. არსებული ინფორმაციის მიხედვით, ჩეჩენი ტერორისტები დიდძალ მატერიალურ დახმარებას იღებდნენ საერთაშორისო ისლამური ორგანიზაციებისგან (მაგ. საერთაშორისო ტერორისტის ბინ ლადენის მხრიდან ფინანსური დახმარება 25 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა).

დაღესტანში სიტუაციის გამძაფრებასთან ერთად ისლამისტებმა ბრძოლის ტერორისტული მეთოდები რუსეთის ტერიტორიაზე გამოიყენეს. 1999 წელს განხორციელდა მსხვილი ოპერაციათა შორის, აღსანიშნავია აფეთქება ვლადიკავკასის საკოლმეურნეო ბაზარში (დაიღუპა 64 ადამიანი), აფეთქება ბუიანსკში (დაიღუპა 61 ადამიანი) და ორი აფეთქება მოსკოვში (დაიღუპა 120 ადამიანი).

რუსეთის მიერ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებათა II ეტაპის ანუ ე.წ. „ანტიტერორისტული ოპერაციის“ მსვლელობის პროცესში საგრძნობლად იმატა ტერორისტულ აქტთა რიცხვმა, რაც ძირითადად გამოიხატა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის შსს-ს ქვედანაყოფების წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტებში, რაც „პარტიზანული ტერორიზმი“ განსაზღვრების ჩარჩოებში ექვევ.

1999 წელს II საომარი კამპანიის დაწყებამდე (ჩეჩნეთის ტერიტორიაზე) არსებობდა 300-მდე არაკონტროლებადი შეიარაღებული ფორმირება, რომელთა შემადგენლობა მერყეობდა 80-დან 800 კაცამდე. თითოეულს გააჩნდა დამოუკიდებელი სამხედრო პოლიტიკური ხელმძღვანელობა და სრული ოპერატიული ტექნიკური და ტაქტიკური ავტონომია, მათ შორის: საკუთარი შეიარაღება, საბრძოლო კომპლექტები, მართავი და ზურგის უზრუნველყოფის შიდა სისტემა და დამოუკიდებელი სპეცსამსახურები.

განვიხილოთ ზოგიერთი ჩეჩნური ტერორისტ-

ტული დაჯგუფება და მათი ლიდერები.
„გენერალ დუდაევის არმია“.
რეგისტრირებული იქნა ჩეჩნეთის რესპუბლიკა - ჩიქერის ოსტციის სამინისტროს მიერ 1996 წელს „საერთო კავკასიური ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის“ (სტატუსით). 1997 წლის ივნისში იგი აკრძალულ იქნა პრეზიდენტ მასხადოვის ბრძანებით, თუმცა არსებობას მაინც განაგრძობდა.
„არმიის“ მეთაური: ბრიგადის გენერალი სალმან რადუევი.
რაოდენობა: 1996 წელი - 500-800 კაცი, 1998 წლის ბოლოსთვის 2000-3000 კაცი (თვითშეფასებით: მუდმივი რაოდენობა 5000 კაცი, სამხილიზაციო რაოდენობა - 4000 კაცი). „არმიის“ ცოცხალი ძალა დაკომპლექტებული იყო ნოჟაი-იურთის და გუდერმესის ტიპების, შელ-კოკის და ნაურის რაიონების ზოგიერთი ტიპების წარმომადგენლებსგან.
საველე მეთაურები: ვახა ჯაფაროვი, სულთან მინაევი, სულეიმანი („კომისარი“).
სტრუქტურა:
➤ შტაბი (დისლოკაციის ადგილი ქაგუ-დერმესი, ქგროზო);
➤ ჩეჩნეთა სამხედრო რაზმები (ცვალებადი შემადგენლობის ტაქტიკური ჯგუფები ე.წ. „ბატალიონები“ და „ასეულბ“);
➤ კავკასიელთა სამხედრო რაზმები (ინგუ-შების, ყაბარდოელების, ოსების, ნოღაელების „პოლკი“);
➤ სპეცდანიშნულების ჯგუფი „მარტოხელა მგელი“ (200 კაცი);
➤ „სიკვდილმისჯილთა“ ჯგუფი (40 კაცი);
➤ ცალკეული რეაქტიული „დივიზიონი“;
➤ დაზვერვის, კონტრდაზვერვის, განსაკუთრებული დანიშნულების განყოფილება და ანალიტიკოსთა ჯგუფი;
➤ შიდა უშიშროების სამსახური და პირადი დაცვა (100-160 კაცი);
➤ ქიმიური ლაბორატორიის და მომწამლაკი საბრძოლო ნივთიერება „სმერჩ“-ის მოხმარების განყოფილება;
➤ საბრძოლო მასალების და დაცვის განყოფილება;
➤ სასწავლო ცენტრები (გუდერმესის, ნადტუ-რენის, შელკოვოს).
შეიარაღება:
T-72 ტიპის საბრძოლო ტანკი (4 ერთეული); ქვეითთა ჯავშანმანქანა (6 ერთეული); ჯავშანტრანსპორტიორი (6 ერთეული); ზალკური ცეცხლის რეაქტიული სისტემა (რამოდენიმე ერთეული); საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „სტინგერი“ (რაოდენობა უცნობია); სპეციალზირებული საბრძოლო ავტომანქანა (10 ერთეულზე მეტი).
აღნიშნული შეიარაღება და ტექნიკა წარმოდგენდა სამხედრო ნადავლს ან შესყიდული

შეიარაღება და მათი ლიდერები.
საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: ქ. გუდერმესი, დასახლებული პუნქტები: ნოჟაი-იურთი, ახალი გორდალი, არსენი, კოშკელდი, დალესტინის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორია, დალესტინის ტერიტორიაზე ხასაგიურთის და ბაბაიურთის რაიონების ნაწილი.
განმსხვავებელი ნიშნები: შავი ბერეტები, შევრონები წარწერით „კავკასია“ - გენერალ დუდაევის არმია; სამხედრო ჯილდოები: „გენერალ დუდაევის“ და „კავკასიის გმირის“ ორდენები. „დუდაევის არმიის“ მასხაიათებელია მაღალი დისციპლინა.
კონტაქტები: ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რადიკალური ორგანიზაციები, არაბეთისა და პაკისტანის არასამთავრობო ორგანიზაციები (ინსტრუქტორების მივლინება, ადგილობრივი კადრების მომზადება, ფინანსური დახმარება), რუსეთის ჩეჩენური დიასპორა.
დაფინანსება: ადგილობრივი კომერციულ-ფინანსური სტრუქტურები, ნაურის რაიონის ნავთობპროდუქტების კუსტარული საქაჩი და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, არაბეთის და პაკისტანის არასამთავრობო ორგანიზაციები, რუსული წყაროები (კავშირის საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, ავტომანქანები).
ჩეჩნეთის ტერიტორიაზე სამხედრო კამპანიაში მონაწილეობის გარდა, „დუდაევის არმიის“ ბოვიკებმა რუსეთის ფედერაციის ზოგიერთ რაიონში (პიატიგორსკი, არმავირი, ვორონეჟი) განახორციელეს ტერორისტული და დივიზიული აქტები, რისთვისაც აქტიურად იყენებდნენ რუს სამხედრო ტყვეებს, გადამირებულ სლავ მოსახლეობას, ქალებს.
შამილ ბასაევის შეიარაღებული ფორმირება.
ფორმირების მეთაური: დივიზიის გენერალი შამილ ბასაევი.
რაოდენობა: დაახლოებით 1500 კაცი, სამო-ბილიზაციო რაოდენობა დაახლოებით 3000 კაცი. ძირითადად დაკომპლექტებული იყო ვედეზის რაიონის მაცხოვრებლები. 1999 წლის სექტემბერში ფორმირების 270 ბოვიკი წარმოადგენდა არაბული და სხვა ისლამური სახელმწიფოების დაქირავებულ მებრძოლს.
პრაქტიკულად ბასაევის ფორმირება წარმოადგენდა „ჩიქერის და დალესტინის ხალხთა კონგრესის“ შემადგენელ ნაწილს.
საველე მეთაურები: შირვან ბასაევი, ასლან-ბეკ აბდულხაჩიევი, ასლანბეკ ისმაილოვი, აბუ სუჰაინ ჩიმბრბაევი, ასლანბეკ ედისულთანოვი და სხვა.
სტრუქტურა:
➤ 1999 წლის დასაწყისისათვის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა აფხაზეთის ომის „სიკვდილმისჯილთა“ ბატალიონი;
➤ 1994-96 წლების სამხედრო კამპანიიდან დარჩენილი დაახლოებით 300-მდე ბოვიკი;

„ისლამური სამხედრო ბრიგადის“ ქვედანაყოფი;
➤ პირადი დაცვის ჯგუფი „ალმაზ“-ი;
➤ რაზმი „სკოპიონი“ (500 კაცი), რომელიც ნაწილობრივ ლეგალიზაციის მიზნით 1998 წლის ზამთარში სამხედრო ნაწილის სახით შევიდა ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში;
➤ დივერსანტთა მომზადების 2 სასწავლო ცენტრი, რომელიც მოქმედებდა ვაჰაბიტური ორგანიზაციების და ოფიციალური ძალების სტრუქტურების ერთდროული სტატუსით. ისინი განლაგებულნი იყვნენ სერუენ-იურთის რაიონში, მდ.ხუდ-ზულაის მარცხენა ნაპირზე. ერთერთი უშუალოდ იმყოფებოდა შამილ და შირვან ბასაეულების დაქვემდებარებაში.
შეიარაღება:
საბრძოლო ტანკი (6 ერთეული); ქვეითთა საბრძოლო მანქანა (რამოდენიმე ერთეული); თვითმავალი საარტილერიო დანადგარი (2 ერთეული); ზალკური ცეცხლის რეაქტიული სისტემა (რაოდენობა უცნობია); ტანკსაწინააღმდეგო საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „სტრელა“-1; თანამგზავრული კავშირის სისტემა; მსუბუქი მოტორიანი საორტული ტიპის და „იაკ“-18 ტიპის თვითმფრინავები (რამოდენიმე ერთეული); ვერტმფრენი? (რამოდენიმე ერთეული).
საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: ქ. გროზო, გროზოს სოფლები; რაიონები: ვედეზი (ცა ვედევი, დიშენ ვედევი), ნოჟაი-იურთი, შატრი, შელკოვი, ჩერვლენაია.
თავდაცვის საერთო ოპერატიული გეგმის შესაბამისად ფორმირება აკონტროლებდა დალესტინის (ხასაგიურტის სექტორი) და სტაფროპოლის (სტაფის სექტორი) საზღვრისპირა ტერიტორიებს. გელაევის შეიარაღებული ფორმირება ოფიციალურად აღნიშნული ფორმირება უზრუნველყოფდა სადგომო-სატიტორთ კოლონების დაცვას. ორგანიზაციის პოლიტიკა საფარს წარმოადგენდა „სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ვეჭერანთა საბჭო“.
ფორმირების მეთაური: ჩეჩნეთის რესპუბლიკა - ჩიქერის ყოფილი თავდაცვის მინისტრი რუსლან გელაევი.
რაოდენობა: 500-დან 1000 კაცამდე. მათ ძირითად ნაწილს წარმოადგენდა სპეცდანიშნულების პოლკ „გალანჩიისკი“-ს შატოსი, ურუს-მარტანის, აჩხო-მარტანის რაიონების, აგრეთვე ჩეჩენ-ინგუშთა საერთო ტიპების ურსტოის და მელხისტინის წარმომადგენლები.
საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: რაიონები: აჩხო-მარტანი, ურუს-მარტანი. აღსაზრდევის სამხედრო ფორმირება.
ფორმირების მეთაური: ჩეჩნეთის რესპუბლიკა - ჩიქერის პარლამენტის თავმჯდომარე

რუსლან ალიხაევი.
რაოდენობა: 360 კაცი (1996 წლის მონაცემები).
შეიარაღება: საზენიტო-სარაკეტო დანადგარი (რამოდენიმე ერთეული). სადგომო-ტიტორთა (31 ერთეული).
სამოქმედო ტერიტორია: შალის რაიონი. ვახა არსანოვის შეიარაღებული ფორმირება.
ფორმირების მეთაური: ჩეჩნეთის რესპუბლიკა - ჩიქერის ვიცე-პრეზიდენტი ვახა არსანოვი.
რაოდენობა: დაახლოებით 150 კაცი, ძირითადად დაკომპლექტებულია ჩეხერლოის ტიპის მოსახლეობისგან.
სამოქმედო ტერიტორია: სტაროპრო-მისლოვის რაიონი (ქ. გროზი).
1999 წლის თებერვალში აღნიშნული ფორმირება ტრანსფორმირდა „სამხედრო ბრიგადად“ (რაოდენობა 300 კაცი).
ისრაპილოვის შეიარაღებული ფორმირება.
ფორმირების მეთაური: ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსი, ბრიგადის გენერალი ხუნკარ-ვაშა ისრაპილოვი.
რაოდენობა: უცნობია.
სამოქმედო ტერიტორია: ურუს-მარტანის რაიონი.
ხალხოროვეის შეიარაღებული ფორმირება. (ბაშუთის პოლკი)
ფორმირების მეთაური: ბრიგადის გენერალი რუსლან ხალხოროვი.
რაოდენობა: დაახლოებით 300 კაცი (მათგან 100 კაცი იმყოფებოდა მუდმივ მზადყოფნაში „ბაშუთის ბაზაზე“). ფორმირებას ძირითადად შეადგენდნენ დამოუკიდებელი ვაინახური ჯგუფ ყარაბულაკის (ორსტოის ტიპი) წარმომადგენლები.
სტრუქტურა: 2 „ბატალიონი“ და 1 დივერსიული სკოლა, რომელსაც რუსლან ხალხოროვის ძმები ხელმძღვანელობდნენ.
შეიარაღება:
ჯავშანტრანსპორტიორი (ერთეული); ქვეითთა საბრძოლო მანქანა (ერთეული); საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „სტინგერი“, „იგლა“.
საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: აჩხო-მარტანი (ბაშუთი); ინგუშეთის სუნჯის რაიონის დასახლებული პუნქტები: ასინოვსკი, სერნიკოვი, ჩემულგი. ცალკეული ჯგუფები პერიოდულად მოქმედებდნენ ჩრდილოეთ ოსეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე. ძირითადად ახორციელებდნენ მძევლების გატაცებას ფულის გამოძალვის მიზნით.
იამადიევის შეიარაღებული ფორმირება.
ფორმირების მეთაური: ბრიგადის გენერალი სულეიმან იამადიევი.
რაოდენობა: 150 კაცი (რომლებიც ამავე

დროულად მსახურებდნენ ეროვნული გვარდიის ადგილობრივ ბატალიონში).

საველე მეთაურები: ძმები ხალიდ და ვახა ჯაბრალეები.

საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: გუდერმესის და კურჩალუს რაიონები.

იანდარბიევის შეიარაღებული ფორ- მირება.

ფორმირების მეთაური: პრეზიდენტის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი ზელიმხან იანდარბიევი.

რაოდენობა: დაახლოებით 200-300 კაცი. საბაზო და სამოქმედო ტერიტორია: გროზნო, ახალი და ძველი ატაგი.

განვითარებით საველე მეთაურების სხვა მცირერიცხოვანი ფორმირებები, რომელთაც ე.წ. „ბრიგადის გენერლები“ ხელმძღვანელობდნენ.

აბდო ამირევის შეიარაღებული ფორ- მირება. რაოდენობა - დაახლოებით 130 მეზ- რძოლი; სამოქმედო ტერიტორია - ახსოი-მართა- ნი. ფორმირებასავარაუდოდ შედიოდა „გენერალ დუდაევის არმიის“ შემადგენლობაში.

ტაუს ბოგურაევის შეიარაღებული ფორმირება. რაოდენობა - 100 მეზრძოლზე მეტი; სამოქმედო ტერიტორია - ნაურის რაიონი, ჩენეთ- ინგუშეთის საზღვრის ჩრდილოეთ სექტორი, ჩენეთ-სტავროპოლის საზღვრის ნაწილი, ინგუ- შეთის მალგობეკის რაიონის ნაწილი. ფორმი- რების წევრები სტავროპოლის მხარეში პერიოდუ- ლად ახორციელებდნენ ადამიანების გატაცებას და მათსავე განადგურებას. რაოდენობა - დაახლოებით 100 მეზრძოლი; საბაზო ტერიტორია - ქ. გუდერმესი.

ირბეკოვის შეიარაღებული ფორმირება. რაოდენობა - 350 კაცი.

მადაევის შეიარაღებული ფორმირება (შალის რაიონის დამოუკიდებელი თავდაცვითი ჯგუფი). რაოდენობა - უცნობია; (ძირითადად დაკომპლექტებულია ადგილობრივი ცემენტის ქარხნის მუშა-მოსახლეობისგან).

მინაევის შეიარაღებული ფორმირება. რაოდენობა - დაახლოებით 200 კაცი; შეიარაღება - ქვეითთა საბრძოლო მანქანა (1 ერთეული), ნაღმტყორცნი (კალიბრი 82-მმ, 1 ერთეული); საბაზო ტერიტორია - ალხან იურთი.

მოვსაევის შეიარაღებული ფორმირება. რაოდენობა - უცნობია; საბაზო ტერიტორია - შალის რაიონი.

სატყევის შეიარაღებული ფორმირება. კენტ-იურთის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი.

ელი სულთანოვის შეიარაღებული ფორმირება. „ბორხაშ ისლამი“ (ისლამის მგლები). რაოდენობა - უცნობია; საბაზო ტერიტორია - ურუს-მართანი;

ძმები ტავლეევის შეიარაღებული

ფორმირება. რაოდენობა - უცნობია, საბაზო ტერიტორია - სოფელი რომში-აჩუ.

კამშათოვის შეიარაღებული ფორ- მირება. რაოდენობა - 500 კაცი (1996 წლის მონაცემებით); ავტოტექნიკა - „კამაზი“-ს ტიპის 18 ავტომანქანა; საბაზო ტერიტორია - ქ. არდუნი.

დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმები. უმეტეს დასახლებულ პუნქტებში მოქმედებდა ძირითადად ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან დაკომპლექტებული თავდაცვითი რაზმები. განვი- ხილეთ ზოგიერთი მათგანი:

ახსოი-მართანის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი. რაოდენობა - დაახლოებით 300 კაცი, სამოხილიზაციო რაოდენობა - დაახ- ლოებით 700 კაცი; შეიარაღება - ნაღმტყორცნი (კალიბრი 82მმ, რამოდენიმე ერთეული); საბაზო და სამოქმედო ტერიტორია - დასახლებული პუნქტები ახსოი-მართანი, ბაშუთი, ირეხოვო, ასინოვკაია, სერნოვოდსკი (ინგუშეთი).

ვედნოს დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი. რაოდენობა - უცნობია; სტრუქტურა - 12 (17-32 კაციანი) ავტონომიური საბრძოლო ჯგუფი, მათ შორის „ტყის ლეგიონი“; შეიარაღება - საზენიტო დანადგარი (1 ერთეული).

ნოუაი-იურთის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი. რაოდენობა - უცნობია; შეიარაღება - ქვემეხი (კალიბრი 76მმ, 1 ერთეული).

ურუს-მართანის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი. რაოდენობა - 200 კაცი; შეიარაღება - ჯავშანტანსპორტიორი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა (რამოდენიმე ერთეული); საბაზო და სამოქმედო ტერიტორია - ურუს-მართანი, შალეი, გეიხ-იუ, გეიხი.

შტორის დამოუკიდებელი თავდაცვითი რაზმი („შტორის პოლიკი“). რაოდენობა - 100-150 კაცი; შეიარაღება - ჯავშანმანქანა (რამოდენიმე ერთეული); საბაზო ტერიტორია - ითუმ-ყალეს რაიონის ტყის მასივი.

შელკოვის დამოუკიდებელი თავდა- ცვითი რაზმი. რაოდენობა - უცნობია. რაზმის 30 კაცია ანაზა ჯგუფმა საბრძოლო მომზადება გაიარა პაკისტანში.

ორგანიზებული დამანაშავეთა შეიარა- ლებული დაჯგუფებები.

აღნიშნულ პერიოდში ჩენეთის ტერიტო- რიაზე არსებობდა გასაბედროებული კრიმი- ნალური დაჯგუფებები ცვალებადი რაოდენობით, რომლებიც აკონტროლებდნენ განსაზღვრულ ტერიტორიებს. ჩენეთის შეიარაღებული ძალების 20% კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელია ან გააჩნია სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ნარსული. რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით სულ 126 მსგავსი დაჯგუფება დაფიქსირებული, თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით - 187, ფედერალური უშიშროების სამსახურის მონაცემებით - 300.

არაკანონიერი შეიარაღებული დაჯგუფე- ბების და ორგანიზებულ დამანაშავეთა ჯგუფების

საერთო რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 3500 კაცს. მათ გააჩნდათ გარკვეული შეიარაღება, სატრანსპორტო საშუალებები და ჰყავდათ მფარველთა ოფიციალურ სტრუქტურებში. მათ მიერ კონტროლირდებოდა ნაქონიწარმოების 20%, კომერციული სექტორის დიდი ნაწილი (ბაზრები, მაღაზიები, საბითუმო ვაჭრობა). მსხვილი და საშუალო გაერთიანებები შეადგენდა დაახლოებით 300 კაცს, წვრილი დაჯგუფებები აერთიანებდა 15-20 კაცს. დაჯგუფებები ორგანი- ზებულნი იყვნენ ტერიტორიული ნიშნით (დასა- ხლებული პუნქტის და რაიონის კონტროლის მიხედვით) და ძირითადად დაკავებული იყვნენ რეკრეაციით, ძარცვით, ადამიანთა გატაცებით. განვი- ხილეთ ზემოაღნიშნული სახის ზოგიერთი დაჯგუფება:

სალაფდი აბულკაზაოვის ორგანიზე- ბული დამანაშავეთა შეიარაღებული დაჯგუ- ფება. რაოდენობა - უცნობია; დანაშაულებრივი საქმიანობა - მძევლების გატაცება ფულის გამოძალის მიზნით; სამოქმედო ტერიტორია - რესპუბლიკის დასავლეთ რაიონები, ინგუშეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორია.

ხიზრი ალბაზოვის ორგანიზებულ დამანაშავეთა შეიარაღებული დაჯგუფება. რაოდენობა - 300 კაცამდე; დანაშაულებრივი საქმიანობა - მძევლების გატაცება; სამოქმედო ტერიტორია - სოფლები: ალხან-ყალა, დოლინსკი.

ახმალოვების ორგანიზებულ დამანაშავეთა შეიარაღებული დაჯგუფება. რაოდენობა - უცნობია; სამოქმედო ტერიტორია - ურუს-მართანის რაიონი, დაღესტნის რესპუ- ბლიკის გარკვეული ტერიტორია. მოქმედებდა მძევლების ორგანიზაციის საფარით.

ბაჟუდი ბაკუევის ორგანიზებულ დამანა- შავეთა შეიარაღებული დაჯგუფება. რაო- დენობა - უცნობია; სამოქმედო ტერიტორია - ურუს-მართანის რაიონი.

არბი ბარაევის ორგანიზებულ დამანა- შავეთა შეიარაღებული დაჯგუფება. რაო- დენობა - 70-80 კაცი; სამოქმედო ტერიტორია - ურუს-მართანის რაიონი, გროზნოს დასავლეთ ნაწილი, ინგუშეთთან სასაზღვრო ზოლის მიმდე- ბარე ტერიტორია; შეიარაღება - ხელის ავტო- მატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრევე (50 ერთეული), ხელის ტანკსანინალმდეგო ექსპანზი.

ბატაევის ორგანიზებულ დამანაშავეთა შეიარაღებული დაჯგუფება. რაოდენობა - დაახლოებით 150 კაცი; სამოქმედო ტერიტორია - ნადტერეკის რაიონი.

ძმები ვარაევის ორგანიზებულ დამანა- შავეთა შეიარაღებული დაჯგუფება. რაო- დენობა - უცნობია; სამოქმედო ტერიტორია - ურუს-მართანის რაიონი, ინგუშეთის გარკვეული ნაწილი.

ხადიტი დადევის ორგანიზებულ დამანა- შავეთა შეიარაღებული დაჯგუფება. რაო-

დენობა - დაახლოებით 300 კაცი.

ელხოვ ჰუსეინის ორგანიზებულ დამანა- შავეთა შეიარაღებული დაჯგუფება. რაო- დენობა - 50 კაცი; სამოქმედო ტერიტორია - ჩენეთის ჩრდილოეთ საზღვრის მიმდებარე ტერიტორია.

ალი იტაევის ორგანიზებულ დამანა- შავეთა შეიარაღებული დაჯგუფება. რაო- დენობა - უცნობია; სამოქმედო ტერიტორია - ურუს-მართანის რაიონის ნაწილი.

სომხეთი

1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის ეროვნული კრების სხდომათა დარბაზში შეიჭრა 3 შეიარაღებული პირი, პარტიზა „დაშნაკ- ცუტუნი“-ს ერთ-ერთი წევრის ნაირ უნანიანის ხელმძღვანელობით, რომლებმაც გახსნეს ცეცხლი კრების წევრების მიმართულებით. შედეგად დაიღუპა ოთხი ადამიანი - პარლამენტის თავმჯდომარე კარენ დემირჩიანი, მისი მოადგი- ლეები იური ბახშიანი და რუბენ მირიოანი, პრე- მიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი. სომხეთის ეროვნულ კრებაზე განხორციელებულმა ტერაქ- ტმა დიდი გავლენა იქონია ქვეყნის მომავალ განვითარებაზე, თუმცა ტერორისტების განცხა- დებით, მათ მხოლოდ შერიდის და არასახავდნენ რაიმე პოლიტიკურ მიზნებს და არც რაიმე მოთხოვნები გააჩნდათ.

სომხები და უცხოელი ექსპერტების უმრავ- ლესობა მომდებარე ფაქტს ტერაქტად მიიჩნევენ. მიმოხილველების ნაწილი ეროვნული კრების თავმჯდომარე კარენ დემირჩიანის და პრემიერ- მინისტრი ვაზგენ სარქისიანის მკვლელობას იმ პერიოდში სომხეთში განვითარებულ მოვლენებს დაუკავშირებს და ტერაქტი ძალაუფლებისათვის ბრძოლის გამოვლენებად მიიჩნევენ. 1999 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებში სარქისიანის და დემირჩიანის ბლოკ „ერთობის“ გამარჯვებას ულტრანაციონალისტურად განსაზღვრული პოლი- ტიკური ძალების დასუსტება მოჰყვა. „დაშნაკ- ცუტუნი“-ს საპარლამენტო მცირესობაში მოექცა, შესუსტდა „ყარაბაღის პარტიის“ გავლენაც, რომელსაც თავად პრეზიდენტი და სერჟ სარქისიანი წარმოადგენდნენ. ვაზგენ სარქისიანმა სერჟ სარქისიანის დაქვემდებარებაში მყოფი უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილად გააკა და შს-ს თავისი ერთგული სურენ აბრამიანი საუფროსათავე.

გარდა ამისა, პრემიერი ვ. სარქისიანი მხარს უჭერდა ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებას, რაც გულისხმობდა ცალმხრივი პრორუსული ორიენტაციის ნაცვლად, დასავ- ლეთთან უფრო განთანაბრებული ურთიერ- თობების დამყარებას. აღნიშნული პრობლემების ფონზე იგი ნელ-ნელა დამორდა ყარაბაღული სომხეთის ინტერესებს და ყოფილი პრეზიდენტის, ტერ-პეტროსიანის კურსს დაუახლოვდა, რაც მისი

არჩენენში გამარჯვების შემდეგ ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების პროცესის პროგრესში გამოიხატა.

ალსანიშნავია, რომ ტერორისტების მეთაური უნაინი „დაშნაკთა“ პარტიის აქტიური წევრი იყო და ყარაბაღის ომში ამ პარტიის ბრიგადაში იბრძოდა (პრეზიდენტმა ტერ. პეტროსიანმა თავის დროზე „დაშნაკთა პარტია ტერორიზმის ბრალ“ დართო აკრძალა, რის საპასუცე პარტიის წარსულიც იძლეოდა. „დაშნაკები“ დღემდე „სომხეთის მტრების“ ფიზიკური განადგურებისაკენ მოუწოდებენ).

ყველაზე მეტად ტერაქტის პოლიტიკურ ელფერზე სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის რეაქცია მიუთითებს. ბოლო წლებში სარქისიანი თავდაცვის მინისტრის მოვალეობას ასრულებდა და სამინისტრო მის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა. მოგვიანებით თავდაცვის სამინისტრომ გააკეთა განცხადება, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებისა და გენერალური პროკურორის გადადგომის მოთხოვნით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ ტერაქტი სახელმწიფო გადატრიალებად აღიქვა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ვ. სარქისიანის და ვ. დემირჩიანის მკვლელობას პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად და იგი სომხეთის რადიკალურ-ნაციონალისტური ძალების შეკვეთით განხორციელდა, რაც მის თანხლებს პროცესებთან ერთად სახელმწიფო გადატრიალების ცილფასად შეიძლება მივიჩნიოთ.

განვიხილოთ სომხური ტერორისტული ორგანიზაცია.

ახალა (სომხური საიდუმლო არმია სომხეთის გათავისუფლებისათვის).

რადიკალური მემარცხენე ორიენტაციის სომხური დაჯგუფება. დაარსდა 1975 წელს.

დაშნაკისებელი: აკოვ აკოვინი.

მიზანი: აბოლუო თურქეთის მთავრობა აღიაროს 1915 წლის სომეხთა გენოციდი.

მოქმედების ადგილი: დასავლეთ ევროპა, აშშ, შუა აღმოსავლეთი, ლიბანი, სომხეთი.

რაოდენობა: 400-მდე წევრი.

ბრძოლის მეთოდი: შენობების აფეთქება, ადამიანთა გატაცება.

დაფინანსება: სირია, ლიბია, უცხოეთში არსებული სომხური დიასპორა, პალესტინის ზოგიერთი რადიკალური ტერორისტული დაჯგუფება.

განხორციელებული ტერორისტული აქტები:

1980 წელს აშშ-ს ავიაკომპანიების ოფისების აფეთქება დასავლეთ ევროპაში;

1983 წელს თურქეთის ავიაკომპანიის ოფისების აფეთქება პარიზში, ორლის

აეროპორტში (დაიღუპა 8 და დაშავდა 54 ადამიანი);

1992 წელს განახორციელეს თავდასხმა

თურქეთის საელჩოზე უნგრეთში. გარდა ამისა, სხვადასხვა წლებში ახორციელებდნენ თავდასხმებს თურქულ ობიექტებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

ახსარბაიჯანი

ბოლო პერიოდში აზერბაიჯანში არ დაფიქსირებულა რაიმე სერიოზული ტერორისტული აქტი, თუმცა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ცენტრი, რომელსაც კავშირი ჰქონდა საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან და მათ ბოევიკებს უწევდა მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

ალსანიშნავია რომ, თუ აქამდე ოფიციალურ ბაქოს ბრალი ედებოდა ჩეჩენი ტერორისტების მხარდაჭერაში, რუსეთის ხელისუფლებისათვის 2000 წლის სექტემბერში 8 დღის განმავლობაში ტერორისტის გადაცემის შემდეგ, მკვეთრად შეიცვალა ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერების დამოკიდებულება ოფიციალური ბაქოს მიმართ.

აზერბაიჯანში 2000 წლის აგვისტოს თვეში ადგილი ჰქონდა პარტია „მუსავატი“-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელის მესტი ჰუსეინლის მიერ პოლიტიკური მოქმედებით თვითმფრინავის გატაცების მცდელობას, რაც ხელისუფლებამ სრულად გამოიყენა პარტია „მუსავატი“-ს წინააღმდეგ ფართო პროპაგანდის წამოსაწყებად. ამ ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით დააპატიმრეს გაზეთ „იგენ მუსავატი“-ს მთავარი რედაქტორი რაუფ არიფ ოღლი აბასოვი.

განვიხილოთ აზერბაიჯანული ტერორისტული ორგანიზაცია.

„ჯეიშულაჰი“.

2000 წლის ოქტომბრის თვეში აზერბაიჯანში გაასამართლეს ტერორისტული ორგანიზაცია „ჯეიშულაჰის“ („ალაჰის არმია“) წევრები.

ორგანიზაცია შეიქმნა 1996 წელს.

ხელმძღვანელი: მუბარის ალიევი.

მიზანი: ბრძოლა ისლამის სინონიმისთვის.

იდეოლოგია: რელიგიური ექსტრემიზმი.

მოქმედების ადგილი: აზერბაიჯანი.

შტაბბინა: ქ. ბაქო.

სტრუქტურა: შეიარაღებული დაჯგუფება.

რაოდენობა: 25 წევრი.

ბრძოლის მეთოდი: აფეთქება, შეიარაღებული თავდასხმა ობიექტებზე.

დაფინანსება: მოსახლურების ძარცვა.

განხორციელებული ტერაქტები:

1999 წელს მოკლეს ექსტრასენის ეტიბარ მაშედაღევი და მისი ორი მცირეწლოვანი ვაჟი;

1999 წელს განახორციელეს თავდასხმა „რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის“ ბაქოს ფილიალზე;

1999 წელს ორგანიზაციის წევრები ცდილობდნენ „კრწმას იდეოლოგიის საზოგადოების“ ოფისის დასესას;

1999 წელს „ჯეიშულაჰის“ ორგანიზაციას

დაგეგმილი ჰქონდა ზაბრაძის აეროპორტიდან „მი-8“ ტიპის ვერტიკალური გატაცება და ტერაქტის განხორციელება აშშ-ს საელჩოზე ბაქოში.

სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით მუბარის ალიევის მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, ხოლო ორგანიზაციის 12 წევრი - თავისუფლების აღკვეთა ვადით 4-დან 12 წლამდე. ამჟამად „ჯეიშულაჰის“ რამოდენიმე წევრი იმყოფება ციხეში. ორგანიზაციის წევრთა მიერ განხორციელებულმა მძიმე დანაშაულებმა თვალსაჩინო გახადა, რომ რელიგიური ექსტრემიზმი წარმოადგენს სერიოზულ საშიშროებას არა მარტო შვედეთის ორგანიზაციის მოსახლეობისათვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს შიდა სტაბილურობისათვის.

(ი)შრქ(ი)ი

ერთ-ერთ უმძიმეს პრობლემას, რომელიც თურქეთის ხელისუფლებისა და მთელი მოსახლეობის წინაშე დგას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. ეს საკითხი საზოგადოებრიობის განხილვის საგნად განსაკუთრებული სიმწვავეთა მიხედვით პერიოდში იქცა, მას შემდეგ, რაც თურქეთის სპეცდანიშნულების რაზმებმა კენიის დედაქალაქ ნაირობიში მიმდინარე წლის თებერვალში დააპატიმრეს ქურთ მუშათა პარტიის ლიდერი აბდულაჰ ოჯალანი, რომლის შეიარაღებულ რაზმებთან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში თურქეთის სამთავრობო საჯაროების ნაწილები 1994 წლიდან აწარმოებენ ბრძოლას.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ ნომირ პირველ ტერორისტად მიჩნეულ აბდულაჰ ოჯალანის დაპატიმრებისა და მისთვის სასჯელი განაჩენის გამოტანის შემდეგაც, „პკკ“-ს ბოევიკების წინააღმდეგ ბრძოლა თურქეთის ხსენებულ რეგიონებში კვლავ მიმდინარეობს.

თურქეთში არსებული ტერორისტული ორგანიზაციები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

• ქურთული სეპარატისტული ორგანიზაციები;

• რადიკალური მემარცხენე ორგანიზაციები;

• შეიარაღებული ისლამური დაჯგუფებები.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, სამივე კატეგორიის ტერორისტული ორგანიზაციების საერთო რაოდენობა ამჟამად რამოდენიმე ათეულს შეადგენს, მათ შორის 15 - შეიარაღებული სეპარატისტული დაჯგუფება, 33 - სხვადასხვა შეიარაღებული ორგანიზაცია. ისლამურ ბოევიკთა რაზმების რაოდენობა 30-ს აღწევს, საიდანაც 6 - შეიარაღებული დაჯგუფება, 23 - რადიკალურ რელიგიურ ორგანიზაცია ითვლება.

სხვადასხვა მიმდინარეობის ტერორისტული ორგანიზაციები თავის საქმიანობას ორ ეტაპად ახორციელებენ. საკუთარი დაჯგუფებების კადრების დაკომპლექტებისა და სხვა საორ-

განიზაციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, ისინი სარგებლობენ ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციით და ცდილობენ საკუთარი მიზნების ცხოვრებაში გატარებას, რასაც, მათი გეგმით, ახლო მომავალში სამოქალაქო ომის დაწყება უნდა მოჰყვებოდა.

ტერორისტული დაჯგუფებების შევსება ძირითადად ახალგაზრდებით ხდება. ამგვარ ორგანიზაციებში უმთავრესად უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები შედიან. ტერორისტული ორგანიზაციების კადრების მისწვლელოვან წყაროს თურქეთის ორი უდიდესი ქალაქის - სტამბოლისა და ანკარას უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები შეადგენენ.

ალსანიშნავია, რომ ეს შეიარაღებული დაჯგუფებები სხვადასხვა რაოდენობისაა, რომელთა შორის ზოგიერთი მათგანი მცირე რიცხოვანია და სახელმწიფოსთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენს.

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში ბოლო 15 წლის მანძილზე ბრძოლები მიმდინარეობს სამთავრობო ჯარებსა და „პკკ“-ს ბოევიკებს შორის. ბოლო წლებში „პკკ“ შეეცადა შეტაკებების არეალი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის რაიონების ხარჯზე გავფართოვებინა. თუ ქურთების დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ორგანიზაციები, რომელთა დიდი ნაწილი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის გარდა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის იბრძვის, სხვა ორი კატეგორიის შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

➤ თურქეთში მემარცხენე ორგანიზაციების უმეტესი რაოდენობა აქტიურ მოღვაწეობას 80-იან წლებამდე ეწეოდა. ამ არალეგალური მარქსისტულ-ლენინისტური პარტიების (რომლებიც დიდი ხანია იატაკქვეშა მოღვაწეობას ეწევიან) საბოლოო მიზანია ქვეყანაში კომუნისტური წყობის დამყარება. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედროების ჩარევის შემდეგ მათმა ერთმა ნაწილმა დასაველეს, კერძოდ ევროპას მიაშურა.

➤ რაც შეეხება ისლამურ შეიარაღებულ ორგანიზაციებს, მათი გაძლიერება უმთავრესად 80-იან წლებში მოხდა. ისლამური მიმდინარეობის ლიდერები საბოლოო ჯამში მიზნად ისახავენ რესპუბლიკური თურქეთის ლაიკისტური წყობის შეცვლას ისლამური, შარიათული რეჟიმით. რადიკალური ისლამის აქტივიზაციის გარე ფაქტორად პირველ რიგში, მეზობელი ირანის გავლენა უნდა დასახელდეს.

ტერორისტულად მიჩნეული ორგანიზაციების წინააღმდეგ იბრძვიან არა მარტო ქვეყნის სამართლდამცავი ორგანოები, არამედ რიგ შემთხვევებში პოლიტიკური პარტიების გასაშვად დროულად აქტივობის ტემპი. ამ მხრივ ალსანიშნავია ორგანიზებული თურქეთის ნაციონალისტური მოძ-

რაობის ორგანიზაციის „რუხი მგლები“ აქტივისტების სასტიკი ანგარიშსწორებები უკიდურესი მემარცხენე იდეების გამტარებელი ორგანიზაციის წევრების მიმართ.

ქურთული ტერორისტული ორგანიზაციები:

- ქურთ მუშათა პარტია;
- ქურთისტანის სოციალისტური პარტია;
- ჩრდილოეთ ქურთისტანის დემოკრატიული პარტია;
- ქურთისტანის ხსნის პარტია;
- ქურთისტანის პროლეტარული კავშირი;
- ქურთისტანის ისლამური კავშირი;
- ქურთისტანის ეროვნული ხსნის პარტია;
- ქურთისტანის სოციალისტური მოძრაობა;
- ქურთისტანის ეროვნული მხსნელები;
- სოციალისტური ბრძოლა („თექოშინა სოსიალისთ“);

➤ ქურთისტანის გაერთიანებული სახალხო პარტია;

➤ ჩვენი თავისუფლების ორგანიზაცია („სერ-ბესთი“);

➤ ჩემი მასწავლებელი სოციალისტური პარტია;

➤ ზაზისტანის გზა („რაია ზაზისტან“).

მარქსისტულ-ლენინისტური ორგანიზაციები:

- მემარცხენე-რევოლუციური ორგანიზაცია („დევრიმჯიოლ“);
- რევოლუციური გზა („დევრიმჯიოლ“);
- მოქმადინი („აჯილჯილერ“);
- მარქსისტულ-ლენინისტური პროპაგანდის შეიარაღებული კავშირი;
- წინააღმდეგობის მოძრაობა („დირენიშ პარტეიტი“);

- მემარცხენე-დემოკრატიული მოძრაობა;
- სახალხო-დემოკრატიული ორგანიზაცია;
- სახალხო-დემოკრატიული კომუნისტური პარტიის ფრონტი;

➤ თურქეთის მუშათა და გლეხთა ხსნის ორგანიზაცია;

➤ თურქეთის კომპარტიის მარქსისტულ-ლენინისტური სათათბირო;

➤ თურქეთის კომპარტიის მარქსისტულ-ლენინისტური კავშირი;

- ოქტომბერი („ექიმ“);
- თურქეთის დემოკრატიული კომპარტია;
- თურქ მუშათა კომუნისტური კავშირი;
- თურქ კომუნისტ მშრომელთა პარტია;
- თურქ კომუნისტ მშრომელთა ლიგა;
- ქურთისტანის კომპარტია;
- ქურთისტანის წინააღმდეგობის მოძრაობა;
- თურქეთის კომუნისტური პარტია;
- თურქეთის დემოკრატიული პარტია;
- მარქსისტულ-ლენინისტური კომპარტია;
- 16 ივნისის მოძრაობა („16 პაზირან პარტეიტი“);

➤ რევოლუციური დარაზმულობა („დევრი-

მიჯიდერლენიშ“);

➤ მეოთხე მემარცხენე ორგანიზაცია.

შეიარაღებული ისლამისტური რევოლუციური ორგანიზაციები და დაჯგუფებები:

➤ პეზილაპური მოძღვრების დაჯგუფება („პიზილაპური გრუპი“);

➤ პეზილაპური სადგომის დაჯგუფება („პიზილაპური გრუპი“);

➤ ისლამური მოძრაობის ორგანიზაცია („ისლამ პარტეიტი ორგუთუ“);

➤ დიდი აღმოსავლეთის ისლამურ მარბიელთა ფრონტი („ისლამი ბუიუქ დოლუ აქინჯილარ“);

➤ ისლამური საკრებულოების და საზოგადოებების კავშირი („ისლამი ჯემიეთ ვე ჯემათ-ლარ ბირლი“);

➤ შუაგული („ვასათ“);

➤ ვარსკვლავი („ილიზ“);

➤ ორიენტაცია („ორიენტაცი“);

➤ პიზილაპური ერთობა („პიზილაპური ვაჰდეთი“);

➤ პიზილაპური მოწვევა („პიზილაპური ვაჰდეთი“);

➤ პიზილაპური ვაკე („პიზილაპური დუჟუ“);

➤ უღელტეხილი („აქაბე“);

➤ დედამიწა („იერიუზუ“);

➤ მკვდრეთით აღდგომა („ელ ქიამ“);

➤ ერთობის ბირთვი („თეკიმიდი ჩეტირდუქ“);

➤ ნათესი („ექინ“);

➤ განთიადი („ფეჯრ“);

➤ სესხი („იქთიბას“);

➤ მესულმანი მძა („მესულმანი ქარდუშ“);

➤ ერთობა/სალამი („თეკიმი“);

➤ ღვთის ლაშქარი („ჯეიშულლაჰი“);

➤ მემკვიდრეები („სელეფილერ“);

➤ თესლი („თოჟუშ“);

➤ ძალათყულები („ძალათაილილარ“);

➤ საღვთო ომი („მუჯაჰედე“);

➤ საკუთარი მეობისაკენ დაბრუნება („ოზე დონუშ“);

➤ ვაჰაბიტი („ვეჰაბიტი“);

➤ აბისინილი („ჰაბეშ“);

➤ ღმერთთან შერწყმა („ვაჰდეთ“).

ქურთ მუშათა პარტია (PKK).

პოლიტიკურ-ტერორისტული ორგანიზაცია.

ჩამოყალიბდა 1978 წელს. დამაარსებელი და ხელმძღვანელი - აბდულა ოჯალანი.

მიზანი: საწყის ეტაპზე - ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

1990 წლიდან - ავტონომიის მინიჭება. 1984 წელს PKK-მომი გამოუცხადა თურქეთს.

იდეოლოგია: მარქსისტული ორგანიზაცია.

ქურთული სპეციფიკით.

მოქმედების ადგილი: თურქეთი, ევროპა.

შტაბი: დამასკო.

სტრუქტურა: ქურთისტანის ნაციონალურ-გამათვისუფლებელი ორგანიზაცია; ქურთისტანის სახალხო გამათვისუფლებელი არმია.

რაოდენობა: 4000 მებრძოლი.

თავდასხმის ობიექტები: თურქი ჩინოვნიკები, პოლიტიკოსები, დიპლომატები, ბიზნეს-მენები და უცხოელი ტურისტები.

ბრძოლის მეთოდი: პარტიზანული ომი, ტერაქტების მოწყობა ქალაქის ტერიტორიაზე.

კონტაქტები: სომხური იატაკქვეშა ორგანიზაციები.

დაფინანსება: „რევოლუციური გადასახადი“, რომელიც იკრიბება ქურთი მოსახლეობისაგან, ნარკობიზნესი.

განხორციელებული ტერორისტული აქტები:

1993 წელს ჩაატარეს 4000 შეიარაღებული აქტები;

1993 წლის ივნისში ევროპაში ჩაატარეს ტერაქტების სერია თურქი დიპლომატებისა და ბიზნესმენების წინააღმდეგ;

1995 წელს ჩატარდა 411 წარმატებული ოპერაცია. ამავე წელს პოლიციამ გაანადგურა ორგანიზაციის 1000 მებრძოლი, რის გამოც პარტიის აქტიურობა შენედა;

1999 წელს დაპატიმრეს აბდულა ოჯალანი, რომელსაც სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა (განაჩენი დღემდე არ არის სისრულეში მოყვანილი).

რუხი მგლები.

ნაციონალისტურ-პანთურქისტული მოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზაცია. შეიქმნა 1958 წელს თურქეთში.

ლიდერი: ალფარსლან თურქქეში.

მიზანი: თურქული ზეგავლენის გაძლიერება და დიდი თურქული სახელმწიფოს შექმნა.

მოქმედების ადგილი: აზერბაიჯანი და ყოფილი სსრკ-ს სხვა თურქულენოვანი რესპუბლიკები.

რაოდენობა: 200 000 წევრი (1980 წლის მონაცემებით).

კონტინგენტი: წვრილი ბურჟუაზია, სტუდენტები, გლეხები, მუშები.

ორგანიზაცია პოპულარული გახდა რომის პაპზე იოანე პავლე II-ზე თავდასხმის შემდეგ.

1981 წელს ორგანიზაციის საქმიანობას ბოლო მოუღო სახელმწიფო ხელისუფლებამ.

მემარცხენე რევოლუციური ორგანიზაცია - „დევრიმჯიოლ“.

პოლიტიკური ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1978 წელს, მას შემდეგ, რაც გამოეყო „თურქი ხალხის თავისუფლების ფრონტს“.

მიზანი: ეროვნულ-პოლიტიკური რევოლუცია თურქეთში.

იდეოლოგია: მარქსისტული.

მოქმედების ადგილი: თურქეთი (ანკარა, იზმირი, ადანი).

შტაბი: ანკარა.

რაოდენობა: ათასამდე წევრი, ძირითადად

ყოფილი სახელმწიფოები;

თავდასხმის ობიექტები: აშშ-ს, თურქეთის და ნატო-ს სამხედრო ობიექტები, თურქეთის უშიშროების, პოლიციის და სახელმწიფო ფიქსირები.

ბრძოლის მეთოდი: შეიარაღებული თავდასხმები, კვლავლებები, ტერაქტები ქალაქის ტერიტორიაზე, მოქალაქეთა გატაცება, ძარცვა.

კონტაქტები: პალესტინის ტერორისტული ორგანიზაციები, ELA და ELN, ETA, თურქი ემიგრანტები ევროპაში.

დაფინანსება: რადიკალი პალესტინელები, ETA, თურქი ემიგრანტები, მოსახლეობის ძარცვა და გამოძლევა.

განხორციელებული ტერორისტული აქტები:

1981-83 წლებში განახორციელეს თავდასხმები ნატო-ს სამხედრო ბაზებზე თურქეთში;

1991 წელს განახორციელეს ტერაქტები თურქეთის უშიშროებისა და პოლიციის თანამშრომლებზე (დაიღუპა 30 პოლიციელი); 1992-95 წლებში მოაწვეეს თავდასხმა 2 ამერიკელ და 1 ბრიტანელ ბიზნესმენზე.

(იარაღი)

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რეფორმატორებმა ხმათა 63,5%, ხოლო კონსერვატორებმა - 33,7% მოიპოვეს. მიუხედავად ამისა, კონსერვატორებს მაიც გააჩნიათ ბერკეტი რეფორმატორებზე ზეგავლენის მოსახდენად. მაგ: კონსერვატორების ზეწოლით პარლამენტმა მიიღო კანონი „პრესის შესახებ“, რასაც მოჰყვა 18-მდე გაზეთის დახურვა და ზოგიერთი ჟურნალისტის დაპატიმრება. ქ. სორამაბადში აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით გაიმართა საპროტესტო მიტინგი, რომლის დარბევაშიც ირანის გუშაგთა კორპუსისა და პოლიციის გარდა, „პეზილაპ“-ს ბოიკოტმა მიიღეს მონაწილეობა. დარბევის დროს დაიღუპა 10-მდე ადამიანი.

ირანში არსებული პოლიტიკური ვითარება შედეგადად შეიძლება დასახსიანდეს. ქვეყანა დაყოფილია ორ პოლიტიკურ ბანაკად: ➤ რეფორმატორებად, რომლებიც პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენენ, მაგრამ ვერ უღობენ ქვეყნის მართვის რეალურ სადავეებს და არ გააჩნიათ მიზნად დასახული რეფორმების გატარების შესაძლებლობა.

➤ კონსერვატორები, რომელთაც გააჩნიათ ისლამურ-ფუნდამენტალისტური ორიენტაცია, აკონტროლებენ ირანის ძალადობრივ სტრუქტურების ძირითად ნაწილს, აქვთ მჭიდრო ურთიერთობა ტერორისტულ ორგანიზაციებთან, აფინანსებენ და კოორდინაციას უწევენ მათ.

თეირანში გაიზარდა ტერაქტების რიცხვი უმაღლესი ხელისუფლების რეფორმატორი წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც საეკლესიო ერაყში ბაზირებული ტერორის-

ტურქორგანიზაცია „მოჯაჰედინე ჰალყე ირანის“ განხორციელებულია.

ცნობილია, რომ ირანი მართებს და ხელს უწყობს ტერორისტულ ორგანიზაციებს: „პეზბო-ლას“, „ალ ჯიჰადს“ და სხვებს, რომლებიც მოქმედებენ აშშ-ს და დასავლეთ ევროპის მიერ გატარებული პოლიტიკის წინააღმდეგ. მათი აქტიურობა შესაძენიკია იმ რეგიონებში, სადაც დასავლეთი ცდილობს განხორციელოს თავისი ინტერესები. მაგალითად: ირანის კლერიკალური მთავრობა ცდილობდა ხელი შეეშალა ტრასეკას პროექტის განხორციელებისათვის. აქედან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციები გამოჩნდნენ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. მათი საშუალებით ირანი შეეცდება ტერაქტების განხორციელებას არასასურველ პოლიტიკურ მოღვაწეებზე, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე და სხვა. ირანის შეიარაღებულ ძალებში ფუნქციონირებს სპეცდანიშნულების ორგანიზაცია „ყოფნა“, რომლის მოვალეობაა აქტიური და სპეციალური ღონისძიებების გატარება საზღვარგარეთის ქვეყნებში. მისი ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს შიიტური ისლამის „ექსპორტს“ მსოფლიოში. „ყოფნა“-ს აქვს რეზიდენტურები მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში. განსაკუთრებული აქტიურობით მუშაობს ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონებში, ასევე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. გარდა ამისა, სწორედ ამ ქვედანაყოფს გააჩნია მჭიდრო ურთიერთობები ტერორისტულ ორგანიზაციებთან და ხშირ შემთხვევაში კოორდინირებას უწევს მათ საქმიანობას. ოფიციალური თეირანი მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას უწევს ისეთ ტერორისტულ დაჯგუფებებსაც, რომელთაც არ გააჩნიათ ისლამურ-ფუნდამენტალისტური ორიენტაცია, მაგ.: ქურთ მუშათა პარტია (PKK). ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ტერორისტული დაჯგუფებების ლიდერები აწარმოებდნენ შეხვედრებს ირანის მთავრობის წარმომადგენლებთან.

შეზოგოლა (ალაბის პარტია). შიიტურ-ფუნდამენტალისტური პარტია, რომელიც შეიქმნა 1980 წელს. თანამედროვე სახით საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1982 წელს ბალუქში, სადაც ოაჯი მოყვარა ირანელმა ჩახულმა ასობით „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ წევრმა და ლიბანელმა შიიტმა. ორგანიზაციის დეკლარაცია გამოიცა 1985 წელს.

დამაარსებელი: შეიხ ნეჟამედ შუსეინ ფადლალა. იგი „პეზბოლა“-ს ხელმძღვანელობდა 1985 წლამდე. ისრაელის სპეცსამსახურების მიერ მასზე მოწყობილი თავდასხმის შემდეგ მან ორგანიზაციაში დატოვა ყველა პოსტი და გახდა „პეზბოლა“-ს სულიერი ლიდერი.

ხელმძღვანელი: შეიხ პასან ნასრული. მიზანი: საღვთო ომი სიონიზმისა და „მპერიალიზმის წინააღმდეგ. ისრაელის განა-

დგურება, იერუსალიმზე კონტროლის დაწესება და ირანის ტიპის სახელმწიფოს შექმნა აღნიშნულ რეგიონში.

სტრუქტურა: ორგანიზაციას ხელმძღვანელობს 12 სასულიერო, პოლიტიკური და სამხედრო პირისაგან შემდგარი უმაღლესი საკონსულტაციო საბჭო. მათ შორის უთანხმოების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ირანის სულიერ ლიდერი.

ფილიალები: ბეირუთი, სამხრეთ ლიბანი. თითოეულ მათგანს მართავს რეგიონალური საკონსულტაციო საბჭო.

რაოდენობა: 2200 წევრი.

ბრძოლის მეთოდი: პარტიზანული ომი, აფეთქება, ადამიანთა გატაცება.

დაფუძნდა: ირანი (ყოველწლიურად 100 მლნ. აშშ დოლარი).

განხორციელებული ტერაქტები: 1983 წელს ლიბანში აფეთქეს აშშ-სა (დაიღუპა 240) და საფრანგეთის სამხედრო ქვედანაყოფების (დაიღუპა 58) ყაზარმები;

1984 წელს აფეთქეს აშშ-ს საელჩო ბეირუთში (დაიღუპა 24 ადამიანი);

1991-93 წლებში განხორციელეს 52 ტერაქტი და 221 შეიარაღებული თავდასხმა სხვადასხვა პიროვნებებზე და ობიექტებზე.

ალ-ქაიდა. ისლამური ფუნდამენტალისტების ინტერნაციონალურ-ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1988 წელს ტერაქტებისა და ქრისტიანების (ჯვარისნების) წინააღმდეგ. „ალ-ქაიდა“ ახლო აღმოსავლეთში მომხდარ მოვლენებს განიხილავს, როგორც მართლმორწმუნე მამაკანონისა და ურწმუნოების ურთიერთბრძოლას. საუდის არაბეთში აშშ-ს ჯარების ყოფნას ორგანიზაცია აღიქვამს, როგორც ახალ ჯვაროსნულ ომს მუსლიმური აღმოსავლეთის წინააღმდეგ, წმინდა ადგილების დასაპყრობად.

დამაარსებელი და ხელმძღვანელი: უსამა ბინ ლადენი. ორგანიზაციის წარმოშობა პირდაპირ კავშირშია ბინ ლადენის მოღვაწეობასთან მან სამხედრო საქმიანობა დაიწყო ავღანეთის ომში. 1998 წლიდან აქტიურად ებმება საერთაშორისო ტერორისტულ მოძრაობაში, იკრებს გარშემო ავღანეთის ომის ევტერანებს, რომელზე დაყრდნობითაც აუღლებს ორგანიზაციას.

მიზანი: ისლამურ რესპუბლიკებში არსებულ ხელისუფლების დამხობა და შარიათის კანონებზე დამყარებული ისლამური სახელმწიფოების დაარსება.

მოქმედების ადგილი: მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხე.

თავდასხმის ობიექტები: აშშ-ს და ისრაელის მოქალაქეები და ობიექტები.

განხორციელებული ტერაქტები: 1995 წელს თითქმის ბინ ლადენის აგენტები დაეხმარნენ ეგვიპტელ ტერორისტებს პოსნი მუბარაქის მკვლელობის ცდებში.

1995 წელს საუდის არაბეთში ბინ ლადენის ტერორისტებმა განახორციელეს დივერსია აშშ-ს სამხედრო ცენტრზე ერაღეთში;

1998 წელს კენია-ტანზანიაში დივერსია მოაწვეს აშშ-ს საელჩოზე. დაიღუპა 300-მდე ადამიანი.

1998 წლის თებერვალში ბინ ლადენმა გამოაცხადა ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების გაერთიანება - „მსოფლიო ირანული კონსტიტუცია“ და ჯვარისნების წინააღმდეგ. ფრონტის დამაარსებლები, აგრეთვე, არიან ზავაჰერი („ალ-ჯიჰადი“), რიფაი აჰმად თაბა („ალ-ჯამია ალ-ისლამია“) და ზოგადიერო პაკისტანელი ლიდერი, „ალ-ქაიდას“ გარდა გაერთიანებაში ირიცხება ეგვიპტური „ალ-ჯამია ალ-ისლამია“ და „ალ-ჯიჰადი“, პაკისტანელი სწავლულთა საზოგადოება, „ქაშმირის ამოხვედრის მოძრაობა“, „ალ-ჯიჰადი“ (ბანგლადეში), ავღანური ორგანიზაცია „საბჭო და რეფორმის“ მეომარი შტო. თითოეული ეს ორგანიზაცია დამოუკიდებლად განსაზღვრავდა თავდასხმის ობიექტებს, თანამშრომლობა ხორციელდებოდა საომარი ქვედანაყოფების დონეზე, თუმცა ყველა ორგანიზაცია მოქმედებდა დამოუკიდებლად. „საერთაშორისო ფრონტი“ შექმნის შემდეგ დამოუკიდებულები ძირითადი შეიცვალა. აღნიშნულ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა „მოურა“ - ბინ ლადენის ხელმძღვანელობით. ორგანიზაცია იმართება უფრო მეტად, რაც ზრდის საომარი ოპერაციების აუქციურობას და საერთაშორისო საქმიანობას.

აშშ-ში, ევროპასა და აზიაში არსებულ მხარდამჭერთა ფართო ქსელი ბინ ლადენს საშუალებას აძლევს ისარგებლოს კავშირის ყველაზე დახმარებულ მეტოქეებით (ინტერნეტი, თანამგზავრული საშუალებები).

ბინ ლადენის ორგანიზაცია ისრაელის განახორციელებს ტერორისტული აქტები აშშ-ს მოქალაქეებზე მსოფლიოს ყველა კუთხეში. ასეთი მოქმედებით მათ სურთ, აიძულონ აშშ-ს ხელი-სუფლება უარი თქვას მუსლიმური ქვეყნების საქმეებში ჩარევაზე და მეორეს მხრივ, შეძიქმდეგა მოახდინონ სპარსეთის ყურის ქვეყნების მთავრობებზე, რათა მათ უარი თქვან აშშ-ს მხარდაჭერაზე.

ორგანიზაცია ეხმარება მუსლიმ ტერორისტებსა და ამოხვედრებს. ბინ ლადენის ავღანელი მეომრები მონაწილეობას იღებენ ინდოეთში, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, დსთ-ში, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიებზე არსებულ შეიარაღებულ კონფლიქტებში.

ბინ ლადენი მხრს უჭერს და ეხმარება მეომრებს ავღანეთში, ალბანიაში, ბოსნიაში, ჩეჩნეთში, კოსოვოში, პაკისტანში, სომალში, ტაჯიკეთსა და იემენში.

მოჯაჰედინე ჰალყა ირან (ირანის მართალ-საქმისათვის მებრძოლი).

ორგანიზაცია შეიქმნა 1965 წელს. იგი

აგროვებდა ინფორმაციას უშიშროებისა და სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური სასახურების თანამშრომლების შესახებ. 1970 წლიდან ორგანიზაციის აქტიურობა გაიზარდა. 1971-72 წლებში დააპატიმრეს ორგანიზაციის მრავალი წევრი. დანარჩენმა წევრებმა კვლავ განაახლეს ორგანიზაციის მუშაობა, ჩაატარეს ოპერაციები მრავალ ქალაქში, დაიწყეს გაზეთ „ჯანგ შალის“ გამოშვება. 1975 წელს ორგანიზაციის სათავეში დროებით მოდიან მარქსისტული ლენინელები, რომლებმაც კურსი აიღეს სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაზე.

ორგანიზაციის ტერორისტული საქმიანობის ბოლო ეტაპი ემთხვევა ირანის ისლამური რევოლუციის პერიოდს. ორგანიზაცია მხარს უჭერდა ხომეინისა და ანტიამერიკულ საქმიანობას, თუმცა რევოლუციის შემდეგ ორგანიზაცია უკიდურესად ოპოზიციურად განწყობილი რეჟიმის მიმართ და დაიწყო ტერორისტული საქმიანობა რევოლუციის ლიდერების მიმართ, ამიტომ ყველა ზომა იქნა მიღებული ორგანიზაციის გასაანადგურებლად.

დამაარსებელი: შაჰის რეჟიმით უკმაყოფილო თეირანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. კერძოდ, მოჰამედ ხანიფეჯადი, საედ მოსხენი, ალი ასლარ ბაადი ზადეგანი, აჰმედ რეზა.

მიზანი: ბრძოლა შაჰის რეჟიმის, კაპიტალიზმის და იმპერილიზმის წინააღმდეგ.

სტრუქტურა: საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური, შეიარაღებული დაჯგუფებები.

რაოდენობა: 2000 წევრი.

ბრძოლის მეთოდი: შეიარაღებული ბრძოლა.

განხორციელებული ტერაქტები: 1972 წელს ნიქსონის თეირანში ვიზიტის დროს ჩაატარეს აფეთქებების სერია;

1981 წელს აფეთქეს ირანის ისლამური რესპუბლიკური პარტიის შტაბბინა (დაიღუპა 64 ადამიანი);

1982 წელს თეირანში განხორციელებული აფეთქების შედეგად დაიჭრა 60, ხოლო დაიღუპა 12 ადამიანი;

1982 წელს განხორციელეს თავდასხმა ირანის პოლიციის შეფზე;

1982 წელს ორგანიზაცია გადავიდა იატაკქვეშა პოლიტიკურ საქმიანობაზე;

1992 წელს 13 სხვადასხვა ქვეყანაში თავს დაესხნენ ირანის საელჩოებს.

ამჟამად, ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში და ეწევა ირანის ხელისუფლების სანიაღვრე პოლიტიკას.

საქართველო

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტერორიზმი საქართველოსთვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად იქცა. ამ მხრივ განსაკუთრებულ

საშიშროებას წარმოადგენს რადიკალურად განწყობილი ძალები, რომელთა ნაწილიც ტერაქტების საშუალებით ცდილობდა საკუთარი პოლიტიკური მიზნების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ ეს დაჯგუფებები აქტიურად იყენებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი პროფესიონალი ტერორისტების შესაძლებლობებს. 1998 წელს პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობა მიიღეს ჩრდილო კავკასიური წარმოშობის პირებმაც, ხოლო თავად ჯგუფმა მომზადება ჩვენთვის ცნობილია განათავსებული ბოვეკთა ერთ-ერთ საწვრთნელ ბაზაზე გაიარა.

ამ მხრივ საყურადღებოა პანკისის ხეობაში არსებული ვითარება, სადაც საგრძნობლად იმატა ტერორიზმისთვის დამახასიათებელმა ისეთმა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებმა რიცხვმა, როგორცაა ცეცხლსასროლი იარაღითა და საბრძოლო მასალებით ვაჭრობა, ჩარკობიზნესი (ჩეჩნური ვაჭისფერი და ავღანური თეთრი ჯერონი) და გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანების გატაცება, მითუმეტეს, რომ ბოლო პერიოდში აღნიშნული ტიპის დანაშაულმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ხეობაში მოქმედი დანაშაულებრივი დაჯგუფებები არ ერიდებიან თვით ხელისუფლების წარმომადგენელთა გატაცებასაც, რისი ნათელი მაგალითიცაა საქართველოს პარლამენტის წევრის პ. ციკაშვილის ქ. თბილისის ცენტრალური უბნიდან მოტაცების ფაქტი. გატაცებულია აგრეთვე ესპანეთის სამი და საქართველოს რამდენიმე მოქალაქე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანთა გატაცებას დანაშაულებრივ ახორციელებენ ყოველგვარი ხელისშემშლელი პირობების გარეშე, აგრეთვე დაუბრკოლებლად ხდება გატაცებულ პირთა პანკისის ხეობისაკენ გადაადგილება. არსებული ინფორმაციით, ხეობაში მოქმედებდა როგორც რელიგიური და კლანური, ასევე კრიმინალური ნიშნით დაყოფილი დაჯგუფებები.

აღსანიშნავია, რომ კრიმინალური სახის ტერორისტული მოქმედებები ადვილად შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური მიზნებისათვის, განსაკუთრებით კი, როდესაც ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა კარგ ფონს ქმნის ამგვარი პროვოკაციებისათვის. ამ თვალსაზრისით არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენს პრორუსული ორიენტაციის მქონე დაჯგუფებებიც, რომლებსაც რუსულ მეშარტებზე რადიკალურ ორგანიზაციებთან აქტი კავშირი (მაგ. 1999 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, უშუალოდ რუსული რადიკალური ორგანიზაციების მიერ იგეგმებოდა და იმართებოდა).

საქართველოში განხორციელებული გახმაურებული ტერაქტები:

- საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ

შეგარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტები (1995 წელი, 1998 წელი);

- გენერალ გია გულუას მკვლელობა;
- ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭაჭაშვილის მკვლელობა;
- დემოკრატიისა და აღორძინების ფონდის თავმჯდომარის სოლიკო ხაბიშვილის მკვლელობა;
- თბილისის პროკურორის მიხეილ ქურდაძის მკვლელობა;
- „შხედრონი“-ს ლიდერის ჯაბა იოსელიანის მკვლელობის მცდელობა;
- „შხედრონი“-ს წევრების: ვეფხვაძის, სევანაძის, ტალახაძის მკვლელობა.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მსოფლიო საზოგადოებრიობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. იმისათვის, რომ ამ ბრძოლამ შესაბამისი შედეგები გამოიღოს აუცილებელია გამოყენებულ იქნას ყველა არსებული საშუალება, მათ შორის საერთაშორისო დიპლომატია, სადაზვერვო საქმიანობა, სამხედრო და სხვა ძალოვანი სტრუქტურების შესაძლებლობები.

მსოფლიოს ანტიტერორისტული პოლიტიკა უნდა განისაზღვროს ტერორიზმის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. იგი შესაძლოა დაემყაროს შემდეგ პრინციპებს:

- 1. ტერორისტული აქტის განხორციელების აზრი არა თვით მოქმედებაშია, არამედ მის შედეგად გამოწვეული ვითარების დესტაბილიზაციაში. ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ იმ ორგანოებმა და პირებმა, რომელთაც შესაბამისი აღმკვეთი ფუნქციები გააჩნიათ, უნდა შესწავლიონ სიტუაციის შემდგომი კონტროლი, რამაც შესაძლოა შექცევდეს დაავადებული ტერორისტული აქტის საბოლოო შედეგანობა;
- 2. გარკვეული დანაშაულებების ფასდადგ კი, აუცილებელია ტერორისტის დარწმუნება, რომ ტერაქტის ჩატარებით მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება არ მოხდება.

საგეოგრაფიო სამსახურების იმ ქვედანაყოფების ძირითად ამოცანას, რომელთა კომპეტენციაშიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შედის, წარმოადგენს შესაძლო ტერორისტული აქტების შესახებ ნიშნისებრი ინფორმაციის მოპოვება, ტერორისტთა თავშესაფრის, დაფინანსების წყაროს, ორგანიზაციის და მისი ფილიალების ადგილსამყოფელის გამოვლენა და ლიკვირება.

აღსანიშნავია, რომ ტერორიზმთან ბრძოლა ქვეყნის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ პრიორიტეტად გვევლინება, ანტიტერორისტული

ლონისძიების დროული და საფუძვლიანი დაგეგმვის, მომზადების და რეალიზაციის საქმეში. განვიხილოთ აღნიშნულის განხორციელების შესაძლო მოდელი, რომელიც ხუთ ეტაპს მოიცავს:

- დაზვერვითი და კონტრდაზვერვითი ღონისძიებების წარმოება;
 - შესაძლო საფრთხის ანალიზი და შეფასება;
 - შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამხრეთ-დასავლეთის პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების, იარაღის, საშუალო ტექნიკის, სამხედრო და სპეცდანიშნულების ობიექტების დაცვა;
 - იურიდიული პასუხისმგებლობის გადანაწილება სხვადასხვა უწყებებსა და თანამდებობის პირებს;
 - დროული მოქმედება შექმნილ კრიზისულ სიტუაციაში.
- შეიარაღებული ძალების მიერ ანტიტერორისტული საქმიანობის წარმოებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ დებულებებს შესაძლოა განეკუთვნოს შემდეგი:
- ანტიტერორისტული ოპერაციაში შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მონაწილეობის პირობების მკაცრი განსაზღვრა;
 - ყველა რანგის ხელმძღვანელზე, მათ დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებზე, კანონიერებისა და ნაწილის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის დაკისრება;
 - ტერორისტული საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ სამართლებრივ ღონისძიებებში შეიარაღებული ძალების იმ ქვედანაყოფების გამოყენება, რომლებიც სხვა რაიონში არიან დისლოცირებული, მოხდეს მხოლოდ პრეზიდენტის დირექტივით ბრძანებულების საფუძველზე. ანტიტერორისტული საქმიანობის წარმატებით განსაზღვრული ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს და ძალოვანი სტრუქტურების მიერ უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:
 - შეიქმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის პასუხისმგებლობას ტერორისტული აქტის მომზადებასა და განხორციელებაზე;
 - შემუშავდეს იქნას ადმინისტრაციული და სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც სხვა ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს სახელმწიფოში ყველა სახის იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერების შემოტანაზე და იმ პირებზე კონტროლს, რომელთა მხრიდანაც შესაძლებელია განხორციელდეს გარკვეული სახის ტერორისტული ან დივერსიული საქმიანობა;
 - დადგინდეს განსაკუთრებული კონტროლის წესი ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების, აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღის შემქნასა და შენახვაზე;
 - შესაბამისი ქვედანაყოფების მიერ გატარებულ იქნას ღონისძიებები ექსტრემისტულად განწყობილ პირების ან დაჯგუფებების შესაძლო

კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან აღსაკვეთად, აგრეთვე იმ პირთა და დაჯგუფებებთან გამოსავლენად, რომლებიც გარკვეულწილად დახმარებას უწევენ მათ.

ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო მეთოდები

- გაერო-ს წესდების მიხედვით განისაზღვროს ტერორიზმის ზუსტი განმარტება, რათა ამა თუ იმ აქტის შეფასებისას ადგილი არ ჰქონდეს აზრთა სხვადასხვაობას;
- დაპატიმრებული ტერორისტები და მათი თანამონაწილეები გადაეცეს იმ ქვეყნის ხელისუფლებას, სადაც ჩადენილია ტერაქტი;
- ტერაქტის ჩადენაში დამნაშავე ცნობილი პირები დაისაჯონ თავისი უფლებების აღკვეთით, ვადით არანაკლებ 30 წლისა, ვადამდე პირობითი გათავისუფლების გარეშე;
- იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებებთან (მათ შორის თხევად ასაფეთქებელ ნივთიერებებთან) მარკირება მოხდეს განსაკუთრებული წესის მიხედვით;
- ექსპერტებმა უნდა გააანალიზონ ჩვეულებრივი ნივთიერებისგან ფეთქებადის მიღების შესაძლებლობები;
- საგამომიბეო უწყებებთან თანამშრომლობის (დეტექტივების) შეუძლიათ აწარმოონ ძიება სხვადასხვა ქვეყანაში;
- სხვადასხვა ქვეყნების საბაჟო სამსახურებმა შექმნან საერთო კარტოთეკა;
- მოხდეს ზოგიერთი ჰუმანიტარული ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის კონტროლი, რათა აღიკვეთოს ჰუმანიტარული ფონდებიდან ტერორისტული დაჯგუფებების დაფინანსება;
- ბანკებმა უნდა აცნობონ შესაბამის ორგანოებს ყველა საექვო გადარიცხვისა და ანაბრის შესახებ.

ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო აქტები

- ტოკიოს 1962 წლის კონვენცია საპაერო ხომალდების ბორტებზე ჩადენილი დანაშაულების და სხვა სახის აქტების შესახებ;
- ჰააგის 1970 წლის კონვენცია საპაერო ხომალდების უკანონოდ ხელში ჩაგდების შესახებ;
- მონრეალის 1971 წლის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების შესახებ;
- 1973 წლის კონვენცია საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავიდან აცილების და დამნაშავეთა დასჯის შესახებ;
- 1979 წლის მქველად აყვანის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონვენცია;
- 1980 წლის კონვენცია ბირთვული მასალების ფიზიკური დაცვის შესახებ;

➤ 1988 წლის მონრეალის კონვენციის დამატება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურებაში მყოფ აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ;

➤ რომის 1988 წლის პროტოკოლი კონტინენტურ შეღვზე განლაგებული სტაციონარული პლატფორმების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების შესახებ;

➤ 1991 წლის კონვენცია პლასტიკურ ასაფეთქებელ ნივთიერებათა მარკირების შესახებ;

➤ 1994 წლის 4 მაისს საქართველო შეუერთდა ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო აქტებს, კერძოდ ტოკიოს, ჰააგის და მონრეალის კონვენციებს.

ტერორიზმი - როგორც მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო მოვლენა, თავის თავში მოიცავს როგორც კრი-

მინალურ (საერთაშორისო ნარკოტიკების, ადამიანთა გატაცება, შეკვეთილი მკვლელობები და სხვა), ასევე რელიგიური და პოლიტიკური ექსტრემიზმის ასპექტებს. ტერორიზმთან ბრძოლა ყველა დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული ქვეყნების სპეცსამსახურების და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

დღესდღეობით საქართველოში და მის გარშემო არსებული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, აღნიშნული თემა ჩვენი ქვეყნისათვის სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ამიტომ აუცილებელია შესაბამისი, მოქნილი საკანონმდებლო ბაზის მომზადება, რომელიც გარკვეულწილად გააადვილებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და შექმნის ტერორიზმისაგან გამსწკეული დანაკარგების (რაც მთავარია ადამიანური დანაკარგების) თავიდან აცილების წინაპირობას.

ეკონომიკური უსაფრთხოების საზღვარების ურყეობა და შეიარაღებული ძალის დაზარალება

■ მამუკა ნებიერიძე

ამ სტატიაში მოყვანილია ავტორთა ჯგუფის - ჰენრი ბართლეთის, პოლ ჰოლმან უმცროსის და თიმოთი სოუმზის მოსაზრებები შემოადინებულ საკითხებთან დაკავშირებით. პირველ რიგში შემოგთავაზებთ ჰენრი ბართლეთის სტრატეგიის დაგეგმვის მოდელს.

ამ სფეროს სპეციალისტები მუდმივად ცდილობენ მიაღწიონ ბალანსს წინააღმდეგობაში მყოფ მთელ რიგ ცვლად სიდიდეებს შორის. სტრატეგიის შემუშავებისა და შეიარაღებული ძალების დაგეგმვის ხელოვნებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ახერხებენ ექსპერტები მოხსნან ცვლადი სიდიდეებისათვის დამახასიათებელი შეუსაბამოებები.

ძირითადი ცვლადი სიდიდეები

ბართლეთის მოდელი (სურ. 1.) ასახავს ამ პროცესის დინამიკას. მისი გამოყენება შეიძლება საგრძნობი წინააღმდეგობების ანალიზისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული გადამწყვეტილების მიღების პროცესის გაადვილებისათვის. მოდელი წარმოგვიდგენს ძირითად, ცვლად სიდიდეებს და აქედან გამომდინარე, გვაძლევს ყოველის მომცველ მიდგომას სტრატეგიის შემუშავებისა და შეიარაღებული ძალების დაგეგმვისათვის.

საბოლოო მიზნები

სტრატეგები და დაგეგმვის სპეციალისტები პირველ რიგში გამოყოფენ მიზნების დონეებს: ყველაზე მაღალ დონეზე არის სახელმწიფო ინტერესები, რომლებიც ხანგრძლივი ვადით განისაზღვრება და საყოველთაო მხარდაჭერით ითვლება.

ქვეყნის გადარჩენა და ჯანსაღი ეკონომიკა - ეს ძირითადი ინტერესებია. სტრატეგები მთლიანობაში თანახმაი არიან, რომ მშვიდობის შენარჩუნება მსოფლიოში აუცილებელია, თუმცა შეუძლიათ არ დაეთანხმონ იმ აზრს, რომ კონკრეტულმა კონფლიქტმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ეროვნულ ინტერესებზე.

ნაკლებად მნიშვნელოვანი და აქედან გამომდინარე, უფრო წინააღმდეგობრივი მიზნები განისაზღვრება დემოკრატიის მოთხოვნებისა და

ადამიანის უფლებების დაცვის საფუძველზე.

➤ უფრო დაბალი დონის მიზნები და ამოცანები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი უმაღლესი დონის სახელმწიფო ინტერესებთან;

➤ გლობალური მიზნები აუცილებელია განხილულ იქნას რეგიონალური ინტერესების კონტექსტში;

➤ გრძელვადიანი მიზნები - მოკლევადიანი მიზნების კონტექსტში.


უსაფრთხოების გარემო

უსაფრთხოების გარემოს შეფასება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ ამოცანას სტრატეგებისათვის შეიარაღებული ძალების დაგეგმვის საქმეში.

უსაფრთხოების გარემოში მომხდარი მოულოდნელ ცვლილებებს შეუძლიათ კარდინალურად შეცვალონ სახელმწიფო სტრატეგიის მიზნები. უსაფრთხოების გარემოს შეფასება უნდა მოიცავდეს პრობლემების ფართო სპექტრს, როგორცაა მსოფლიოში ძალთა ცენტრების გადანაცვლება, დომინირებადი ტენდენციები, კრიტიკული განუსაზღვრელობები, ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაძლიერება, სახელმწიფოს შიგნით მოთხოვნილებათა შეცვლა, კულტურული, რელიგიური და დემოგრაფიული ტენდენციების განვითარება, ეთნიკური ომები, ეკოლოგიური ცვლილებები და აგრეთვე, ახალი ტექნოლოგიების განვითარება. ყველა ეს ფაქტორი მთელ რიგ სხვა პრობლემებთან ერთად, განსაზღვრავს სახელმწიფოს უსაფრთხოების გარემოს.

სტრატეგია ხშირად წარმოგვიდგება, როგორც „თამაშის გეგმა“, რომლის არსი მდგომარეობს შესაძლებელი საშუალებებით სასურველი მიზნის მიღწევაში. მაგრამ სტრატეგიის ხელოვნება მარტო საუკეთესო გეგმის შერჩევა არ არის, არამედ ისიც, ღირს თუ არა სტერტოედ „თამაშში შესვლა“ (თამაშის დაწყება). სახელმწიფო აზროვნების ყველაზე მაღალ დონეზე ასეთ „თამაშის გეგმას“ ჩვეულებრივ, ძირითადი სტრატეგია ანუ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ეწოდება. ის აირეკლავს საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურას, არ შემოიფარგლება რა მხოლოდ სახელმწიფო მოხელეთა შეხედულებებით იმის შესახებ, თუ ვინ არის მათი მოკავშირე და ვინ -

ილუსტრაცია 1.



შინააღმდეგე, ამასთანავე, განსაზღვრავს პოლიტიკური წრეების ძალას, სისუსტეს და უნარს, აღიქვან დასმული ამოცანები.

ძირითადად სტრატეგიამ უნდა მოგვცეს მკაფიო წარმოდგენა არსებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ხელისუფლების ეკონომიკური, დიპლომატიური და სამხედრო ინსტრუმენტებს: გამოიყენებაზე. მიზანშეწონილია სახელმწიფო ხელისუფლების თითოეული ინსტრუმენტისათვის სტრატეგიული დონის დანეკა.

მაგალითად, ეკონომიკურმა სტრატეგიამ უნდა განმარტოს, თუ როგორ აპირებს სახელმწიფო განზარდოს განვითარების ტემპები და რა როლი აქვს ამ სახელმწიფოს მსოფლიო ბაზარზე. დიპლომატიურმა სტრატეგიამ უნდა წარმოადგინოს, თუ როგორ აპირებს ქვეყანა შესარულოს უშიშვნელოვანესი ამოცანები სხვა სახელმწიფოებთან კონტაქტების გაძლიერებით, უშუალოდ და საერთაშორისო ფორუმების გზით.

და ბოლოს, სამხედრო სტრატეგიამ უნდა შეავსოს სხვა სტრატეგიები, განმარტოს, თუ როგორ და რა პირობებში იქნება გამოყენებული სახელმწიფო ძალაუფლების სამხედრო ინსტრუმენტები გავლენის მოახდენად, შეკავებისათვის, თავდაცვისა თუ იძულებისთვის.

საშუალებები და ინსტრუმენტები

საშუალებები და ინსტრუმენტები, რომელსაც ეკუთვნის სახელმწიფო შერჩეული სტრატეგიის განხორციელებისათვის, თავისთავში მოიცავს ქვეყნის ყველა რესურსს. მაგრამ პრაქტიკულად

სამი ძირითადი ინსტრუმენტი არსებობს:

სახელმწიფოს ეკონომიკური ინსტრუმენტები: სავაჭრო ხელშეკრულებები, უცხოური დახმარება, ფულადი მასა, გადასახადები, სახელმწიფო ხარჯები და სუბსიდიები;

დიპლომატიური საშუალებები და ინსტრუმენტები: გაერთიანებები, ალიანსები, სპეციალური კოალიციები, ხელშეკრულებები, ურთიერთსარგებლოება, სანქციები, და აგრეთვე ნებისმიერი სირთულის და დონის მოლაპარაკებები;

სამხედრო ინსტრუმენტებს განეკუთვნება სამხედრო ძლიერების მთელი სპექტრი, დანეკბული ფართომასშტაბიანი ომის წარმოების მზადყოფნა და სახელმწიფოს ზემოქმედების ყველა ბერკეტი დამთავრებული.

უსაფრთხოების გარემოს ცვლილების პროცესში წარმოიშეება ამ ინსტრუმენტთა მნიშვნელობის გადახედვისა და სავარაუდოდ რიგი სხვა ინსტრუმენტების დამატების აუცილებლობა. ძალაუფლების გარკვეულმა ინსტრუმენტებმა უკვე დატოვეს თავიანთი კვალი, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა არენაზე.

დამატებითი:

ფსიქოლოგიური ფაქტორი - სახელმწიფოს ხელმძღვანელთა უნარი გამოიყენონ დაშინების მეთოდები, რათა მოახდინონ ზეწოლა მასმედიაზე და ამგვარად მოახდინონ მობილიზება საზოგადოებრივი აზრის როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ;

ტექნოლოგიური და ინფორმაციული, ეკოლოგიური, სოციალური, კულტურული, ეთნიკური და სხვა ფორმები ზემოქმედებისა და ურთიერთმოქმედების.

რესურსების შეზღუდულობა

სახელმწიფოს მოთხოვნილებები ყოველთვის სცილდება მის ხელთ არსებული რესურსების ზღვარს. ნებისმიერი სახელმწიფო დგება აუცილებლობის წინაშე გააკეთოს არჩევანი წინააღმდეგობრივ მოთხოვნილებებსა და ურთიერთგამომარცხავ ვარიანტებს შორის. შეიარაღებული ძალებისათვის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რესურსების გამოყოფის საკითხი წინააღმდეგობაში შედის სხვა სახელმწიფო სამსახურების მოთხოვნებთან, არასახელმწიფოებრივი ხასიათის მოთხოვნებთან და სხვა. ამ შემთხვევაში მთავარია პრიორიტეტების განსაზღვრა.

წარუმატებლობის რისკი

გაურკვევლობა (განუსაზღვრელობა) - უსაფრთხოების საერთაშორისო და საშინაო გარემოს მთავარი თვისებაა. შედეგად სტრატეგიებმა და შეიარაღებული ძალების დაგეგმვის სპეციალისტებმა უნდა აწარმოონ თავიანთი იმედები წარუმატებაზე და შესაძლო წარუმატებლობები. ისინი ამას აკეთებენ უსაფრთხოების გარემოს, მიზნების, ამოცანების, სტრატეგიების, არსებული რესურსების, აგრეთვე არსებული მიზნების მიღწევისათვის საჭირო ინსტრუმენტების გადასახედვის, ამოცანების, სტრატეგიების, არსებული პროცესისა, აღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვანია რისკების შეფასების დროს განისაზღვროს და შეერილეს დისბალანსი ძირითად ცვლად სიდიდეებს შორის.

მაგალითად: შესაბამისი მიზნებსა და შესაძლებლობებს შორის. არ უნდა დაისახოს ამბიციური მიზანი, რომელიც არ შესაბამისა შესაძლებლობებს, საშუალებების შეზღუდულობას.

ძირითადი ცვლადი სიდიდეების გადაჯგუფება

როდესაც სტრატეგიები და შეიარაღებული ძალები დაგეგმვის სპეციალისტები მუშაობენ გრძელვადიან პროგნოზირებაზე, მუდმივად აწყდებიან ჩამოყალიბებული აზროვნების წესის შეცვლის აუცილებლობას. მოდელიდან ჩანს, რომ ერთი ცვლადის შეცვლა იწვევს სხვების შეცვლას, რაც შედეგად იწვევს შესაბამისობას. ბალანსის აღდგენის მიზნით სტრატეგიები და სპეციალისტები მზად უნდა იყვნენ გადააჯგუფონ ძირითადი ცვლადი სიდიდეები. არსებობს ამის რეალიზების

სხვადასხვა მეთოდი.

საბოლოო მიზნების შეცვლა

რაციონალური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სტრატეგებმა პირველ რიგში უნდა შეფასონ უსაფრთხოების საერთაშორისო გარემო, ძალთა ცენტრების ცვლილებების, დომინირებადი ტენდენციებისა და კრიტიკული შეუსაბამოების კატეგორიები, და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვრონ სახელმწიფოს სპეციფიური მიზნები და ამოცანები. ამგვარად ლოგიკურია დავინყოთ უსაფრთხოების გარემოსა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის საშუალებებს შორის არსებული შეუთავსებლობის გადალახვით, რაც მიგვიყვანს ძირითადი მიზნების გადასინჯვამდე.

საშუალებათა შეცვლა

პოლიტიკურმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ცვლილებები იმ საშუალებებისა, რომელსაც სახელმწიფო იყენებს პოლიტიკის განხორციელებისთვის. ასეთ ცვლილებებს ხშირად შესაძლოა ჰქონდეს რაოდენობრივი ხასიათი. მაგალითად ომმა კორეაში 1950 წელს გამოიწვია ხარჯების მკვეთრი ზრდა თავდაცვაზე, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლამ კი - მისი შეკვეცა. საშუალებების ხარისხიანა ცვლამ შეიძლება გამოიწვიოს აქცენტის გადატანა სახელმწიფო ხელისუფლების ერთი ინსტრუმენტადან მეორეზე. პირველ რიგში დღესდღეობით თვლიან, რომ მსოფლიოში, სადაც ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია ნაციონალური მიზნის შესაძლებლობა მიღწეულ იქნას ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით და არა ომით. ამგვარად, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს იმგვარი ინსტრუმენტების სტრატეგიულ გამოყენებას, როგორიცაა შეზღუდვათა სისტემები, ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის უპირატესობა.

სტრატეგიის განხილვა

არსებული რესურსების გამოყენებით დასახული მიზნების მისაღწევად თეორიულად არსებობს მთელი რიგი საშუალებები. სტრატეგიის ამოცანაა მოიძებნოს შედარებით შესაფერისი.

წარუმატებლობის რისკის გადაფასება

ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეროვნული უსაფრთხოების სპეციალისტებმა არსებულ რისკთან დაკავშირებით მიაღწიონ ერთიან შეთანხმებას. უთანხმოების ერთ-ერთი წყაროა პოტენციური წინააღმდეგობები, ფაქტორები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამა თუ იმ პროცესებს. მაგალითად, უახლოესი 10 წლის განმავლობაში მატერიალურ ტექნიკურ საშუალებების განსაზღვრამ შეი-

ძლება ჩაშლის ნებისმიერი ყველაზე სრულყოფილი გეგმა და სტრატეგია. საბოლოოდ ნდობის ფაქტორი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია შესაძლო შეჭარბის ხასიათზე და დასახულ ეროვნულ ინტერესებზე. მაგალითად, მასიური განადგურების იარაღის არსებობის ფაქტი უფრო დიდ მფლევარებს იწვევს ვიდრე ტერორიზმი ან არაბირთვული კონფლიქტი.

მოყვანილი მაგალითები მეტყველებს იმაზე, რომ მსოფლიოში მოყვანილი რისკი ვერ იქნება წარმოდგენილი რიცხვობრივად. სპეციალისტები დაგეგმარების და ძირითადი ცვლილებების შეფასების დროს ძირითადად მისივე საკუთარი არაოფიციალური ხედვით ხელმძღვანელობენ.

შეიარაღებული ძალების დაგეგმარების ალტერნატიული მიდგომები

თუმცა ბარათლეის მოდელი გვაძლევს ეროვნული უსაფრთხოებისათვის გამოსაკვლევ თარგს, პრაქტიკოსები შეიარაღებული ძალების დაგეგმარებასა და სტრატეგიის შემუშავებას ტრადიციულად სხვა პოზიციებიდან უდგებიან. თითოეული მიდგომა იცემა ერთ-ერთ ცვლად სიდიდეს. ამასთან ერთად, სხვა ცვლადები რჩება ინტერესის სფეროში. ამგვარი ალტერნატიული მიდგომები წლების განმავლობაში მუშავდებოდა და მათ ენიჭებოდა განსხვავებული მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების შეფასებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების სხვადასხვა ეტაპზე.

„ზემოდან ქვემოთ“

სახელმწიფო ინტერესები და მიზნები განსაზღვრავს „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომის არჩევანს შეიარაღებული ძალების დაგეგმარებისას. ამგვარი მიდგომა ძირითადად მიღებულია სახელმწიფოს ძირითადი სტრატეგიის ან ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების დროს. ამგვარი მიდგომა იერარქიულია. იგი ითვლის წინებს ძირითადი დოკუმენტების განხილვას ზემოდან ქვემოთ, გადაწყვეტილების მიღების ყველა საფეხურზე. მიდგომა „ზემოდან ქვემოთ“ გააჩნია მთელი რიგი ძლიერი მხარეები. პირველი რიგში, ის ეხმარება სტრატეგებს და შეიარაღებული ძალების დაგეგმარების სპეციალისტებს ყურადღება გაამახვილონ საბოლოო მიზანზე. მეორეს მხრივ, იგი უზრუნველყოფს ყველა მოთხოვნის გადახედვის სისტემას შედარებით ფართო „მაკროკონტექსტში“. მესამე, მასში აქცენტი კეთდება სახელმწიფოს ხელისუფლების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, და სამხედრო დახმარე ინსტრუმენტებს შორის ურთიერთკავშირზე, რომელთაგან თითოეულისათვის აუცილებელია ცალკეული სტრატეგიების მიღება შედარებით მაღალი დონის მიზნების მისაღწევად. დაბოლოს, „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომის უპირატესობა ის, რომ მსხვილსხვა სტრატეგია შეიძლება დაიყოს

ძირითადი დესკრიპტორების ჯგუფებად. თუკი ისინი შერჩეულია სწორად, ისინი არ იქნებიან მხოლოდ აბსტრაქტული მარკენებლები და აქედან გამომდინარე, ლაკონურად და ზუსტად მიუთითებენ იმაზე, თუ როგორ იქნება განხორციელებული სტრატეგია. შედარებით მაღალი დონის დესკრიპტორები წარმოადგენენ კრიტერიუმებს შედარებით დაბალ დონეზე შერჩევისათვის და აგრეთვე, სტრატეგიის განსაზღვრისათვის და შეიარაღებული ძალების სტრუქტურის შეფასებისათვის, რომელთა საფუძველზე შემდეგ განისაზღვრება შედარებით დაბალი დონის დესკრიპტორები. მაგალითად, 1994 წელს აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა 2 ძირითადი დესკრიპტორი: „მონაწილეობა“ და „გაფართოვება“. ინტენსიური სამთავრობო დებულებების შედგენა მათ შეცვალეს „ცივი ომის“ დროინდელი დესკრიპტორი - „შეკავება“.

შეიძლება დაეთანხმო ან არ დაეთანხმო ამ სტრატეგიას და მოცემულ დესკრიპტორებს, მაგრამ მათ მიუთითებს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მიზნების გატარების მიღწევის გზას. 1996 წელს აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიამ განსაზღვრა „მონაწილეობის“ და „გაფართოვების“ სტრატეგიის „კონტრალური კომპონენტი“ (რომელთაგან ჩვენ დავარქმევთ დესკრიპტორებს): „ძლიერი თავდაცვითი პოტენციალის შენარჩუნება და დიპლომატიის ეფექტური გამოყენება უსაფრთხოების სისტემის შექმნისათვის აუცილებელი ზომების მხარდაჭერისათვის, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობის პრინციპზე“ იმ მიზნით, რომ „მსოფლიო მასშტაბით გაიხსნას საზღვარგარეთული ზარები და გაიზარდოს ეკონომიკური მაჩვენებლები“ და „საზღვარგარეთ გავრცელდეს დემოკრატიული პრინციპები“. სტრატეგიისათვის და შეიარაღებული ძალების დაგეგმვის სპეციალისტებისათვის, „ძლიერი თავდაცვითი პოტენციალის შენარჩუნება“ ნიშნავდა ისეთი დაბალი დონის დესკრიპტორების არჩევას, როგორც „საზღვარგარეთ რეალური ყოფნა“, „მასიური განადგურების იარაღის გამოყენების თავიდან აცილება“, „მრავალეროვნულ სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება“, „ტერიტორიების წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერა“, აგრეთვე „საკმარისი სამხედრო პოტენციალის მიღწევა, რათა ერთდროულად ორი რეგიონალური კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, რეგიონალურ მოკავშირეებთან ერთად შესაძლებელი გახდეს აგრესიის ჩახშობა“. სამხედრო დაგეგმარების სპეციალისტის ამოცანა შეიარაღებული ძალების ისეთი სტრუქტურის შემუშავება, რომელიც შეესაბამება შერჩეულ დესკრიპტორებს.

ამგვარ მიდგომაში ყველაფერი არც ისე ადვილია. პირველ რიგში, როცა წარმოიშობა შეზღუდვები ფინანსურ საშუალებებში, ტექნიკურ

აღჭურვილობაში და ა.შ. სასურველსა და შესაძლებელს შორის წინააღმდეგობა შეიძლება იმდენად მნიშვნელოვანი გახდეს, რომ წარმოიშვას მიზნებისა და საშუალებების გადასინჯვისა და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა. მეორე მხრისა სისტემების მოუქმელობა. იერარქიული მიდგომისას მისმა გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ სპეციალისტებმა შედარებით დაბალ დონეზე შეიძლება მიიღონ, როგორც თავისთავად ცხადი, დასმული მიზნებისა და მიღებული სტრატეგიის აქტუალობა, თუმცა ისინი საკულდაგ ულად უნდა მოეხმნენ. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტია ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შესახებ გაჭკვიანულობისა და საზოგადოების ინფორმირებულიობის ხარისხი. ერთი მხრივ, დემოკრატიის პირობებში ამ საკითხის სახალხო სამსჯელობა გამოიქვანა და საჯარო დისკუსიების გამართვა არანაკლებ მნიშვნელოვანია კონსენსუსის მიღწევისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის. აშშ-ში ამგვარ ღონისძიებებზე კონგრესის მანდატიც კი არსებობს და მიუხედავად ამისა სტრატეგიის ცალკეული დეტალები უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის შეიძლება იმდენად მარცხილი იყოს, რომ იგი არ უნდა იქნას გამოტანილი საზოგადოების გასარჩევად.

„ქვემოდან ზემოთ“

არსებულ სამხედრო პოტენციალზე დაყრდნობით შეიარაღებული ძალების დაგეგმარებისათვის შეიძლება გამოყენებული მიდგომა „ქვემოდან ზემოთ“. ამგვარი მიდგომის გამოყენებისას იკვეთება არსებული პოტენციალის გაძლიერებისა და შეიარაღების სისტემის სრულყოფის მოთხოვნა, ამასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა მომდინარე ოპერატიულ საკითხებს. ეს თავის მხრივ დაკავშირებულია ოპერატიული საბრძოლო დაგეგმარებასთან, ვინაიდან ორივე კონცეფცია გამომდინარეობს არსებული შეიარაღებული ძალების სტრუქტურაზე და მიუხედავად ამისა ამ კონცეფციებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ცხრილში მოცემულია შეიარაღებული ძალების დაგეგმარების და ოპერატიული დაგეგმარების კავშირი.

„ქვემოდან ზემოთ“ მიდგომის ძირითად უპირატესობას საქმის რეალურ მდგომარეობაზე აქცენტს განაპყვავებს წარმოდგენა სტრატეგიები და სამხედრო დაგეგმარების სპეციალისტები იძულებული არიან გაითვალისწინონ ის, რომ პოტენციური მოწინააღმდეგის წინააღმდეგ შეიძლება განახორციელონ მოქმედება არსებული შეიარაღებული ძალების გამოყენებით. ამგვარი მიდგომა გამოირჩევა ისეთი პოტენციალის პროგნოზირებას, რომელიც არასოდეს იქნება რეალურებული. არსებულ პოტენციალზე აქცენტმა შეიძლება აგრეთვე დადებითად იმოქმედოს შესუშავებული სტრატეგიის და ოპერატიული გეგმების ხარისხზე. მეორეს მხრივ „ქვემოდან

ზემოთ“ მიდგომის გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს მომავლის ასპექტების შეუფასებლობამდე, ჩაშლის გრძელვადიანი გეგმები და შეაფერხოს ინიციატივა. სხვა „მახე“ მხედველობის არედან საერთო სურათის გამორჩენის საშიშროება და ლოკალური და ტაქტიკური ფაქტორების განხილვა იქ, სადაც აუცილებელია გლობალური მიდგომა.

„სცენარი“

შეიარაღებული ძალების დაგეგმარების ე.წ. „სასცენარო“ მიდგომა დაფუძნებულია სიტუაციის ანალიზზე. მოცემულ შემთხვევაში დაგეგმარების სპეციალისტები იყენებენ მთელ რიგ ზუსტად განსაზღვრულ მოთხოვნებს სახელმწიფო, ტაქტიკურ, რეგიონალურ და გლობალურ დაგეგმარებებზე ამოცანების ფორმულირებისთვის ან კრისისული სიტუაციების გამოვლენისთვის. კარგად შემუშავებული სცენარი მოიცავს მიმდინარე ინფორმაციების და ელემენტების დიდ სპექტრს, რომლებიც გათვალისწინებულია უკვე მზა გეგმების მიხედვით. იგი ხშირად შეიცავს გაფრთხილებას და მობილიზაციის ვადებს, შეიარაღებული ძალების დონეებს და სადაც საჭიროა სამხედრო ოპერაციების მიზნებს მოცემულ მიდგომას გააჩნია 3 ძლიერი მხარე. პირველ რიგში, მას გააჩნია მკვეთრად განსაზღვრული მიმართულება. თუ სცენარი გათვალისწინებულია ერაყის ჩვეულებრივი ძალების ქუვეთზე თავდასხმა, შეიძლება გატარდეს ზუსტი დაგეგმარება ძირითადი წინაპირობის განსაზღვრის შემდეგ. თუ მოსალოდნელია ორი ერთდროული სცენარი, როგორც მაგალითად „კორეა“ და „ერაყი“, მაშინ შესაძლოა მიღწეულ იქნას უფრო ზუსტი დაგეგმარება. მოცემული მიდგომის შემდგომი უპირატესობაა პრიორიტეტების ზუსტი განსაზღვრის მოხერხებულობა. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება განისაზღვროს ამა თუ იმ რეგიონის, სახელმწიფოს და სამხედრო მოქმედებათა თეატრის შესაძლებლობები. მესამე უპირატესობაა სცენარის დინამიური ხასიათი, რომელიც წარმოადგენს მოქმედების შედეგანობას და ზუსტად განსაზღვრავს დროის ზარბაზნებს, მაგრამ ამ მიდგომასაც გააჩნია თავისი შეზღუდვები, უარყოფითი მხარეები. მსოფლიოში მოვლენები იშვიათად ემთხვევა სპეციალისტების მიერ დაგეგმვის მიხედვით გამოტანილ შეფასებებს. ამგვარად სცენარები თავისი ცხოვრებით ცხოვრებას იწვევენ, ხოლო გეგმების შემუშავების ყველა შესრულებული სამუშაოს შემდეგ მათი ძირითადი კომპონენტების გადადგვის სურვილის უქონლობა ჩნდება. ამის შედეგად ისეთი მნიშვნელოვანი ვარაუდები, როგორც წინასწარი გაფრთხილებისა და მობილიზაციის ვადები შეიძლება აღქმული იქნას, როგორც აბსოლუტური მონაცემები, ხოლო მოწინააღმდეგის დოქტრინის პიკოთუხები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ფაქტები.

ამის გარდა, სცენარებს აქვთ რეტროსპექტიულობის ტენდენცია, ანუ ისინი უფრო მეტად აცოცხლებენ ყოფილი კრიზისების სურათებს, ვიდრე ახსავენ ახალს.

შპ-ს ლაგუმპარმბა ლა (პარამპარმბა) ლაგუმპარმბა: შპ-ს ლაგუმპარმბა

კრიტერიუმები	შპ-ს დაგეგმარება	ოპერატიული დაგეგმარება
მისიონი	შპ-ს მისიონი	მიქმედი ძალები
მისიონალური	გლობალური/რეგიონალური	სმო/დოკალური
საქმიანი მიზანმიმართულობა	მიმართული	არსებული
	შპ	შპ
	საფრთხე	საფრთხე
	მიზნები	მიზნები
	სტრატეგია	სტრატეგია
	მარცხის რისკი	მარცხის რისკი
შედეგი	შპ-ს გეგმა და პროგრამა	მიქმედების გეგმა იმისა და საგანგებო სიტუაციების შესახებ
		შესასწავლად
ცხელდება	განხილვისა	დისკუსიისა
	მიმდინარეობს	გამოყენება
	შპ-ს სტრუქტურა	საბრძოლო მსაფუძვანი

საფრთხე

საფრთხის პოზიციიდან მიდგომა ითვალისწინებს პოტენციური მონიალმდეგების გა-მოკლენასა და მათი საზღვარი ძალის შეფასებას. ხშირად ათულის სათავედ გამოიყენება მონიალ-მდეგების სამხედრო სიძლიერის ბალანსის შეფასება. პოტენციური საფრთხის კონტექსტში შეიარაღებული ძალების დაგეგმარების საკითხები უშიშროების სფეროში მომხდარმა ბოლო დროის ცვლილებებში უფრო გარათულეს, ვიდრე „ცივი ომის“ პერიოდში. ასეთ მიდგომას აქვს სამი ძლიერი მხარე, რომელთაგან პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს ამხვილეს პოტენციურ მონიალმდეგებს; მეორე, იგი განიხილავს, როგორც მხოვლით ძალების დაბალანსების „მეკროდონეს“, ისე კონკრეტული კომპლიტური სიტუაციების „მიკროდონეს“; და ბოლოს „საფრთხის“ მხრიდან მიდგომა შეახსენებს სტრატეგებსა და სამხედრო დაგეგმარების საკუთარ სტრატეგებს იმის შესახებ, რომ სამხედრო პოტენციულის სიმძლავრე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამხედრო საქმეში, რომ იგი დროულად მოითხოვს მათგან სერიოზული შეფასებების ჩატარებას და რეალური სცენარების შემუშავებას.

აღნიშნული მეთოდის ერთ-ერთ ყველაზე ზუსტ „მასკს“ წარმოადგენს „რეალური“ საფრთხის კრიტერიუმების დადგენის სირთულე. ალბათ სტრატეგებისა და დაგეგმარების საკუთარ სტრატეგების არც ერთი სხვა ასპექტი არ არის ასე ურთიერთგამომრიცხავი. აღნიშნული ურთიერთ-

მონიალმდეგების გადანაცვლის მიზნით სპეციალისტები ხშირად მიმართავენ სხვა კატეგორიებს (მაგალითად „საშიშროება“, გამოიყენება მიდგომაში „ქვეყნიდან ზეგანი“). სახელმწიფოს წინაშე მდგარი საფრთხის საფუძველზე დაგეგმარებას ახასიათებს „რეაქტიულობა“, რის გამოც საერთა-

შორისო მდგომარეობაში მოულოდნელ ცვლილებებთან შეგუებისას შესაძლებელია წარმოიშვას სერიოზული პრობლემები. საფრთხის შეფასების საფუძველზე დაგეგმარების მეთოდის გამოყენების დამატებით სირთულეს წარმოადგენს მისი რაოდენობის მონაცემებზე, როგორცაა პირადი შეადგენლობის რაოდენობა, ენერგოშეიარაღება ან შეიარაღების სისტემების ტიპები და რაოდენობა. ამ რიცხვებმა შეიძლება არასწორი წარმოდგენა შექმნას სამხედრო ნაწილის ან შეიარაღების სისტემის საერთო საბრძოლო სიმძლავრის შესახებ, რის შედეგადაც შესაძლოა ყურადღებიდან გამოვლინდეს, სათანადოდ არ შეფასდეს ან პირიქით, გადაფასდეს ისეთი მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მონაცემები როგორცაა: „სამხედრო მომზადება“, „გამოყენება“, „სარდლობა/ხელმძღვანელობა“, „საბრძოლო სულისკეთება“ და „სტრატეგია“. მეთოდის სუსტი წერტილებია ასევე შეიარაღებული ძალების ზედაპირული აღრიცხვა. ნებისმიერი ომი წარმოადგენს ხალხის, ტექნიკისა და ორგანიზაციების მეტად რთულ ურთიერთქმედებებს, ხოლო საბრძოლო ძალის საფრთხის ანალიზით შეფასება ხშირად შემოიფარგლება გამართიებული რაოდენობრივი შედარებით (მაგალითად შეფარდება სატანკო-სატანკო იარაღის ან სატანკო-ტანკსაწინააღმდეგო იარაღის).

მაგალითისათვის მოვიყვანთ კავკასიური კლუბის მიერ შემოთავაზებულ 2000 წლის დასაწყისისათვის საფრთხეთა ანალიზს. დოკუმენტი წარმოადგენს სხვა სახელმწიფოს (რუსეთი-ში

თი, ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი) პოლიტიკის ანალიზი პირობითად ისინი პარტნიორებად (აზერბაიჯანი, თურქეთი) და შესაძლო ან არსებულ მონიალმდეგებად (რუსეთი, სომხეთი, ირანი) არიან დაყოფილი. მოკლედ შევხებით სტატიის ერთ ნაწილს.

რუსეთი.

რუსეთის მოქმედება განხილულია საქართველოში თავისი სტრატეგიული პოზიციების აღდგენისა და განმტკიცების კონტექსტში: საფრთხე რომელიც შეიძლება საქართველოს რუსეთისაგან დაეპყროს, მოიცავს რამოდენიმე მთავარ ტიპს: ეკონომიკურ-ფინანსურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურს და სამხედროს.

ეკონომიკური საფრთხეები. საქართველოს ეკონომიკის ძირითად დარგებში რუსული ფულის დაბანდება, ლარის ინფლაციის გამოწვევის მიზნით რუსეთის მხრიდან ქართულ ვალუტო ბაზარზე ყალბი ვალუტის (ძირითადად აშშ დოლარი) დიდი რაოდენობით შემოტანა, საქართველოზე ეკონომიკური სანქციებისა და ემბარგოს დადება (სავიზო რეჟიმი განხორციელდა).

პოლიტიკური ხასიათის საფრთხეები. რუსეთის პოლიტიკური ელიტი შეეცდება: საქართველოში პოლიტიკური ოპოზიციის გარკვეული ძალებისათვის სასარგებლოდ გამოეყენებას, საკვანძო თანამდებობებზე ლიბერალური პირების დასმას, საინფორმაციო ომის მეშვეობით მსოფლიოში ქვეყნის უარყოფითი იმიჯის შექმნას, არაოქრათული მოსახლეობით დასახლებულ საქართველოს რეგიონებში სეპარატიზმის გაღვივებას.

მიზანი: ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაშინება შანტაჟის გზით, რათა ეს უკანასკნელი აიძულოს გადადგას რუსეთისათვის სასურველი ნაბიჯები.

რისკები სამხედრო მოქმედებათა რისკები რუსეთის მხრიდან პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: სრულმასშტაბიანი, საშუალო-მასშტაბიანი და მცირემასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებათა რისკები...

1. სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებათა რისკი:

საქართველოსათვის რუსეთის მხრიდან ომის გამოცხადება, ჩვენებისათვის მხარდაჭერის ბრალდებით (ან სხვა მიზეზის გამო). ამ შემთხვევაში რუსეთის მხრიდან სავარაუდოდ გამოიყენებული იქნება: აფხაზეთის ე.წ. არმია, კავკასიის ბალხთა კონფედერაციის ძალები, ვაზაკური შესარტები, ახალქალაქისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების შეიარაღებული ძალები (ცოცხალი ძალა რადგან ტექნიკა არ გააჩნიათ), საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ძალები. ცოცხალი ძალის რაოდენობა რუსეთის მხრიდან შეიძლება განისაზღვროს 200 000-მდე კაცი (ჩვენების ომის პარამეტრების და საქართველოში განლაგებულ ბაზებზე კონტი-

გენტის რაოდენობის, აგრეთვე სეპარატისტული ძალების ჩათვლით). ტექნიკა 200-მდე ტანკი და 300-ზე მეტი ჯავშანტექნიკა, 100-მდე შეუზღო მფრენი და თვითმფრინავი.

მიზანი: საქართველოს ხელმეორე ანექსია და კავკასიის რუსეთის ინტერესების ქვეშ მოქცევა.

2. საშუალომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებათა რისკი:

ა) რუსეთი არ გამოიყენებს ოფიციალურად საკუთარ ფედარალურ ძალებს და საქართველოზე ზემოქმედებას შეეცდება სეპარატისტული (აფხაზეთი, ოსეთი) ძალების ხელახლა გააქტიურებისა და საომარ მოქმედებათა განახლების გზით. ასეთ პირობებში მოსალოდნელია ჩრდილოეთ კავკასიელი ბოევრების ჩამოსვლა და აფხაზეთში გადასული ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყება;

ბ) სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ძალების ხელახლა გააქტიურება;

გ) ყაზარდო-ბალყარეთის და ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსაზღვრე უღელტეხილებიდან დამრბევი რაზმების შემოსვლა, მოსახლეობის ძარცვა და მკვლელობა.

მიზანი: საქართველოს სეპარატისტული ომში ხანგრძლივი დროით ჩათრევა მისი ეკონომიკურ-ფინანსური დასუსტების მიზნით. ქვეყნისათვის არასაიმედო იმიჯის შექმნა მსოფლიოში და საბოლოოდ რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნება.

3. მცირემასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებათა რისკი:

ა) ამ შემთხვევაში რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს დივერსიული და ტერორისტული ჯგუფები. პირველ რიგში მისალოდნელი იქნება ქვეყნი-სათვის მთავარ საკომუნიკაციო ქსელებზე (ელ. გადაცემის ხაზები, ელსადგურები, ნავთობმა-გისტრალი, ტერმინალები, კავშირგაბმულობის სისტემები, ელ. გაზანალიზებული ქვესადგურები) დივერსიული აქტების ჩატარება, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გამოწვევის მიზნით;

ბ) მცირე მხრე შესაძლოა გამოეყენებულ იქნას საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების განხორციელება მათი ფიზიკური განადგურების მიზნით.

მიზანი: ქვეყნის ცხოვრებაში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის შეტანა და ამ გზით საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა.

იმის გამო, რომ რუსეთის ნაკლები შანსი აქვს განახორციელოს საქართველოს წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები (მსოფლიო თანამდებობა სავარაუდოდ წინ აღუდგება ამ პროცესს), საჭიროების შემთხვევაში რუსეთი გამოიყენებს კომპლექსური ხასიათის მექანიზმებს და ბერკეტებს. აქ იგულისხმება ეკონომიკურ-ფინანსური, პოლიტიკური, სამხედრო და სხვა ბერკეტები...

სომხეთი განიხილულია რუსეთთან მიმარ-

თებაში, როგორც დამატებითი ბერკეტი საქართველოს წინააღმდეგ, ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები სავარაუდოდ არ არის, ამიტომ აქ ამ საკითხს არ განვიხილავთ.

როგორც გვხვდათ წარმოდგენილი საფრთხეები გარკვეულ სფეროებში იდგენა დამატებითი საფრთხეების დაგეგმვისათვის. მოცემული მასალიდან ჩანს, რომ საჭიროა საფრთხეების ნოქტალური ზეგნისათვის შესაბამისი ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტებისა და შესაფერისი სამხედრო პოტენციალის შექმნა. ამავე დროს გვხვდათ, ამ მეთოდის ერთ-ერთ უარყოფით მხარეს - საფრთხეების გადაჭარბებულ შეფასებას. მოცემული ვარიანტის მიხედვით რუსეთის მხრიდან რეალურად შესაბამისი საომარი მოქმედების განხორციელების წინადადება მოითხოვს ისეთი ფართომასშტაბიანი სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებას, რომლის შესაძლებლობებიც დღესდღეობით საერთოეულის ძალებს აქვთ, რაც ნიშნავს ცვლადი სიდიდეების გადაჯგუფების აუცილებლობას.

პოტენციალი მისია

ფუნქციონალურ მიდგომაზე დაფუძნებული მისიის შეფასება მოიცავს მეგობრული სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების პოტენციალის ანალიზს, შესაძლო საფრთხის, კრიზისული სიტუაციის ან სამხედრო მოქმედების შესაძლებლობის დაგეგმარების სპეციალისტი ინჟინერების მოღვაწეობის ისეთი საერთო კატეგორიების შეფასებით, როგორიცაა სტრატეგიული შეკავება, ჯარების და სამხედრო ტექნიკის გადასარება, ან საზღვარგარეთ არსებობა. აღნიშნული კატეგორიები შემდეგ იყოფება უფრო კონკრეტულ კატეგორიებად, როგორიცაა ერთობლივი დარტყმა, უპირატესობა ჰაერში, ცხრატეკიური მოხილვარება, საზღვაო აკვატორიების კონტროლი, სახმელეთო ჯარების მანქანა-კადავ უფრო კონკრეტული ქვეჯგუფები შეიძლება იყოს მონიშნავდეს საჰაერო-საზღვაო თავდაცვის დახმობა, კონტრბატარული ბრძოლა, ნაღმანაღმადგეგო ბრძოლა. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა განაწილდეს სამხედრო პოტენციალი სამხედრო მოღვაწეობის ყველა საერთო კატეგორიაში.

„პოტენციალი/მისია“ მიდგომას აქვს მთელი რიგი უპირატესობები. იგი გვაძლევს ნებისმიერი საშუალო ორგანიზაციის რეალური და დეტალური შეფასების სისტემას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია შესაძლო საფრთხის თვალსაზრისით, რადგანაც საშუალებას აძლევს მეგობრულ სახელმწიფოებს გააძლიერონ თავიანთი სამხედრო სიძლიერე და წინასწარ გამოიყენონ მონიშნავდეს სისუსტეები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვერ ხერხდება საფრთხის განსაზღვრა აღნიშნული მიდგომა დაგეგმარების სპეციალისტებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ პრიორიტეტები და გადალახონ აშკარა შეუთავსებლობები. მიდგომის

ძირითად ნაკლს წარმოადგენს ტენდენცია ნაწილობრივი „ოპტიმიზაციისაკენ“. ყურადღების გარეშე შეიძლება დარჩეს უფრო მაღალი დონის მიზნები, ხოლო ბრძოლის გამართვის უფრო თანამედროვე მეთოდები შესაძლოა „გვერდზე გადაინიშნოს“ ბიუროკრატიული ინერტიულობის ან ტრადიციული სამხედრო სპეციალობებით გატაცების შედეგად.

პეჯირება/დაზღვევა დანაკარგებისაგან

აქ იგულისხმება შეიარაღებული ძალების სრული (უმეტესი) მზადყოფნის უზრუნველყოფა სამხედრო ოპერაციის ნებისმიერი ვარიანტისათვის. მეთოდის გამოყენების შედეგად წარმოიქმნება ჭარბი სისტემების გვერდით, რომლებიც გათვლილი იმეფულია იარაღის გამოყენების ყველაზე ფართო სპექტრი. ასეთ პირობებში აუცილებელია შეიარაღებული ძალების დაბალანსებული სტრუქტურის შემუშავება, ანუ ისეთი სტრუქტურისა, რომელიც მიესადაგება ფართო სპექტრის განსაუფრებულ სიტუაციებს, და მათი გადალახვის აუცილებლობას. სხვადასხვა სახელმწიფოები, მათ წინაშე მდგარი საფრთხეებიდან გამომდინარე სხვადასხვაგვარად შეეცდებიან დაზღვეონ თავიანთი სტრატეგიები და სამხედრო სტრუქტურები. მაგალითად, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში არსებობს შეიარაღებული ძალების „დაზღვევის“ ტენდენცია კონფლიქტების ყველა სექტორების, ჰუმანიტარულიდან ბირთვული ომის ჩათვლით, შესაბამისი ძალებით უზრუნველყოფის გზით.

პეჯირების გამოყენება მომგებიანია იმიტომ, რომ აქ პირდაპირ არის დაყენებული მომავლის გაურკვევლობის პრობლემა. ისტორიაში ბევრი მაგალითი მოიძებნება, თუ როგორ მარცხდებოდნენ ერთი კონკრეტული ოპერაციისათვის კარგად მომზადებული შეიარაღებული ძალები, როდესაც რეალურად სხვა სახის პირობებში უნევთ მოქმედება. პეჯირების მეთოდი ენ ეხმარება დაბალანსებულ და მოზოლურ ძალთა ჩამოყალიბებას. სხვა მხრივ, ამ მიდგომის დროს სათანადოდ ვერ ფასდება მეგობრული ძალები და დდება პოტენციური მონიშნავდეს სამხედრო სიძლიერისა და მტრული განწყობის გაზვიადება, რის შედეგადაც დაგეგმარების სპეციალისტები იძულებულნი არიან „უკიდურესი შემთხვევის“ ვარიანტზე შეჩერდნენ. ამ მეთოდის ყველაზე დიდი უარყოფითი მხარე მისი მეშვეობით შემუშავებული რეკომენდაციების სიძირეა.

ახალი ტექნოლოგიები

ახალი ტექნოლოგიები აქცენტის გამახვილება ხდება იმ ვარაუდით, რომ კონფლიქტის თავიდან აცილება და აგრესიის შეკავება შესაძლებელია პოტენციური მონიშნავდესთან შედარებით უფრო მაღალი დონის ტექნოლოგიების შექმნის გზით. „მანჰეტენის პროექტი“ - მეორე მსოფლიო ომის დროს ატომური ბომბის შექმნა, ვიეტნამის ომის

შემდეგ მაღალი სიზუსტის საბრძოლო მასალების შემუშავება და ასევე ამერიკელების დღევანდელი გაცეცება „ინფორმაციული ომით“ გვიჩვენებს სტრატეგიებისა და სამხედრო დაგეგმარების სპეციალისტების „ტექნოლოგიურ ოპტიმიზმს“. აღნიშნული პროექტის ძირითადი უპირატესობა გამომავლობა იმაში, რომ იგი ორიენტირებულია მცნიერების ცოდნასა და შემოქმედებით აზროვნებაზე - პოსტინდუსტრიალური ეკონომიკის გაქცევის განსწავლვად ცავტორზე. უფრო ჰატიც, ახალი ტექნოლოგიების განვითარებას ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნების და ცოცხალი ძალების დანაკარგების შემცირების შესაძლებლობისაკენ მივყავართ. გარდა ამისა, ახალი ტექნოლოგიების განვითარება შეიძლება სამხედრო განვითარების ძირითად ასპექტად იქცეს.

აღნიშნულის მიუხედავად ამ მიდგომასაც გააჩნია მთელი რიგი უარყოფითი თვისებები, ერთ-ერთი მათგანია მეტისმეტად დიდი ხარჯების გაღება მცირე მიღწევებისათვის, განსაკუთრებით ტექნოლოგიების შემუშავების ეტაპზე. მეორე პრობლემა წარმოადგენს წარმატების გარანტიების გარეშე უზარმაზარი ინვესტიციების აუცილებლობა ტექნოლოგიური „ახსტიმის“ მისაღწევად. წარმატებული განვითარების შემთხვევაში კი ტექნოლოგიურ მიდგომას ხშირად მიყვარებიან დაცოლებით უფრო მცირე, მაგრამ უფრო ძვირადღირებული შეიარაღებული ძალების შექმნისაკენ. ამის შედეგად თავდაცვის ბიუჯეტის მცდისმეტად დიდი ნაწილი შეიძლება დაიხარჯოს ვიწროდ სპეციალიზირებული პროგრამების დაფინანსებაზე, ბალანსირების პოქნილობისა და რაოდენობრივი უზრუნველყოფის ხარჯზე.

ფისკალური მიდგომა

აღნიშნული მიდგომის განმსაზღვრელია ბიუჯეტი. პროცედურის დასაწყისში საერთო შეზღუდვები განისაზღვრება ისეთი არასამხედრო პარამეტრების საფუძველზე, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტის მაქსიმალური დასაშვები პროცენტი, ბიუჯეტის დეფიციტის შეზღუდვის აუცილებლობა ან ეროვნული ბიუჯეტის სხვა სტატეგებთან დაკავშირებული მოთხოვნილებები (მაგალითად გადამხდის ფორმები). ფისკალური მიდგომის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იგი დაფუძნებულია დემოკრატიულ პროცესზე, კერძოდ თავდაცვითი რესურსების სტრუქტურას ეკონომიკურ კონტექსტში იძლევა, სახელმწიფოს ურთიერთკონკურენტული მოთხოვნებისა და საზოგადოებრივი უშიშროების სფეროს გათვალისწინებით. ფისკალური მიდგომა დაგეგმარების სპეციალისტებისაგან მოითხოვს აღნიშნული საკითხის განხილვის პროცედურაში პრიორიტეტების მკვეთრ განსაზღვრას და შეიარაღებულ ძალებში ფისკალური დისციპლინის გაძლიერებას. მიდგომის ძირითადი სისუსტეა ის, რომ:

• იგი არ ასახავს უსაფრთხოების საერთაშორისო გარემოს, რის შედეგადაც ხდება მნიშვნელოვანი განსხვავება ქვეყნის სამხედრო სიძლიერესა და წარმოქმნილ საფრთხეებს შორის.

• ეროვნული ინტერესებისადმი საფრთხის ზედმეტად შეფასება, ანუ ის რაც რეგულარულად ხდება დემოკრატიულ სახელმწიფოში, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სამხედრო ხარჯების თანამიმდევრული ციკლურობის დაცვაზე, რაც თავის მხრივ შლის რაციონალურ გრძელვადიან დაგეგმვას.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებამ მის ყველაზე უარყოფით ვარიანტში შესაძლოა გამოიწვიოს შეიარაღებული ძალების სახეობა და თავდაცვითი უწყებებს შორის სახსრების განაწილების სისტემის „სამართლიანი წილის“ პრინციპის, და არაინტეგრირებულ და რაციონალურ საფუძველზე ასიგნირების პრინციპის გამოყენება. ასეთმა პოლიტიკამ სავარაუდოდ შეიძლება გამოიწვიოს შეიარაღებული ძალების სახეობა შორის დაპირისპირება და ნაწილობრივი ოპტიმიზაცია.

საქართველოს სინამდვილეში 2001 წელს შეიარაღებული ძალების დაფინანსება ფისკალური მიდგომით განხორციელდა. მისი დადებითი მხარე, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, დაფინანსების მაქსიმალური გამჭვირვალობა, რაც ერთი შეხედვით დაფუძნებულია დემოკრატიულ პროცესზე. თუმცა არ შესრულებულია ფისკალური დაგეგმვის მოთხოვნა მთლიან შიდა პროდუქტის მაქსიმალურად დასაშვები პროცენტის ფისკირება, რაც მინიმალურ შესაძლებლობას მისცემდა თავდაცვის სამინისტროს დაეგეგმა თავისი პროგრამები. სამაგიეროდ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვის ფისკალურმა მიდგომამ გამოიწვია მისთვის დამახასიათებელი ყველაზე უარყოფითი შედეგები.

• აბსოლუტურად იგნორირებულ იქნა უსაფრთხოების გარემოს შესაბამისი თავდაცვითი ღონისძიებების დაფინანსება.

შეუძლებელი გახდა თავდაცვის ხარჯების თანმიმდევრული ციკლურობის დაცვა: წინა წლების საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში თავდაცვის სამინისტრო 1997 წელს დაფინანსდა 88%, 1998 წელს 77%, 1999 წელს 69%, 2000 წელს ბიუჯეტი სიკვებისტრიბუტ იქნა, რის გამოც დაფინანსდა 50%, ხოლო 2001 წელს საბიუჯეტო დეფიციტის დაემატა ფისკალური მიდგომით დაფინანსება, რამაც გამოიწვია მიმდინარე წლის პირველი კვარტლის დაფინანსების სრული ჩაგდება, კერძოდ იანვარში დაგეგმილი 2 280 857-ის ნაცვლად თავდაცვის სამინისტრომ მიიღო 614 146, თებერვალში ეს თანხა სამჯერ შემცირდა 2 280 857-ის ნაცვლად მიიღო 262 723 ლარი - საერთო თანხის 8%. დაფინანსების ფისკალური მიდგომის გამო ბიუჯეტის დეფიციტის ფონზე საერთოდ შეუძლებელი გახდა ყოველდღიური ხარჯების დაფარვა საკვებზეც კი.

ალტერნატიული მიდგომების განხილვა

მიდგომა „სემოდან ქვემოთ“	საფუძვლი ინტერესები, მიზნები, სტრატეგია	დადებითი მხარეები აქცენტი მისწრაფება სისტემურება შეცნობა („მკომოდომა“) ხელისუფლების ინსტრუმენტების გაერთიანება	„მახვერა“ შესაძლებლობის გათვალისწინება არ ხდება უცებ, არ ეხება უმაღლეს დონეებს საზოგადოების გათვალისწინება სტრატეგიაში.
„ექვემოდას ზემოთ“	დღესათვის არსებული სამხედრო პოტენციალი	აქცენტი რეალურ ფაქტორებზე გამოყენება სამხედრო გეგმების სრულყოფის მიზნით	არ არის გათვალისწინებული მიმართული, არ არის საერთო ხელი.
„სკენარი“	სიტუაცია, გარემოება	განსაკუთრებული მიმართულებები, პროგრესების გამოყენება შეუძლებლობა „დაღიწი“ დროებითი ფაქტორის გათვალისწინებით.	სკენარის განვითარების გაქონრობების შეუძლებლობა, რეკონსტრუქციების რეკონსტრუქცია
„საფრთხე“	მოქალაქეობა	აქცენტი მომავალზე, ძალის დაბალანსება, აქცენტი სამხედრო საზოგადოება ძალაზე.	მიდგომის გამართლება, მოულოდნელ ცვლილებებთან (უდი შეგება, რეკონსტრუქცია).
პოტენციალის მისია	ფუნქციები	პოტენციალების რეალური შეფასება, პროგრესების განსახილვერა, გაურკვევლობის გადალახვა	ტენდენცია საზოგადოების ოპტიმიზაციისკენ, არ თავდასაცემის ძირითად მისიის, შეხამისად კერ აფასებს შეგობრული სახელმწიფოების სამხედრო ძალას.
ახალი ტექნოლოგიები	შედეგ ხარისხიანი სისტემები	აქცენტი სამეცნიერო შემოქმედებით მიდგომაზე, ადამიანთა სიცოცხლის შეხარისხება და ხარჯის შესწორება, შეიარაღებული ძალების შეუღმავლობითი	მეთოდის გამოყენების დიდ ხარჯები ხშირად კერ შეუხამებია საქმეობად მომხმედლოვან რესურსებზე, რისკის მაღალი დონე საერთოებს უქმნის შეიარაღებული ძალების სტრუქტურის დაბალანსებას.
ფისკალური	ბიუჯეტი	დემოკრატიის განვითარების პროცესის მხარდაჭერა, მოთხოვნის პროგრესების დაკონტროლება.	ყოველთვის აღქმავრება არ ახსახვს უმართობის სეფიოს. უარყოფითად მოქმედებს ციკლურ დანახარჯებზე. იჭვეს „სამართლიან განაწილებას“.

რაც მთავარია ფისკალურმა მიდგომამ გამოიწვია შეიარაღებული ძალების სახეობა და თავდაცვითი უწყებების შორის სახსრების განაწილება „სამართლიანი წილი“ პრინციპის სისტემით, და არანტეგრირებულ და რაციონალურ საფუძველზე ასიგნირების პრინციპის გამოყენებით. რისი შედეგიც იყო შეიარაღებული ძალების სახეობის შორის დაპირისპირება, გვარდია უმცირესი იყო „სამართლო“ დაფინანსებით, 25 მაისის გვარდიის ბატალიონის პროტესტის ობიექტურ მიზეზებს შორის ფისკალური დაფინანსების მიდგომა უნდა ვიგულისხმოთ.

სტრატეგიის შემუშავებისა და სამხედრო დაგეგმარების პრაქტიკისა სპეციალისტებმა ყურადღებიდან არ უნდა გაუშვან განხილული მიდგომების ძლიერი და სუსტი მხარეები. დაგეგმარების პროცესის განსხვავებული მიმართულებები გასხვავებულ გადამწყვეტილებებსა და ვარიანტებს წარმოქმნიან. ამ განსხვავებათა გააზრება დაეხმარება სპეციალისტებს, რომ არ მოწყდნენ რეალობას. №2 ცხრილში წარმოდგენილია აღნიშნული ალტერნატიული მიდგომები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

სტატიის ბოლოს გვინდა შევხებით სტრატეგიის შემუშავებისა და შეიარაღებული ძალების დაგეგმვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას - სამხედრო პროგრამებს.

„სემოდან ქვემოთ“ მეთოდის გამოყენება ეყრდნობა თავდაცვითი რესურსების მართვის სისტემის სამ ძირითად ელემენტს. ასეთი სისტემა უზრუნველყოფს დეფიციტური ნაციონალური რესურსების მქონე სახელმწიფო ხელისუფლების სამხედრო სტრუქტურებს. ეს მიდგომა საგრძნობლად განსხვავდება ადამიანისტრიქტებისა და კონტროლის სისტემისაგან, რომელიც მოქმედებს სხვადასხვა ოპერაციებში შეიარაღებული ძალების გამოყენებისას.

კონცეფტუალურად თავდაცვითი რესურსების მართვის სისტემა შედგება სამი განსხვავებული ელემენტისაგან:

დაგეგმარება - ქვეყნის უსაფრთხოების საჭიროებების შეფასება და და ამ შეფასების საფუძველზე საერთო სამხედრო მოთხოვნების განსაზღვრა

თავდაცვითი პროგრამები (სამხედრო პროგრამები) - ახდენს საჭიროებების, სამხედრო პოტენციალის მკაფიო კატეგორიებად ფორმულირებას.

პოლექტი - გამოხატავს თავდაცვით პროგრამას კონკრეტული ასიგნირებით გარკვეულ დროში და ფინანსური შესაძლებლობის ჩარჩოში.

თავდაცვითი რესურსების მართვის სისტემის გონიერულად გამოყენება საგრძნობლად ეხმარება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მიზნებს.

ბის განსაზღვრასა და მიღწევაში. მას შეუძლია ახალი მთავრობების ლეგიტიმირება და სამხედროებზე დემოკრატიული კონტროლის გამყარება. ეს არის საკმაოდ ამბიციური მიდგომა უსაფრთხოების ახალი ეპოქის განვითარებას, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობასა და თავდაცვის დაგეგმარების თანმიმდევრულ და ლია პროცესს.

ეს მიდგომა როგორც ზემოთ აღნიშნული ინცეპტული ინტერესების განსაზღვრით. შემდეგი ნაბიჯია - მზარდი უსაფრთხოების გაერმოს ანალიზი. რის საფუძველზეც დაგეგმარების სპეციალისტები როგორც წესი ახდენენ უფრო დაკონკრეტებულ და დროში შეზღუდული მიზნების იდენტიფიცირებას. სისტემატიზირება ხდება შედეგებითი მნიშვნელობის პრინციპით. ამ პროცესისათვის მიზნების განხილვა ხდება საბაზო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციების ჩრდილში. მაგალითად: საზღვრების უსაფრთხოება, იმიგრაციის კონტროლი, შიდა სტაბილურობა და საპაერო სივრცის დაცვა განკუთვნილია უმთავრეს ეროვნულ ინტერესს - სუვერენიტეტის დაცვას. ამავე ლოგიკით ღია სავაჭრო ურთიერთობები და პრივატიზაცია უზრუნველყოფს მეორე ეროვნულ ინტერესს - ეკონომიკურ კეთილდღეობას.

„ზემოდან ქვემოთ“ მიდგომის რეალიზაციის შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენს ეროვნული მიზნების მიღწევის საყოველთაო სტრატეგიის შემუშავება. რის შემდეგაც დგება თავდაცვითი პროგრამების შემუშავების ჯერი. თავდაცვითი პროგრამები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს ხილს დაგეგმარების თეორიასა და პოლიტიკის შედეგის პრაქტიკას შორის. ისინი უნდა განხილვებოდნენ განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლიტიკური იარაღად, როგორც კანონმდებლობისათვის და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის, ასევე მთელი საზოგადოებისათვის. ფაქტია, რომ საქართველო ვერ იყენებს სახელმწიფო ხელისუფლების სამხედრო ბერკეტებს ეროვნული ინტერესების მიმდინარე სტრატეგიის მხარდასაჭერად. ეს ვითარება ასახავს შესაბამისობას სტრატეგიასა და შეიარაღებულ ძალებს შორის. მისი კორექტირება შეიძლება სამხედრო ძალაუფლების წყაროებსა (ხარჯები) და რეალურ პოტენციალს (უკუგება) შორის უფრო საფუძვლიანი გამოყენების გზით. თუმცა „ხარჯების“ პრინციპით მიდგომა არ შეიცავს არანაირ მითითებებს რეალური სამხედრო ძალის თაობაზე, რომელიც ამ ხარჯების შედეგი იქნება. რის გამოც ძნელი ხდება დააჯერო სახელმწიფო მოღვაწეები, რომ დაგეგმილი სამხედრო პოტენციალი ეროვნული ინტერესების მხარდაჭერას შეძლებს.

პირველად ასეთი სახის პროგრამების შედგენა აშშ-ში 1960 წელს განხორციელდა ირანის მეცნიერის ჩარლზ ჯ. პიჩისა და რონალდ ნ. მაკკინის თაოსნობით. ისინი ჩაურთვედნენ ბიუჯეტის სუსტ მხარეებს შედეგნილს „დანახარჯების“ პრინციპით. მათ შესთავაზეს საბიუჯეტო მონა-

ცემების „პროგრამების“ კონტექსტით ორგანიზება, რომელიც განისაზღვრა როგორც მოქმედებათა კომბინაცია და საგრძნობლად შედეგანია. „მთლიანობაში, ჩვენ უნდა დავინყუთ პროგრამების კატეგორიებით მსჯელობა, რომელიც მიმართულია ამოცანების შესრულებისა და საბოლოო პროდუქტის მიღებისაკენ... სამხედრო საპერო ძალების, არმიისა და სამხედრო საზღვარაღების ცალკეული სახეობების განსაზღვრული საქმიანობა საბოლოო პროდუქტის სახით მოგვეცეს შევადგინოთ საპასუხო დამრტყმელ ძალას, და საქმიანობის ასეთი სახეები შეიძლება დავაჯგუფოთ და დავარქვათ პროგრამები“.

შეიარაღებული ძალების პროგრამებით დაგეგმვა ზრდის სხვადასხვა ალტერნატიული მიდგომების ჯანმრთელ კონკურენციას და საბოლოო ჯამში ვიღებთ კონკურენტუნარიან პროგრამებს, რომლებიც ყველაზე უკეთ ასახავენ ეროვნული ინტერესების დაცვის გზებს. ამავე დროს ეს მეთოდი გამჭვირვალეა და პასუხობს დემოკრატიის განვითარების პროცესს.

აქვე მოვიყვანო ზოგადი ხასიათის წინადადებებს, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ორგანიზებისა და კერძოდ შეიარაღებული ძალების ბრძოლის უნარიანობის განმტკიცებისათვის.

სასურველი იქნება, რომ ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) კონცეფციაზე მუშაობა

ბა ატარებდეს პერმანენტულ და სავალდებულო ხასიათს. აქედან გამომდინარე პარლამენტმა შეიძლება მიიღოს კანონი პრეზიდენტის მხრიდან ყოველწლიურად ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის წარმოდგენის შესახებ. ეს დოკუმენტი შესაბამისი მსჯელობების შემდეგ უნდა დამტკიცდეს პარლამენტის მიერ. აუცილებელია, რომ კონცეფცია წარმოდგენილ იქნას ისეთ პერიოდში, რომ შესაბამის აღმასრულებელ სტრუქტურებს საკმარისი დრო გააჩნდეთ სტრატეგიის შემუშავებისათვის. თავდაცვის სამინისტრომ კონცეფციიდან გამომდინარე სამხედრო სტრატეგიის საფუძველზე უნდა შეიმუშავოს სამხედრო პროგრამები, რომელთა მიხედვითაც მოხდება შეიარაღებული ძალების დაფინანსება.

უნდა გამოირიცხოს მხოლოდ ფისკალური მიდგომით თავდაცვის ბიუჯეტის დაფინანსება. გამოყენებულ უნდა იქნას სხვა მიდგომებიც და პირველ რიგში მიდგომა, „ზემოდან ქვემოთ“.

თავდაცვითი ფუნქციის მქონე ყველა სამხედრო შენაერთი უნდა მოექცეს ერთი ზელმძღვანელობის ქვეშ. ერთიანი დაქვემდებარებითა და ერთიანი ლოგისტიკით. მათი დაფინანსება უნდა მოხდეს პრიორიტეტების განსაზღვრით - სამხედრო პროგრამების მიხედვით (საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები).

უნდა შექმნას კრიზისული მართვის ეროვნული ცენტრი, ძირითადი ფუნქციებით:

- ა) კრიზისების მართვა;
- ბ) კრიზისების ძიება.

გაგომეგობა ლიტერატურა:

მახალა მიზნადებულია: Bartlett, Henry C and G. Paul Holman, Jr, and Timothy C. Somes. "The Art of Strategy and Force Planning", Newport, 1997;

Bartlett, Henry C and G. Paul Holman, Jr. "Defense Planning, programming, and Budgeting: The Lessons for a New Democracy", Garmisch-Paterkirchen, Germany: Marshall Center, 1998.

Charles J. Hitch, Roland N. McKean, The Economics of Defense in the nuclear Age. Cambridge, MA: Harvard University Press, 1960.

საქართველოს ეროვნული უშიშროების ასპეკტი ქვეყნის უშიშროების საკითხებზე შეხვედრა უსსრ-ს დოკუმენტთა კრებაში

თემურ კეკელიძე

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში მსოფლიოს გეოპოლიტიკურ არენაზე დატრიალებული გლობალური ცვლილებების შედეგად საქართველო განთავსდა საზღვარგარეთის პოლიტიკის განხილვისა და მიცემა უნიკალური შანსი ანაზღაურის თავისი შემდგომი განვითარება როგორც სუვერენულმა და დემოკრატიულმა სახელმწიფომ.

სამწუხაროდ, თავისუფლების პირველმა ნაბიჯმა დაგვიანდა, რომ ქართველი ეროვნულ-დინამიკური რიგი საგარეო და საშინაო, სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებისაგან პოლიტიკურად მოუშვადებელი აღმოჩნდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობისათვის. რის შედეგადაც მივიღეთ დაკარგული (იმედია არა სამუდამოდ) ტერიტორიები, საკუთარი სამშობლოში მალევე დაიწყო ქვეყნის ასეულობით წევრი ქვეყნის მოქალაქეები და სუსტი სახელმწიფოებრივი შეგნების მქონე, შინაგანი ნაწილმდებარეობის სახე საზოგადოება, რომელიც ქვეყანაში არსებული უკიდურესად მწვავე ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამომდინარე, ძირითადად ელემენტარული ყოველი პირობების დაკმაყოფილების საშუალებების ძებნით არის დაკავებული.

ბუნებრივია ამგვარ საზოგადოებაში, თუ შეიძლება საერთოდ საზოგადოება ეწოდოს იმას, რაც ჩვენ დღეს ვაგავანია, ხშირ შემთხვევაში სახეზეა ეროვნული ნიჟარის და აღმშენებელთა ბათილად გამოცდები.

არსებულ სიტუაციას უღერესად ართულებს სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველა რეალიზებული კორუფცია, რომელმაც იმდენად საშიში ხასიათი მიიღო, რომ თუკი მოკლევადიან პერიოდში არ იქნება გადაგებული ფაქტორი ნაბიჯები მის დასაბრუნებად, ქვეყნმა დაეკარგა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობა.

ყოველივე ამას დაუმატეთ საქართველოს ირგვლივ არსებული არასტაბილური და არც თუ მთლად მეგობრული გეოპოლიტიკური გარემო და გასაკვირვებელია, რომ ჩვენი მიზანი რომელიც საქართველოს დამოუკიდებელ, ერთიან, ძლიერ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ქცევას და ასეთი სახით მის შემდგომ განვითარებას (არსებობას)

გულისხმობს, წარმოუდგენლად დიდი ძალის-სხევის, მეტად მოქნილი და ამავე დროს მტკიცე პოლიტიკის გატარების შედეგად შეიძლება იქნას მიღებული.

დღეს არსებული მდგომარეობა სახელმწიფოს შესაბამისი საშუალებების მიერ სიტუაციის კომპლექსურ ანალიზის მოითხოვს, სადაც დინამიკაში იქნება განხილული ქვეყნის წინაშე არსებული რისკ-საფრთხეები, რაც ხელისუფლების მხრიდან მათ განხილვასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავების საფუძველი უნდა გახდეს.

სიტუაციის ანალიზი და მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმის შემუშავების მექანიზმი შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

- ეროვნული ფასეულობები;
- ეროვნული ინტერესები;
- სტრატეგიული შეფასება (ანალიზი);
- ეროვნული პოლიტიკა;
- ეროვნული სტრატეგია;
- სამხედრო სტრატეგია;
- რისკების შეფასება.

ზემოთ მოყვანილი სქემა ცნობილია ბარტლეტის მოდელის სახელით და წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო კოლეჯის მეთოდოლოგიას, რომელსაც იყენებს აღნიშნული ინსტიტუტი სახელმწიფო ინტერესებისა და მათი განხორციელების სტრატეგიის შემუშავებისათვის.

ეროვნული ფასეულობები

ზემოთ მოყვანილ სქემაში პირველ ადგილზე დგას ეროვნული ფასეულობები. ეროვნული ფასეულობები წარმოადგენენ ღირებულებათა სისტემას, რომელთა უზრუნველყოფა კონკრეტული ქვეყნისა და მისი მოქალაქეების მხრიდან განხილდება ფუნდამენტურად აღნიშნული სახელმწიფოს არსებობისათვის. ეროვნული ფასეულობები განაპირობებენ სამართლებრივ, ფილოსოფიურ თუ ეთიკურ ბაზისს ამა თუ იმ სახელმწიფო სისტემის ფუნქციონირებისათვის.

მკაფიოდ დეფინირებული ეროვნული ღირებულებები ხელს უწყობს ნაციის მიზნების ნათლად ჩამოყალიბებას და განსაზღვრავს ამ მიზნების შესაბამის ეროვნულ ინტერესებს.

ეროვნული ინტერსები

ეროვნული ინტერესები წარმოადგენენ თითოეული ერის მოთხოვნილებებს, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია სახელმწიფოს ეროვნული ფასეულობების და შესაბამისად განვითარებისათვის. ისინი განსაზღვრავენ სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების პოლიტიკას და სტრატეგიას, რომელიც ხსენებული ინტერესების განხორციელებისკენ არის მიმართული.

იმისათვის, რომ მოახდინონ ძირითადი (უმათავრეს) ეროვნულ ინტერესთა იდენტიფიცირება, ამერიკის სამხედრო კოლეჯი იყენებს ოთხ კატეგორიას და მნიშვნელობის ხარისხის განმარტვას სამხედრო (სამსაფუძვლიან) შუალას.

აღნიშნულ ოთხ კატეგორიას აშშ-ს შემთხვევაში განიკუთვნებენ:

- სამშობლოს დაცვა;
 - ეკონომიკური აღზავლობა;
 - ძირითადი ღირებულებების (დემოკრატია, ადამიანის უფლებები, თავისუფალი ვაჭრობა და სხვ.) პროპაგანდა;
 - ხელსაყრელი (აშშ-თვის) მსოფლიო წესრიგი.
- რაც შეეხება მნიშვნელოვნების სამ დონეს, ქცენია:

• სასიცოცხლო მნიშვნელობის - არ განხორციელების შემთხვევაში ზიანს მიაყენებს ძირითად ეროვნულ ინტერესებს;

• მნიშვნელოვანი - არ განხორციელება გამოიწვევს შედეგს, რომელიც საბოლოო ჯამში გარკვეულ ზიანს მიაყენებს ძირითად ეროვნულ ინტერესებს;

• პერიფერიული მნიშვნელობის - არ განხორციელების შემთხვევაში ნაკლებად მოსალოდნელია ზიანი მიაღდეს ძირითად ეროვნულ ინტერესებს.

თუკი ნაციონალურ ინტერესთა შეფასების ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმები/ატივორები შესაძლებელია ყოველი სახელმწიფოსათვის განსხვავებული იყოს, მათი მნიშვნელობის განსაზღვრა შუალის მიხედვით კლასიფიცირების მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს ეროვნული ინტერესთა განსაზღვრა-იდენტიფიცირებისათვის.

სტრატეგიული შეფასება

ბარტლემის სქემის მიხედვით, ეროვნულ ინტერესთა კლასიფიცირებასა და შეფასებას მოხდეს სტრატეგიული შეფასება.

სტრატეგიული შეფასება გულისხმობს ყველა ის სამსახური საგარეო ძალების, ტენდენციების, რისკ-ფაქტორებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებას, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ეროვნულ ინტერესებზე.

აშშ-ის სამხედრო კოლეჯი იყენებს ბლეკი-ლის კრიტერიუმებს, რომლებზე დაყრდნობითაც ფასდება კონკრეტულ ეროვნულ ინტერესზე ამა თუ იმ საფრთხის შესაძლო ზემოქმედების ხარისხი.

აღნიშნულ კრიტერიუმებს განეკუთვნება:

- საფრთხის სიხალვე დროში;
- გავრცელების სიხალვე;
- მასშტაბი;
- გავრცელების („ინფიცირების“) უნარი;
- მოვლენათა ფაქტი - საფრთხის ობიექტური წარმოდგენა ეროვნულ ინტერესებზე პირდაპირი საფრთხის წარმოქმნამდე.

აუცილებელია, რომ საფრთხეების სტრატეგიული შეფასება ხდებოდეს ინტერესის მნიშვნელობის ხარისხის განსაზღვრის შემდეგ. თუკი ხელისუფლება იწყებს კონკრეტული ინტერესისადმი დამუქრებული საფრთხის შეფასებას საკუთრივ ამ ინტერესის მნიშვნელობის ანალიზამდე, არსებობს რეალური საშიშროება რომ საფრთხის გასაუფრთხილებად მოიხიზებული რესურსები და პასისიმგებლობის დონე არაადექვატურა მოცემული ინტერესისა მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ამა თუ იმ ინტერესის მნიშვნელობა უნდა განაპირობებდეს მასზე დამუქრებული საფრთხის განსაზღვრად დახარჯულ ძალებსა და საშუალებებს და არა პირიქით.

ეროვნული პოლიტიკა

ქვეყნის ეროვნული ინტერესების განხორციელებისა და დაცვისათვის სახელმწიფოს ხელისუფლება აყალიბებს პოლიტიკურ პრინციპებს, რომლებიც განაპირობებენ ეროვნული სტრატეგიის მიმართულებას. ეროვნული პოლიტიკა წარმოადგენს მოქმედების საერთო კურსს იმ სახელმძღვანელო ამოცანების ფარგლებში რომელთა შესრულება უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების განხორციელებას. ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე ყალიბდება ეროვნული უშიშროების სტრატეგია.

ეროვნული უშიშროების სტრატეგია

ეროვნული უშიშროების სტრატეგია - ესაა ხელისუფლება და მცენიერება გამოყენებული იქნეს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ელემენტი ეროვნული ინტერესების მისაღწევად, როგორც მშვიდობიან ისე საომარ პირობებში.

ეროვნული სამხედრო სტრატეგია

ეროვნული სამხედრო სტრატეგია არის ხელოვნება და მცენიერება ქვეყნის სამხედრო სისტემების მიერ ძალების გამოყენების ან ძალების გამოყენების შეუძლებლობის მიხედვით იქნეს ეროვნული პოლიტიკით განსაზღვრული მიზნები. სამხედრო სტრატეგია ეფუძნება მხოლოდ აღნიშნულ პოლიტიკურ კონტექსტში. რამდენადაც იმ წარმოადგენს „პოლიტიკის სხვა საშუალებებით გაგრძელებას“ (კლუზიცი), ამდენად იმ და სამხედრო სტრატეგია უზრუნველყოფს ქვეყნის ინტერესების დასაცავად მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, (როდესაც სხვა საშუალებები ამარაურდება). /ამ კონტექსტში

საინტერესოდ ჟღერს ალ. კაპონეს ცნობილი ფრაზა: „ტკბილი სიტყვით და იარაღით უფრო მეტს მიაღწევ, ვიდრე მარტო ტკბილი სიტყვით.“ /ნებისმიერი სამხედრო სტრატეგია მოიცავს სტრატეგიულ აზროვნებას, დაფუძნებულს მიზნების, საშუალებების და რესურსების გამოყენებაზე.

რისკების შეფასება

იმდენად, რამდენადაც არც ერთი სტრატეგია არ არის უზრუნველყოფილი საკმარისი რესურსებით, რომლებიც წარმატების ასპროცენტიან გარანტიას იძლევიან, მისალიდნელი შედეგის შემომსახურის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მისთვის არამთლიანი მიღწევის რისკის შეფასების მეთოდი. თუკი აღმოჩნდება, რომ რისკი არსებული მასშტაბით მიუღებელია, სტრატეგია საჭიროებს გადასინჯვას.

არსებობს სტრატეგიის გადასინჯვის სამი ძირითადი ხერხი:

- ამოცანების შემცირება;
- კონცეფციის შეცვლა;
- რესურსების გაზრდა.

ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესში უკან მოხედვის და წარმოშობის გადამოწმების უნარი, რათა შესაძლო პრობლემები შედარებული და განხილულ იქნას სტრატეგიის პოლიტიკასა და მის განმაპირობებელ ინტერესებთან მიმართებაში, მაღალეფექტური სტრატეგიული ანალიზის უმათავრესი საინდიკატორია.

ეროვნული უშიშროების სტრატეგიის ზემოთ მოყვანილი მოდელის განხილვის მერ სახეობით ლოგიკურაა დაისვას კითხვა, რამდენად მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული და ჩამოყალიბებული საქართველოს ხელისუფლებას ის ეროვნული ფასეულობები, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისა და მანჩია ქართველ ერს (ისე საინტერესოა თითოეულ ქართველსა ერთმანეთს რა უნდა) და რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული მათგან გამომდინარე ეროვნული ინტერესები.

ნებისმიერ სახელმწიფოში აღნიშნულ კითხვებზე პასუხს უნდა იძლეოდეს სხვადასხვა სახის კონცეპტუალური დოკუმენტები, უპირველეს ყოვლისა ქვეყნის კონსტიტუცია, ეროვნული უშიშროების კონცეფცია, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრება ეროვნული უშიშროების სტრატეგია, თავდაცვის ენ. თეთრი ნიგინი და ეროვნული სამხედრო დოქტრინა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციის საბოლოო ვარიანტი შემუშავებული არ არის. შესაბამისად არ არის ჩამოყალიბებული სამხედრო დოქტრინაც, თუმცა ოფიციალურად არსებობს თავდაცვის თეთრი ნიგინი.

წინამდებარე სატაბის მეორე ნაწილის

მიზანია, მომოიხილოს საქართველოს ეროვნული უშიშროებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ეს დოკუმენტები (ეროვნული უშიშროების კონცეფციის სხვადასხვა საშუალო ვარიანტები, ენ. „ოკმანეის დოკუმენტი“, საქართველოს თავდაცვის თეთრი ნიგინი) და წარმოადგინოს მათი შედარებითი ანალიზი.

„ოკმანეის დოკუმენტი“

უშიშროების კონცეფციაზე უმათავრესი პროცესს წინ უძღვოდა ენ. ოკმანეის დოკუმენტის შექმნა. აღნიშნული დოკუმენტის სახელწოდება „საქართველო და მსოფლიო, მომავლის ხედვა და სტრატეგია“, იგი შემუშავდა უშიშროების საკითხებში საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს (ISAB) აქტიური მონაწილეობით. (ხსენებული საბჭო შედგება ნატო-ს გადამდგარი გენერლებისაგან და აზნადებს რეკომენდაციებს საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების სისტემების რეფორმირებისათვის).

ხსენებული დოკუმენტის პრეზენტაცია შედგა 2000 წლის ოქტომბერში და უშიშროების კონცეფციის არარსებობის პირობებში იგი განიხილება როგორც სახელმძღვანელო (საპრეზენტაციო) დოკუმენტი სადაც ასახულია ჩვენი ქვეყნის ხედვა მისი შემდგომი განვითარებისა და მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს ადგილის შესახებ.

პრინციპში ოკმანეის დოკუმენტი შეიცავს ყველა იმ ელემენტს და აგებულია იმ სქემის მიხედვით, რომელიც უნდა ახასიათებდეს უშიშროების კონცეფციას, იგი რეკომენდირებულია კიდევ როგორც ჩარჩო, ბაზისი ამ უკანასკნელის შესაქმნელად, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მის შესახებ ერთიორი სიტყვის თქმა.

აღნიშნული დოკუმენტი შედგება რვა თავი-საგან:

- შესავალი;
- ფუძემდებლური ეროვნული მიზნები;
- საერთაშორისო გარემო;
- საქართველოს უსაფრთხოებისა და წინსვლის ინტერესები: სტრატეგიული კონცეფცია;
- პოლიტიკურ-დიპლომატიური სტრატეგია;
- კულტურათა დიალოგი;
- საერთაშორისო ეკონომიკური სტრატეგია;
- თავდაცვითი სტრატეგია.

აღნიშნულ პარაგრაფებში ზოგადად არის განხილული ის ძირითადი ინტერესები და მიზნები, აგრეთვე მათი განხორციელების სტრატეგია, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნის სუვერენული, დემოკრატიული არსებობისა და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დაკვიდრებისათვის.

ამ დოკუმენტის განხილვისას განსაკუთრებულია გვსურს გამოვიყენოთ მისი ბოლო თავი - თავდაცვითი სტრატეგია.

აღნიშნული თავი იწყება შემდეგი აბზაცი „საქართველო ესწრაფვის წამყვანი როლი

შეასრულოს კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. საქართველოს მთავრობა კარგად აცნობიერებს იმგვარი სასიცოცხლო დანიშნულების ინიციატივების უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობას, როგორცაა მის ტერიტორიაზე გამავალი ნავთობადენები. ამ მიზნის განსახორციელებლად საქართველოს უნდა ჰქავდეს სათანადო შესაძლებლობის მქონე სამხედრო და შინაგანი ძალები.

რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია, რომ საქართველოს თავდაცვითი სტრატეგიის უპირველესი პრიორიტეტია დაცვას მის ტერიტორიაზე გამავალი ნავთობადენების უსაფრთხოება, თითქმის და სხვა ყველა პრობლემა რაც ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხებს ეხება, არათუ მოგვარებულია, არამედ მათი წარმოშობის საფრთხეც კი აღარ არსებობს. შესაბამისად, საქართველოს უნდა ჰქავდეს იმგვარი შესაძლებლობების მქონე სამხედრო და შინაგანი ძალები, რომელნიც უზრუნველყოფენ ამ „უმთავრესი“ მისიის განხორციელებას.

ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი ენერგომატარებლების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას, აგრეთვე იმ დიდ პასუხისმგებლობას რაც საქართველოს დაეკისრება კავკასიის რეგიონში დაგეგმილი გლობალური ეკონომიკური პროექტების სრულად ამოქმედების შემდეგ. მაგრამ მოუხედავად ამისა, დავსახით საქართველოს უპირველეს სახედრო პრიორიტეტად ნავთობადენების დაცვა და განაცხადით, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები ამ მისიის შესრულების მიხედვით უნდა გნვსაზღვროთ, მიუღებლად მიგვაჩნია.

საკლებად მოსალოდნელია, რომ ამ დოკუმენტის ავტორებიც მსგავსად განხილავდნენ ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძალების უმთავრეს ფუნქციებსა და პრიორიტეტებს. აღნიშნული პარაგრაფის ქვეთავში „მინები და ამოცანები“ საკმაოდ კარგად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მოვალეობანი:

- დაცვან საქართველოს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრები აგრესიისაგან;
- აღკვეთონ შეიარაღებული ამბოხებები და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობები;
- უზრუნველყონ პუბლიკური დახმარება კატასტროფების დროს;
- აღკვეთონ ტერიტორიის შემოტევები;
- მოწაწელობა მიიღონ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში.

შეიძლება, მით უმეტეს გაუგებარია, რატომ იწყება მოცემული თავი მსგავსი ფორმული რებით.

მოუხედავად კრიტიკული შენიშვნებისა, მიგვაჩნია, რომ როგორც ზოგადი ხასიათის დოკუმენტი, იგი ძირითადად აკმაყოფილებს მის ნიაზე დასმულ მოთხოვნებს, კერძოდ:

- ზოგადი სახით განსაზღვროს ქვეყნის წინაშე

მდგარი ამოცანები;

• დასახოს ზოგადი სტრატეგია მათ შესასრულებლად;

საქართველოს თავდაცვის თეორი წიგნი

საქართველოს თავდაცვის თეორი წიგნი წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ქვეყნის შეიარაღებული ძალების არსებული სტრატეგიის, მათი შემდგომი განვითარებისა და ისეთი მოდერნიზებული ძალებად გარდაქმნის შესახებ, რომლებიც შესძლებენ დაცვან საქართველოს ამაჟმინდელი და სამომავლო ინტერესები.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის შეიარაღებული ძალების ვალდებულია ემსახუროს სახელმწიფოს ეროვნული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვასა და მისი სართაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად.

აღნიშნული კუთხით საინტერესოა საქართველოს თავდაცვის თეორი წიგნი ჩამოყალიბებული საქართველოს შეიარაღებული ძალების ამოცანები:

- დაცვას საქართველოს მიწის, ზღვისა და საჰაერო საზღვრები აგრესიისაგან;
- შეიარაღებული აგრესიის მოგერიება, თუ აუცილებელია, განადგურება;
- ბრძოლა დაუმორჩილებლობისა და დიქტოსის წინააღმდეგ;
- კონტრტერორიზმი;
- საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში ურთიერთთანამშრომლობა;
- ჰუმანიტარული დახმარება და დახმარება სტიქიური უბედურებებისას.

მეორე პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებები შემდეგის სახით არის ჩამოყალიბებული: „შეიარაღებული ძალები უნდა იყოს საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ აღკვეთოს შეიარაღებული აგრესია, მაგრამ თუ ეს ვერ შეძლო, მან უნდა შეძლოს ადექატური ძალების გამოყენება მონინალმდეგის მოძრაობის შეჩერების ან შეფერხებისათვის და მოყენოს ისეთი დანაკარგი, რომ აიძულოს მას უკანდახევა. ნებისმიერი შეტევა მოგერიებულ უნდა იქნას ადექატური ძალებით სწრაფად, ისე რომ მინიმუმამდე დაიყვანოს საქართველოს ტერიტორიისა და ქონების ზარალი, შეძლოს სამოხილიზაციო რეჟერის ამოქმედება და მისცეს დრო საქართველოს პარტნიორებს საერთაშორისო გაერთიანებაში გამოსაყენების ორგანიზებისათვის.“

მიუხედავად საკმაო კონკრეტისა, გაუგებარი რჩება ერთი საკითხი. კერძოდ გულისხმობს თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას დამეთანხმებით, ის ფაქტი რომ საქართველოს ტერიტორიების საკმაო ნაწილი სუბარტისტული კონფლიქტების შედეგად ჩვენს იურის-

დიქციას არ ექვემდებარება, რამესახით ასახული უნდა იყოს მსგავსი ხასიათის დოკუმენტში.

და ბოლოს, ცნობილია რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები, ისევე როგორც ქვეყნის სხვა პარამილიტარისტული სტრუქტურები რეფორმირების პროცესშია. გეგმის მიხედვით ნავარაუდევია შეიარაღებული ძალების შემცირება და მობილურ, ნატო-ს სტანდარტების მიხედვით აგებული არმიად ქცევა.

ბუნებრივია, საქართველოს უბრალო მოქალაქეს გაუჩნდეს კითხვა, რეფორმირების დასრულების შემდეგ, იქნება თუ არა ჩვენი ჯარი ქმედითუნარიანი რომ:

- მოიგეროს ყველა სახის აგრესია, რომელიც შეიძლება დაემუქროს ჩვენს ქვეყანას არსებულ გეოპოლიტიკურ გარემოში;
- თუ საჭირო გახდება აღადგინოს და შეინარჩუნოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა;

ეროვნული უშიშროების კონცეფცია

უშიშროების კონცეფცია წარმოადგენს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების, მის წინაშე არსებული საფრთხეების, მექანიზმებისა და რისკების განსაზღვრებას; მათი აღკვეთა-აძლევის, ეროვნული ინტერესების განხორციელების მექანიზმების ჩამოყალიბების; ქვეყნის ორიენტაციისა და პოლიტიკური კურსის განაცხადს.

გასული წლის განმავლობაში უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავდა საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციის სამსაშუაო ვარიანტი. სამივე მათგანი განხილულ იქნა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ანალიტიკური საბჭოს მიერ და შენიშვნები გადაეცაზა ეროვნული უშიშროების საბჭოს.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ განვიხილავთ სამივე ვარიანტისათვის დამახასიათებელ საერთო ღირსებებსა თუ ნაკლს, რის შემდგომაც უფრო დანერგვით შევჩრდებით ბოლო ვერსიაზე, რადგანაც სწორედ ეს ვერსია წარმოადგენს იმ სამსაშუაო ვარიანტს (ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით), რომელზედაც გაგრძელდება მუშაობა საბოლოო დოკუმენტის შესამუშავებლად.

აღნიშნული დოკუმენტი შემდეგი შემადგენლობისაა:

- შესავალი;
- ზოგადი დებულებები;
- უმთავრესი ღირებულებები და ინტერესები;
- ძირითადი პრობლემები;
- საქართველოს უშიშროების ძირითადი პრიორიტეტები და ამოცანები;
- დასკვნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნისათვის ამგვარ მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემუშავების პროცესის დაწყება, უკვე მთავისთავად დადებითი მოკლენაა. თუმცა, იმდენად, რამდენადაც ეს პირველი მცდელობაა შეიქმნას „მოდერნიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნის მიზნობრივი ინტერესების, საშინაო და საგარეო უშიშროების

არსებითი პრინციპების კონცეპტუალურ-პროგრამული განაცხადი“, ბუნებრივია იგი ვერ იქნება და დაზღვეული მთელი რიგი სხვადასხვა სახის ხარვეზებისაგან.

ძირითადი ნაკლი, რომელიც საერთო კონცეფციის ყველა შემოთავაზებული ვერსიისათვის, გახლავთ ის, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბების, მათ აკლიათ კონკრეტულ, მკაფიოება ერთის მხრივ დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებსა და საერთაშორისო, გასაკუთრებით ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან და მეორეს მხრივ რუსეთთან მიმართებაში.

სხვებელი დოკუმენტის არც ერთ ვარიანტში არ არის განსაზღვრული, რომელი სახელმწიფო უნდა განვიხილოთ საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად თუ მისდამი არამეგობრულად განწყობილად; რომელ საერთაშორისო გაერთიანებასთან თანამშრომლობა თუ მასში განეწიება წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის გამსაკუთრებულ პრიორიტეტს. ყოველივე ამის განსაზღვრის შემდეგ დოკუმენტში ჩამოყალიბებული უნდა იყოს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მკაფიო პოლიტიკა. ნაცვლად ამისა დოკუმენტში გამოსჭვივს მხოლოდ კეთილი ურთიერთობების სურვილი ყველა ახლობელ თუ შორეულ სახელმწიფოსა და საერთაშორისო ინსტიტუტთან.

ბუნებრივია, ჩვენ არ მოვიტოვებთ, რომელიმე სახელმწიფოს მტრად გამოცხადებას, მაგრამ საქართველოს მსგავს გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი ქვეყნისათვის განცხადება იმისა, იგი ყველასთან კარგ დამოკიდებულებაში იქნება, უბრალოდ, არარეალურია.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა კონცეფციის პირველი ვარიანტი, სადაც საგარეო პრიორიტეტებს შორის ნახსენებია: „ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სისტემაში სრულმასშტაბი ინტეგრაცია; ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება; ევროატლანტიკურ პარტნიორობისა და ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაფართოება; ევროსაბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობა და ევროპის საბჭოს ძირითადი პრინციპების დაცვა.“ რის შემდგომაც რუსეთთან მიმართებაში კეთილთვისებიან შემდეგ ფრაზას: „ორი ქვეყნის (საუბარია რუსეთ-საქართველოზე) გეოსტრატეგიული ინტერესების მაქსიმალური შეთანხმადობის პრინციპის უზრუნველყოფა, ისე, რომ დაცული იქნეს ორივე სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.“ ამავე კონტექსტში საყურადღებოა II თავში ნახსენები ფრაზა - „საქართველო მხარს უჭერს საერთაშორისო ძალისხმევას, რომელიც მეზობელ რეგიონებში, კერძოდ, ჩრქვინისა და მთიან ყარაბაღში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებასა და რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს

ითვალისწინებს". ცოტა არ იყოს უცნაურია ოფიციალურ დოკუმენტში ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაზე საუბრისას რუსეთის ინტერესების გათვალისწინების დადგენილება.

ამ შერცხვით, თითქოსდა, უკეთესი მდგომარეობაა დოკუმენტის ბოლო ვარიანტში, რომელშიც ნახსენებია, რომ „დემოკრატიულ, ზოგად-საკაცობრიო პრინციპებზე დაფუძნებულ საერთაშორისო სისტემაში მონაწილეობა სრულიად შეესაბამება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს“, რაც განაპირობებს ჩვენი „ქვეყნის დასავლურ და ევრო-ატლანტიკურ ორიენტაციას“, თუმცა საქმე ამ ზოგადი ფრაზის იქით არ წახლავს. არსად ჩანს აქვს თუ არა სახელმწიფოს შემუშავებული პოლიტიკა აღნიშნული ევრო-ატლანტიკური ორიენტაციის განსახორციელებლად და ამიტომ თუ არა ამ მიმართულებით რაიმე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

მეორე სერიოზული ხარვეზი, რომელიც ახასიათებს უშიშროების კონცეფციის არსებულ ვარიანტებს, გახლავთ ის, რომ ყველა მათგანში კორუფციის, შესაბამის გაკვერთ, შეიძლება ითქვას, მორცხვად, არის ნახსენები. რას წარმოადგენს კორუფცია საქართველოსათვის და რამდენად საშიშია იგი ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის, ეცადეს კარგად მოესხნება. ამდენად, მისი, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საფრთხის, მოუხსენებლობა ეროვნული უშიშროების კონცეფციაში, ცოტა არ იყოს, გაუგებარია.

კონცეფციის არც ერთ ვარიანტში არ არის დაფიქსირებული, როგორც საფრთხე, ენერგო-მატარებლებზე ცალმხრივი დამოკიდებულების ფაქტორი. არადა, ბოლო წლების, და განსაკუთრებით უკანასკნელი წლების გამოცდილება ცხადყოფს, თუ როგორი მგრძნობიარეა ჩვენი ექსპორტის მაქსიმალური მიმართულება.

გარდა აღნიშნული საერთო ნაკლოვანებისა არის რამდენიმე სხვა, რომელიც კონცეფციის ბოლო ვარიანტისათვის არის დამახასიათებელი.

IV თავის „საქართველოს უშიშროების ძირითადი პრიორიტეტები და ამოცანები“ - პირველი ქვეთავის - „საგარეო უშიშროების პრიორიტეტები“ - რომელიც კონცეფციის პირველი პროექტის ანალოგიურ ქვეთავთან შედარებით გაცილებით დადებით შეფასებას იმსახურებს, აშკარა ნაკლს წარმოადგენს ის, რომ იგი კონცენტრირდება მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოებთან ორმხრივ ურთიერთობებზე და საერთოდ არ არის განხილული საქართველოს დამოკიდებულება ისეთ უმნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებზე და კავშირებთან როგორებიცაა ევროპის საბჭო, ევროკავშირი, ნატო, გაერო, დსთ, სუუამი. გაუმართლებელია ის, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფცია არ ფარავს ამ მეტად აქტუალურ ურთიერთობებს და არ აყალიბებდეს ამ მხრივ არსებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს.

6. კონცეფციაში არაფერია ნათქვამი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების დარეგულირებასთან მიმართებაში საქართველოს კონკრეტული პოზიციის შესახებ. თუ III თავში - „ძირითადი პრობლემები“ - ცალკე საკითხადაა განხილული „ტერიტორიული მთლიანობის დარღვევლობა“, როგორც სახელმწიფოებრიობის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დამაბრკოლებელი გარემოება, აუცილებელია, რომ IV თავის მეორე ქვეთავში - „საშინაო უშიშროების პრიორიტეტები“ - იყოს განხილული კონკრეტული ის მიმართულებები, რომელთაც საქართველო პრიორიტეტულად მიიჩნევს აღნიშნული კონფლიქტების დასაწყველად, შესაბამისად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

7. ჩვენი სახელმწიფოს საშინაო პრიორიტეტების (IV.2) განხილვისას საერთოდ არ არის ნახსენები განათლების პრობლემა. არადა, სწორედ განათლების მეშვეობით უნდა მოხდეს ჩვენი ქვეყანაში სამოქალაქო შეგნების განვითარება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განათლება წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს უმთავრეს პრიორიტეტს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ჩვენი სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა. ამავც ქვეთავში შეიძლება მიუთითოთ ქართული ენის, როგორც ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ შემსახურებელ ფაქტორზე.

8. ჩვენი აზრით, საშინაო პრიორიტეტთა ნუსხაში დაფიქსირებული უნდა იყოს ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობაც. სწორედ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის რეგიონალური და გლობალური ფუნქციის სრულად გამოყენების შესაძლებლობა.

9. როდესაც საუბარია საქართველოს სამხედრო ძალების ძირითადი ამოცანებზე (IV. 3. „სამხედრო უშიშროების პრიორიტეტები“) და მათ შორის უპირველესზე - „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური ნესწყობის დაცვა“, კვლავ გაურკვეველია გულისხმობს თუ არა სიტყვა „დაცვა“ აღდგენას, მაშინ როდესაც დაცვის მცდელობა წარუმატებულადაა დასრულებული. ცნობისათვის, USEUCOM-ის (ამერიკის შეიარაღებული ძალების ევროპული სარდლობა) რეკომენდაციაში, საქართველოს შეიარაღებული ძალების ძირითადი ამოცანებად, ხაზგასმულია ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და საჭიროების შემთხვევაში აღდგენის აუცილებლობა. საკითხავია თუ რატომ ვერ იდებოდა ჩვენ ამ ფორმულირებას.

4. „ძირითადი პრობლემები“ არ არის აღნიშნული საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომის წარმოება, როგორც მუქარა ჩვენი ქვეყნის უშიშროებისათვის.

11. „ეროვნული საკითხის გადაჭრელობა“- ამ ქვეთავში უმჯობესია, თუ ყურადღება გამახვილდება შიდა ინტეგრაციაზე, ვინაიდან კონსოლიდაციის არარსებობის პირობებში ძნელი იქნება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მომავალი განვითარება.

მე-4 გვერდის ბოლო წინადადებაში ლაპარაკია „უშიშროების უზრუნველყოფის სპეციფიკური ფუნქციების განსახორციელებლად“ შესაქმნელ „სპეციალურ ორგანოებზე“. სასურველია, თუ დაკონკრეტდება ეს წინადადება, ვინაიდან ჩვენი კანონმდებლობით უკვე არსებობს შესაბამისი სამინისტროები და დეპარტამენტები.

ქვეთავში „ეროვნული სახელმწიფოებრივი მთლიანობა“ ბოლო აბზაცი, სადაც საუბარია სახელმწიფოებრიობის, როგორც ღირებულების დამკვიდრების შესახებ სრულდება შემდეგი ფრაზით: „ესაა ხელისუფლების უცვლელი მიზანია“. ჩვენი აზრით აქიდან იგი შეიცვალოს შემდეგნაირად: ესაა სახელმწიფოს უცვლელი მიზანია, რადგან „მოსახლეობის ინტეგრაცია და სახელმწიფოებრიობის, როგორც ღირებულების დამკვიდრება“, ჩვენი აზრით, მუდმივი ინტერესების რიცხვს განეკუთვნება.

გარდა ამისა, აღრეულია ზოგიერთი ტერმინიც, მაგალითად: ეროვნება და ეთნოსი ხშირად სინონიმებადაა გამოყენებული სასურველი იქნება,

თუ ერი მოხსენიებული იქნება, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ჯგუფის აღმნიშვნელი სიტყვა. ნაციონალიზმის ცნებაც ხშირად არასასურველ კონტექსტშია ნახმარი, რაც ამ ტერმინის დისკრედიტაციას იწვევს. უმჯობესი იქნება, თუ აღნიშნული იქნება ნაციონალიზმის რა გვარობას ამ ფორმას (ეთნონაციონალიზმი, სახელმწიფო ნაციონალიზმი და ა.შ.) ვგულისხმობთ.

ამდენად, წინააღმდეგ სტატიამ დაგვანახა, რომ გარდამავალ პერიოდში მყოფ საქართველოს სახელმწიფოს ჯერ კიდევ არა აქვს მკაფიოდ განსაზღვრული საკუთარი ეროვნული ფასეულობები, მათი შესაბამისი ეროვნული ინტერესები და აღნიშნული ინტერესების განსახორციელებლად შემუშავებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ეროვნული სტრატეგია (რომელიც სამხედრო სტრატეგიასაც გულისხმობს).

თუკი ჩვენ ვერ გამოვიყენებთ ამ ისტორიულ შანსს და ვერ შევძლებთ ჩვენი ქვეყნის ნორმალურ, ევროპული ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რომელიც თავის კუთვნილად იღებს დიკავებს ევროპულ (ევრო-ატლანტიკურ) ოჯახში, საქართველოს ემუქრება რეალური საშიშროება იქცეს არშემდგარ სახელმწიფოდ და გაურკვეველი დროით კვლავ დაუბრუნდეს რუსეთის ორბიტას.

გამომცემი ლიტერატურა ლა მასალაში:

1. საქართველო და მსოფლიო: მიმავლის ხედავ და სტრატეგია; თბილისი 2000წ.
2. საქართველოს თავდაცვის თეორია წიგნი; თბილისი 2000წ.
3. საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციის პროექტი; თბილისი 2000წ.
4. Bartlett, Henry C., G. Paul Holman, Jr., and TimoThy C. Somes. "The Art of Strategy and Force Planning." edited by Strategy and Force Planning Faculty. 2nd ed. Newport. RI: U.S. Naval War College Press, 1997, pp. 16-28.
5. Yarger, Richard H., and George F. Barber. The U.S. Army War College Methodology for Determining Interests and Levels of Intensity. Carlisle Barracks, PA: U.S. Army War College, 1997, pp. 1-12.

დემოკრატიული სახელმწიფოების საერთაშორისო
(კონგრესალური) სამსახურების სამართლებრივი საუბრებისა
და მათი საქმიანობის კონტროლის მექანიზმის შესახებ

 გურამ რეხვიაშვილი

საქმის დასაწყისში (პროცესის დასაწყისში)
საქმის დასაწყისში პროცესის დასაწყისში
საქმის დასაწყისში პროცესის დასაწყისში
დასაწყისში პროცესის დასაწყისში
დასაწყისში პროცესის დასაწყისში

იმ სახელმწიფოთა ჯგუფი, რომლებშიც სპე-
ციალური (კონტრსადაზვერვო) სამსახურები
მოქმედებენ საკონსტიტუციო პროცედურით
მიღებული კანონის საფუძვლებზე, შედარებით
მცირეა.

ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, სადღესასწაულოების სამართლებრივ საფუძვლებზე საკმაოდ სახეოდ მრავალმხრივად შემუშავებული, ხოლო ამ სამსახურების კონტრაქტის კარგადა განვითარებული, აღნიშნულ სახელმწიფოთა ჯგუფში შეიძლება იდგინოს პრივილეგიები, დანია, იტალია, ნიდერლანდები, გერმანია და დიდ ბრიტანეთის ტრადიციებისა და პოლიტიკური კურსის მიმდევარი კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია. ყველა ეს სახელმწიფო ითვლება განვითარებულ, დემოკრატიულ ქვეყანად და მათ კანონმდებლობაში წყდება ანალოგიური ამოცანები, რომლებიც გამოიწვევნიან ერთი და იგივე მიზნიდან – უზრუნველყონ კონტრაქტის შეწყვეტის სამახსოვრების ეფექტური შემოღება ამავე დროს, არ დაუპირისპირდნენ იმ ძირითად ღირებულებებს, რომლებსაც ალიანსები და იცავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

კონტრსადაზვერუო სამსახურების საქმიანობის კანონით დადგენილი პროცედურების რეგულირებაში განსხვავების მიუხედავად, შეიძლება აღინიშნოს ამ საქმიანობის საკანონმდებლო საფუძვლების ატვის "ზოგადი საერთო პრინციპი, რომლებიც წარმოასახვენ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს საერთო ნორმებსა და პრინციპებს.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის სამხასურის ფუნქციებისა და უფლებათა-მოვალეობების ისეთი განსაზღვრა, რომელიც მათ უპრაქტიკული რეალიზაციის მომენტში არ შექმნის ამ ქვეყნის მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობისათვის საკონსტიტუციო უფლებებისა და თავის უფლებების შეზღუდვის საფრთხეს.

მეორე, სამსახურის საერთო ეროვნული, საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების ფარგლებში მოქმედებების გარანტიის დაფიქსირება. ეს დებუ-

ლებზე მიიღწევა სამსახურის კანონში „პოლიტიკური ინტერაქტივობის“ გამოცხადებით, რომელიც უკრძალავს მას იმოქმედოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე, მიუხედავად იისა არის ეს პარტია მმართველი თუ ოპოზიციური. კანონში ამავე მიზნებს ემსახურება აღბრუნებელ ხელისუფლებას სამსახურის დაგდის ზუსტი მინიშნება, მისი ქვემდებარება და ანგარიშვალდებულება.

მესამე, ეკონომი აყალიბებს კონტროლის მექანიზმს, რომელიც მოქმედებს სასაბურთო მართვად განმარტოვებულად ორგანოს დამოუკიდებლად და უშუალოდ მასში ჩართვის საპარლამენტო კონსტიტუტივად და კომისიები, არასაპარლამენტო ეკონომიური კონსტიტუტივები, სპეციალური სასა-მართლოები, რწმუნებულითა ინსტიტუტი და გენერალური ინსპექტორები. დემოკრატიული საზოგადოების ნორმების გახსოვრების საშუალებების შექმნისას ეკონომი კონტრადიქციურებს სასაბურთო სვას გარკვეულ ფარგლებში, რომელიც გახსნის იქნება ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისათვის და საზოგადოებრივი აზრისათვის, მაგრამ, სწორედ რომ „გარკვეულ ფარგლებში“.

მკითხველს იძლევა რამდენადაც, იმ საერთო პრინციპებიდან ერთერთი, რომლებზედაც კონკრეტულ ზეგარის სამსახურების სამართლებრივი საფუძვლები შენდება აღნიშნულ ქვეყნებში, არის ის, რომ კანონი გაამოცის კონკრეტულ ზეგარის როგორც სამსახურის სპეციფიკის ცნებდან, რომლის ეფექტურობა მთლიანად დამოკიდებულია კონსტანციისა და საიდუმლოების დაცვის მოთხოვნებების შესრულებისაგან. ეკრძა, სამსახურის საქმიანობის კონტროლის მექანიზმის შემუშავებისას, კანონი ითვალისწინებს სამსახურის კონტროლის „საჯაროობას“ და მისი საიდუმლოების დაცვის მოთხოვნებების „გათანაბრების“ აუცილებლობას. ამ მიზნით კანონი მაქსიმალურად განსაზღვრავს „საჯაროობის“ ფარგლებს და იმ პირობებს, რომლებითაც მაკონტროლებელი ორგანოები იღებენ ნებართვას სამსახურის საიდუმლოებების გაყენებისათვის.

მესუფეთე, კანონის შემოაქვს სამსახურის მოქმედებაზე საჩივრებისა და აპელაციების განხილვის სისტემას, რომელიც ფაქტიურად მოსახლეობასთან უსუკავშირის სისტემას წარმოადგენს. ამ სისტემის წყალობით იქმნება საშუალება სამართლებრივ

საფუძვლებზე გამოვლინდეს სამართალდარღვე-
ვები, რომლებიც გამოიწიან გათვალისწინებული
ფარგლებიდან და უფლებამოსილების გარეთ, ან
სამსახურის მიერ დაშვებული მცდელობი ქმედებები,
რომელთა შედეგადაც ზიანი მიადგათ კერძო
პირებს და ორგანიზაციებს და აცოლებული იქნეს
ამგვარი მოქმედებების შედეგები.

კონსტრუაზვერვის სამსახურების შესახებ
კანონთა საერთო ზარი, მათი ფუნქციებისა და
ფუნქციონირების სფეროს განსაზღვრა, სუბორ-
დინაციის დადგენა და კონტროლის ზომები -
აფორიზმების სამსახურის ადგილი სახელმწიფო
მმართველობის სისტემაში, ავანტიურებს მას
ხელისუფლების სხვა რგოლებთან, ამკვიდრებს მას
დაქვემდებარებული სახელმწიფოს სახელმწიფო
აპარატის ნაწილად. ისტორიული გამოცდილება
ადასტურებს, რომ ეს პრინციპულად მნიშვნე-
ლოვანია თვით დემოკრატიული ხელისუფლების
არსებობის თვალსაზრისით.

ყველაზე რესპუბლიკის ფაშისტური სახელმწიფო და გადაწყვეტილებების, მაგალითისათვის, მიდიოდა და სეკსამსახურის ფუნქციების და უფლებამოსილებების თანდათან გაფართოების და მათ მიერ ყველა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის განსაკუთრებული ადგილის მოპოვების გზით.

„საპოლიციო სახელმწიფოს“ არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამსახურული, რომლებიც ცირადიფიკაციო ადმინისტრაციული სტრუქტურების ნაწილს შეადგენენ და ინტეგრირებული არიან მათთან, ეყოფიან ამ სტრუქტურების უფლებამოსილებებს, რომლებიც შესაბამის სახელისუფლებო სტრუქტურებს ჰქონდათ საპოლიციო და სხვა სპეციალური სამსახურების (მართა, თანდათან ძალას კარგავენ. ეს სამსახურები იღებენ დამოუკიდებელ მდგომარეობას, გარკვეულ ავტონომიას ადმინისტრაციული, სასამართლო და სამხედრო ხელისუფალთა მართა პრდარა და მთლიანად ეს სამსახურები დამორჩილებას იწვებენ მხოლოდ კონკრეტული დამორჩილებას ან ორგანიზაციებისადმი, რომლებიც იმპერიუმ პოლიტიკურ ხელისუფლებას. ეს პროცესი ნათლად გამოჩნდა ჩვენი დროის საპოლიციო ტოტალიტარული სახელმწიფოთა ფორმირებისას, მაგალითად, როცა 1933-36 წლებში მიმდებარა თავისი კონტროლის ქვეშ ჯანაოპოლიცია სპეცსამსახურების შერწყმა და უფიციკაცია.

ამ ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნები, იღებენ რა კანონს, რომელიც ადგენს კონტრას-დაზვერვო სამსახურის სტატუსს, ამ კანონში შეჰყავთ ის შექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს ამ კანონის დაცვა და უქსრულება კონტრდაზვერვის მიერ. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ პირველი ქვეყნები, რორლებშიც იქნა მიღებული კანონი სპეცსამ-სახურების სტატუსის შესახებ და შემოიღებულ იქნა.

კონტროლის მექანიზმი, იყვნენ გერმანია და
იტალია, ქვეყნები, რომლებმაც გადაიტანეს ტო-
ტალიტარული წარსული და სპეცსამსახურების
რეპრესიები.

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფო-
ში ასეთი კონტროლი იძენს მრავალმხრივ ხასიათს
და ხორციელდება რამდენიმე დონეზე.

უკვე ასეთი კანონის არსებობა ადგენს სასაზურის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, ხდის მას წინასწარ განსაზღვრულად და, ქვემოთ გამოდინარე, მისი ქმედებანი, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ექვემდებარება ფართო საზოგადოებრივ კონტროლს. საზოგადოება ასეთი სიტუაციისათვის მზად არის, რადგანაც საქცეამ საზურის ფუნქციები და უფლებამოსილებები უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნისთვის ცნობილ კანონს. ასეთ შემთხვევაში კანონის გამოქვეყნებისთანავე სასაზურის მოქმედებები ხელმისაწვდომია საზოგადოებისა და საზოგადოებრივი აზრის რეალური კონტროლისათვის.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ჩამოყალიბებულია მუდმივი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც თან ახლავს სპეცსამსახურის მთელ საქმიანობას და თავის გამოსახულებას უპოვებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

იმას რომ, საზოგადოებრივ აზრს, გამოხატულს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, შეუძლია პირდაპირი ზეგავლენა მოახდინოს სპეცსამსახურების ქმედებებზე, ნათლად გვიჩვენებს თუნდაც ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, როდესაც 1987 წელს გამოვიდა პიტერ რაიტის წიგნი „ჯაშუშებზე მონადირე“ და ამასთან დამუშორებით პრესაში გაგრძელები კამპანია, როგორცაა გამოჩენია უნდათლობის ტალღა ინგლისის კონტრსადაზვერუო სამსახურის მიწადამი. ამ მოვლენებში დააჩქარეს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ კონტრსადაზვერუო სამსახურის შესახებ კანონის შემუშავება და 1988 წელს მისი მიღება, რომელიც ძალაში შევიდა 1989 წლის დასაწყისში.

საზოგადოების მუდმივი ყურადღების არსებობა კონტრდაზვერვის საქმიანობაში, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პოვნებს გამოხატულებას და უპირველეს ყოვლისა, თავისა დაცვებს მის მიერ პირდაპული უფლებებისა და მოქალაქეთა თავისუფლების ნორმების დაცვას, არის ფართო მასშტაბის კონტროლის უზრუნველყოფის ფაქტორი ყველაზე მაღალი დონიდან. თავისუფლად მეგობილი მივიჩნით, რომ კონტრდაზვერვის სამსახურების საქმიანობისადმი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოხატულები დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების ჩვეულებრივი ელემენტია. მათში აიხსნება სხვადასხვა, ხშირად წინააღმდეგობრივი მოთხოვნები კონტრსადაზვერვო სამსახურისადმი სხვადასხვა პოლიტიკური და ჯგუფებების მხრიდან, მათ შორის მობრზიერი და დისიდენტური ჯგუფებიდან, მაგრამ ისინი

რეალურ ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოს ხელმძღვანელთა სპეცსამსახურებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე. ასეთი ზეგავლენის მასშტაბები ზოგ ქვეყნებში, მაგალითად აშშ-ში, შეიძლება იყოს მეტი, სხვებში, მაგალითად დიდ ბრიტანეთში, შედარებით ნაკლები, მაგრამ ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში შედარებით დამოუკიდებელი პრესის, რადიოს და ტელევიზიის ორგანოები თავისი საკუთარი საინფორმაციო წყაროებით არიან კონტრსადაზვერვო სამსახურის საქმიანობის საზოგადოებრივი, არაფორმალური კონტროლის აუცილებელი ელემენტები ყველაზე სანყის მასობრივ დონეზე.

ამის შესახებ ლაბარაკი უნდა იყოს არა იმიტომ, რომ ამა თუ იმ საზოგადოებრივ სისტემის უპირატესობას გაეუსვათ ხაზი, არამედ ყურადღება მივაქციოთ იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც თამაშობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საზოგადოებრივი აზრის სპეცსამსახურების საქმიანობის ირგვლივ ჩამოყალიბებაში (რომელშიც ხშირად ეს სამსახურებიც იღებენ მონაწილეობას).

კონსტრუქციის შემადგენელი, მისი
თავისებურება და საზოგადოებრივი
მასშტაბის მნიშვნელობა

საზოგადოებრივი აზრისა და მასობრივი ინფორმაციის როლის გააზრება სპეციალური სამსახურების საქმიანობის არაფორმალური კონტროლის უზრუნველსაყოფად საჭიროა იმისათვის, რომ გადავიდეთ კონტრსადაზვერვო საქმიანობის კონტროლის ფორმალურ-სამართლებრივი სისტემის განხილვაზე. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებრივი აზრის ზეწოლა სპეცსამსახურთა გაერთიანებაზე, უპირველეს ყოვლისა, ეხება კონტრსადაზვერვო სამსახურების საქმიანობას და ამიტომაც სპეცსამსახურების სამართლებრივი საფუძვლის მნიშვნელობა, როგორც ეს, იწყებოდა სწორედ კონტრდაზვერვიდან.

დღეისათვის პრაქტიკაში მოქმედებენ კონტრსადაზვერვო საქმიანობის რამდენიმე სხვადასხვა ფორმული - სამართლებრივი კონტროლის მექანიზმები.

აშშ-ში, გერმანიაში, იტალიაში, დანიაში, ნიდერლანდებში, ავსტრალიაში ფუნქციონირებენ საპარლამენტო კომიტეტები, რომლებსაც აერთიანებს ერთიანი ამოცანა - აკონტროლონ სპეცსამსახურების საქმიანობა. ამასთან, ავსტრალიაში კონტროლის მექანიზმი ვრცელდება მხოლოდ კონტრდაზვერვის სამსახურზე, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში მთლიან სპეცსამსახურთა გაერთიანებაზე, კონტრდაზვერვითა ჩათვლით.

გარდა ამისა, გერმანია არის ერთადერთი ევროპული ქვეყანა, რომელშიც სპეცსამსახურებზე კონტროლი ხორციელდება ისევე როგორც აშშ-ში,

არა ერთი, არამედ რამდენიმე საპარლამენტო კომიტეტის მიერ.

კანადაში კონტრსადაზვერვო სამსახურის კონტროლი ხორციელდება არასაპარლამენტო კომიტეტით, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება პრემიერ-მინისტრის პარლამენტში კონსულტაციების შემდეგ.

დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, კანადაში და ახალ ზელანდიაში კონტროლის მექანიზმი შეიცავს პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნულ განსაკუთრებულ რწმუნებულს ან გენერალურ ინსპექტორს, გარკვეულ წილად პასუხისმგებელ პარლამენტის წინაშე. გარდა ამისა, დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიაში მოქმედებენ სპეციალური სასამართლოები მოსახლეობის მხრიდან აპელაციებისა და საჩივრების კონტრსადაზვერვო სამსახურის საქმიანობის განხილვად.

როგორც დავიანტო, პრაქტიკაში ცნობილია კონტროლის სხვადასხვა სისტემა, მაგრამ ყველა ისინი ერთ მოთხოვნას პასუხობენ - კონტროლი ხორციელდება ავტონომიური სტრუქტურების მხრიდან, თუნდაც ზოგჯერ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დაკავშირებულს, მაგრამ დამოუკიდებელს აღმასრულებელ ხელისუფლებას იმ ორგანოებიდან, რომლებიც კონტრდაზვერვის სამსახურის ყოველდღიურ მმართველობას ახორციელებენ.

გარდა ამისა, კონტროლის მექანიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ მასში გათვალისწინებულია საპარლამენტო ოპოზიციის აუცილებელი მონაწილეობა.

განიხილოთ მონაწილეობის ეს ფორმადანერგულები. გერმანიაში ოპოზიციის წარმომადგენლები მონაწილეობენ სპეცსამსახურის გაერთიანების ძირითად მაკონტროლებელ ორგანოს შემადგენლობაში - პარლამენტის მაკონტროლებელ კომისიაში. მიუხედავად იმისა, რომ სპეცსამსახურის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლის შესახებ გერმანიის კანონში ასეთი მონაწილეობა არ არის გათვალისწინებული, მის სამართლებრივ საფუძვლად მიჩნეულია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და პრაქტიკა საპარლამენტო უმცირესობის უფლებების დაცვის შესახებ, რომლის თანახმადც, საპარლამენტო ორგანოების შემადგენლობის ჩამოყალიბებასთან ცალმხრივი მიდგომა განიხილება როგორც უფლებამოსილების ბრალდებულ გამოყენება. პარლამენტის მაკონტროლებელი კომისიის წევრები ირჩევიან ბუნდესტაგის დეპუტატთა შიგნით უმრავლესობით, ხოლო მის შემადგენლობაში შედიან ქმ/ქს 3 წარმომადგენელი, 2 თავისუფალ დემოკრატთა პარტიიდან (სამთავრობო კოალიცია) და 3 სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან ანუ ოპოზიციისაგან (1990 წლის მონაცემები).

სპეცსამსახურების მაკონტროლებელ ორგანოებში ოპოზიციის მონაწილეობის ორიგინალური სისტემა ჩამოყალიბდა ანგლოსაქსონური

პოლიტიკური კულტურის ქვეყნებში.

ამ ჯგუფის ქვეყნებში ყველაზე მეტად ოპოზიციის ინტერესები კონტროლის მექანიზმში მონაწილეობა დატულია ავსტრალიაში მიღებულ კანონში.

1979 წელს მიღებული „ავსტრალიის უშიშროებისა და ავსტრალიის ორგანიზაციის“ კანონის (ASIO ACT) 1987 წლის შესწორებების თანახმად, ამ კონტრსადაზვერვო სამსახურის მაკონტროლებელ ორგანოდ მიჩნეულია გაერთიანებული საპარლამენტო კომიტეტი (JOINT PARLAMENTARY COMMITTEE). კომიტეტი მუშაობს 7 დეპუტატის შემადგენლობით ორივე პალატიდან (სამი სენატორი და ოთხი წარმომადგენლობითი პალატის წევრი). კომიტეტის წევრები მტკიცებენ წარმომადგენლობითი პალატის მიერ პრემიერ-მინისტრის ნაარდგებით, რომელიც ამ შემთხვევაში გამოდის როგორც სამთავრობო პარტიის ანუ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი. კომიტეტის წევრების სენატში დამტკიცებისას მათი ნარდგენა აგრეთვე სამთავრობო პარტიის ლიდერის მიერ ხდება, საპარლამენტო პროცედურის მოითხოვს კომიტეტის წევრთა კანდიდატურების მათ წარმომადგენლებთან და პარლამენტის ორივე პალატის ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან შეთანხმებას. ამასთან, თავისი პარტიული შემადგენლობით კომიტეტი უნდა ასახავდეს პარტიების შეფარდებას პარლამენტში ანუ შეიცავდეს „ალიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებს.

1986 წელს მიღებული კანონის თანახმად ავსტრალიის სპეცსამსახურების გაერთიანების მაკონტროლებელი ფუნქციების განხორციელებელი გენერალური ინსპექტორის დანიშვნა ხდება პრემიერ-მინისტრის აუცილებელი კონსულტაციების შემდეგ წარმომადგენლობითი პალატის ოპოზიციის ლიდერთან („დაზვერვისა და უშიშროების“ გენერალური ინსპექტორის შესახებ“ კანონის VII მუხლი (1-4) 1986 წ.). გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრი ვალდებულია გააცნოს ოპოზიციის ლიდერს გენერალური ინსპექტორის ყოველწლიური მოხსენების მთლიანი ტექსტი თავისი საქმიანობის შესახებ. მანამდე ეს მოხსენება განისახილავდა უმცირესობის, რომლებიც გაკეთებულია „უშიშროების თვალსაზრისით“, გადაეცემა პარლამენტს განსახილველად. მაგრამ საკულისხმოდ, რომ, კანონის თანახმად, ოპოზიციის ლიდერი ვალდებულია განიხილოს როგორც საიდუმლო დოკუმენტის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც არ შეეცა პარლამენტისათვის ნარდგენილ ტექსტში (მუხლი 35).

უშიშროებისა და ავსტრალიის სამსახურის საქმიანობის ზედამხედველი კომიტეტი (SECURITY INTELLIGENCE REVIEW COMMITTEE - SIRC), 1984 წლის კანადის კანონით, ყალიბდება არასაპარლამენტო გზით, უმეტეს წილად „საიდუმლო საბჭოს“ წევრებისაგან. მაგრამ დანიშნები ხდება გუბერნატორის მიერ, პრემიერ-მინისტრის ნარდგენით, თუმცა პალატის ოპოზიციის ლიდერ-

თან და ყველა სხვა პარტიების ლიდერებთან, რომლებსაც შავი თეთა პალატაში არანაკლებ 12 წარმომადგენელი, კონსულტაციების შემდეგ (CSIS ACT 1984, 34-1).

იტალიაში 1977 წელს მიღებული №801 კანონის მიხედვით სადაზვერვო საქმიანობის საპარლამენტო კომიტეტი ახორციელებს მთელი სპეცსამსახურების გაერთიანების მაკონტროლებელ ფუნქციებს კონტრდაზვერვის - დემოკრატიის ინფორმაციისა და უშიშროების სამსახურის (SISDE) ჩათვლით. კომიტეტი შედგება 8 დეპუტატისაგან და მისი ჩამოყალიბების პრინციპი უზრუნველყოფს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მონაწილეობას ამ კომიტეტში, რადგანაც ისინი გამოიყოფიან ორივე პალატის საკრებოების მიერ პარლამენტის ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქციებიდან (მუხლი 11). როგორც ცნობილია, იტალიის პარლამენტში, ოპოზიციური პარტიების ფრაქციები ყოველთვის იყენებ ყველაზე მრავალრიცხოვანთა შორის.

საპარლამენტო კონტროლის მექანიზმის უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვევლინება მაკონტროლებელი სამსახურის მუშაობის საჯაროობის მოთხოვნილებებსა და საიდუმლოების დაცვის მოთხოვნილებებს შორის განიხილვადი მიდგომა.

იმ ქვეყნების კანონმდებლობაში, სადაც არსებობს საპარლამენტო კონტროლი, გათვალისწინებულია საჯაროობის შეზღუდვები, რომლებიც გათვლილია ისე, რომ საპარლამენტო კონტროლის ეფექტურობა არ მიიღწეოდეს სპეცსამსახურის მუშაობის კონსპირაციულობის დონის დანევის ხარჯზე. სპეცსამსახურების საიდუმლოებებთან პარლამენტარების ყველაზე „დოზირებული მიდგომის“ პროცედურის შემუშავებულია გერმანიის კანონმდებლობაში.

სპეცსამსახურების საქმიანობის საპარლამენტო კონტროლის შესახებ კანონი ავალდებულებს მთავრობას მიაწოდოს პარლამენტის საკონტროლო კომისიის ინფორმაცია ამ სამსახურების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, აგრეთვე ატვირთებს ინფორმაციას „განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენების“ შესახებ სახელმწიფო უშიშროების სფეროში ამ კომისიის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთანავე, მთავრობას მიეცემა აქვს უფლება არ წარადგინოს ინფორმაცია, თუ ეს ნაკარნახევი „განსაკუთრებული მიზეზებით, რომლებიც დაკავშირებული არიან სპეციალურ მონაცემებთან და შეეცა“ (პარაგრაფი 2/2). სხვა სიტყვებით, ინიციატივა იმ საკითხის გადწყვეტაში, რა მონაცემები გადაეცეს პარლამენტს გამოსაყვესნებლად, მიიჭებული აქვს მთავრობას, თუმცა იგი გარკვეულ ფარგლებშია ჩაყენებული, როგორც ვალდებულია დაასაბუთოს თავის გადაწყვეტილება კომისიის წინაშე.

ასეთ საკითხებში მთავრობის დამოუკიდებლობის შეზღუდვისას იტალიაში კანონი უფრო შორს მიდის. დაზვერვის საკითხების

გაერთიანებული საპარლამენტო კომიტეტის შესახებ კანონის თანახმად, ამ კომიტეტს, რომელსაც აკისრია მთელი სპეცსამსახურების გაერთიანების მაკონტროლებელი ფუნქციები, უფლება აქვს მოსთხოვოს მთავრობას ინფორმაცია, იმ არსებით საკითხების შესახებ, რომლებიც ეხებიან სპეციალური სამსახურების საქმიანობასა და სტრუქტურებს და მინარეხის თავისი რეკომენდაციები და შენიშვნები" (1977 წლის №801 კანონი, მუხლი 11). ამავე დროს პრემიერ-მინისტრს მინიჭებული აქვს უფლება თავი შეიკავოს ინფორმაციის მიწოდებისაგან, საიდან უნდა დაიცვას მოსაზრებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში თუ „კომიტეტის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩათვლის, რომ მოსაზრება საიდუმლოების დაცვის შესახებ მოკლებულია საფუძველს, კომიტეტი უფლებამოსილია მიმართოს პარლამენტის ორივე პალატას თხოვნით გამოიტანოს პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ" (იქვე).

დანიასა და ნიდერლანდებში სპეცსამსახურების გაერთიანების მაკონტროლებელი საპარლამენტო კომიტეტები მთავრობისაგან იღებენ ინფორმაციას სპეცსამსახურების საქმიანობის შესახებ და უფლება აქვთ განიხილონ ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები, მაგრამ ყველა ასეთ საკითხთან დაკავშირებული სხდომა დაზარულია და აქ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც პარლამენტს წარედგინებიან, არ ექვემდებარებიან საჯარო განხილვას.

საერთოდ ყველა აღნიშნულ ქვეყანაში საპარლამენტო მაკონტროლებელი კომისიების წევრები იღებენ ვალდებულებას არ გააშვილონ ის მონაცემები, რომლებიც ხდებიან მათთვის ცნობილი სპეცსამსახურების საქმიანობის შესწავლისას. გარდა ამისა, ამ ორგანოების სხდომები აუცილებელ დაზარებას ექვემდებარებიან და იმართებიან როგორც კონფიდენციალური სხდომები, ხოლო ნიდერლანდებში კი, როგორც საიდუმლო სხდომები.

ამრიგად, კანონი აღიარებს სპეცსამსახურების საქმიანობაში მაღალი დონის კონსპირაციულობისა და საიდუმლოების დაცვის აუცილებლობას და, საპარლამენტო მაკონტროლირებადი მექანიზმის პარალელურად, ფაქტიურად ქმნის საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმს და, ამასთანავე, ითვალისწინებს იმას, რომ პარლამენტის მაკონტროლებელმა პროცესმა სპეცსამსახურების ინტერესებს არ უნდა მიაყენოს ზიანი.

დიდი ხნის დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებში ვარგად ესმით სპეცსამსახურების ბიუჯეტზე საპარლამენტო კონტროლის უზრუნველყოფის მნიშვნელობა. მაგალითისათვის შეიძლება ლონდონის გაზეთი „თაიმსი“-ს 1993 წლის 27 მაისის ნომრის ციტირება მოვახდინოთ, „კონტროლის სისტემაში პრობლემა ადგილი ეკუთვნის უშიშროების სამსახურისა და დაზვერვის

ბიუჯეტის კონტროლს, რადგანაც ეს საპარლამენტო კომიტეტს, რომელიც ახორციელებს კონტროლს, ანიჭებს მნიშვნელოვან ძალაუფლებას“.

გერმანიაში ფედერალური ბიუჯეტის შესახებ დებულების თანახმად განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავებისა და დამტკიცების წესი, რომლის თანახმად სპეცსამსახურების, მათ შორის კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყების (კონსტრუქციები) ბიუჯეტების საკითხი განიხილება „სანდო პირების“ განსაკუთრებულ ქვეკომიტეტში, რომელიც ასრულებს ბუღალტერულ საბიუჯეტო კომისიის ფუნქციებს სპეცსამსახურებთან მიმართებაში. ეს ქვეკომიტეტი ყველა სპეცსამსახურიდან იღებს მათი წლიური ბიუჯეტის პროექტებს, საბიუჯეტო სახსრების გასაღებისა და აუცილებელი მიზნობრივი გამოყენების სტატიების მითითებით. რაიმე დამაზუსტებელი დეტალებისგან თავისუფალი სპეცსამსახურებისათვის აუცილებელი სახსრების ზოგადი მონაცემები განიხილება და მოწონების შემდეგ ქვეკომიტეტის მიერ გადაეცემა ბუღალტერულ საბიუჯეტო კომისიას, რომელიც მოცემულ თანხას რთავს ბიუჯეტის პროექტში და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.

სპეცსამსახურები თავიანთი ბიუჯეტის პროექტს შესთანხმებლად წარუდგენენ, აგრეთვე, პარლამენტის მაკონტროლებელ კომისიას. ეს ხდება იმისათვის, რომ პარლამენტის მაკონტროლებელი კომისიის წევრები ვალდებული არიან ბიუჯეტის მონაცემების მიხედვით სპეცსამსახურების საქმიანობას მისცენ ყოველწლიური „პოლიტიკური შეფასება“. ბიუჯეტის პროექტის განხილვის შემდეგ პარლამენტის მაკონტროლებელი კომისია იღებს შესაბამის რეზოლუციას და გადასცემს მას სპეცსამსახურების ბიუჯეტების საკითხთა „სანდო პირების“ განსაკუთრებულ ქვეკომიტეტს განსახილველად.

აშკარაა, რომ სპეცსამსახურების ისეთ შინაარსობრივ და ღრმა საპარლამენტო კონტროლის მოუხდავად, როგორც გერმანიაში ხორციელდება, ყურადღება ეთმობა სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ჯგუფთან დონეს და სპეცსამსახურების ინტერესების გათვალისწინების, კერძოდ, მათი ბიუჯეტის საპარლამენტო კონტროლის გავლისას.

სპეცსამსახურების ბიუჯეტების საპარლამენტო კონტროლის როლი, რა თქმა უნდა, შეუდარებლად დაბალია იმ ქვეყნებში, სადაც საპარლამენტო მაკონტროლებელი ორგანოები არ არსებობენ.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, პარლამენტი მხოლოდ ამტკიცებს სპეცსამსახურების გაერთიანების საერთო ხარჯებს (რომლებიც ცნობილი არიან, როგორც „სპეცსამსახურების ასიგნება“- SECRET SERVICE VOTE). არ არსებობს სპეცსამსახურების ბიუჯეტების პროექტების საპარლამენტო განხილვის წინასწარი პროცედურა,

ხოლო სპეცსამსახურების ბიუჯეტების პარლამენტში დამტკიცებისას „ტრადიციული“ დებულებები არ იმართება. პრემიერ-მინისტრი, რეაგირებს რა პარლამენტთან ამ შემთხვევისათვის იშვიათ შეკითხვებზე, იმომენტს სპეცსამსახურების ბიუჯეტების დეტალზეში თავის „გაუცნობელობას“ ან საერთოდ „უკომენტაროდ“ ტოვებს მათ. პარლამენტის თქმით პალატის სახელმწიფო საჭიროებათა სახსრების მაკონტროლებელი კომიტეტი (PUBLIC ACCOUNTS COMMITTEE) იღებს სპეცსამსახურების ბიუჯეტების გამოყენების ყოველწლიურ ანგარიშს. მთავარ საფინანსო რეკორდს არ გააჩნია სპეცსამსახურების საფინანსო ანგარიშების შემომწმების უფლებამოსილებები. ბიუჯეტის შემუშავებისა და მისი შესრულების კონტროლის უფლებამოსილება დაკისრებული აქვს მინისტრთა კაბინეტის კანცელარიასა და სამთავრობო სადაზვერვო კომიტეტს ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს.

ბიუჯეტის საპარლამენტო ანგარიშში (SUPPLY ESTIMATES), რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება, სპეცსამსახურების ასიგნებათა თანხები (SECRET SERVICE VOTE) ნაჩვენებია „სხვა სახელმწიფო სამსახურები: საიდუმლო სამსახური (კაბინეტის კანცელარია)“ განყოფილებაში (OTHER PUBLIC SERVICES: SECRET CABINET /CABINET OFFICE/). მინისტრთა კაბინეტის კანცელარიაში მინიშნება, აღბრუნება მისი პასუხისმგებლობას ბიუჯეტის ამტკიცების შესრულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტს ზღუდავი მიუხედავად სპეცსამსახურების ფინანსური დოკუმენტებზე, მას დარჩენილი აქვს „საბიუჯეტო კონტროლის“ საფუძვლიანობა „უზრუნველყოფის“ მიღებული ნების შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრი სახელმწიფო საჭიროებათა სახსრების მაკონტროლებელ კომიტეტს წარუდგენს „მოცემული სამსახურის ინტერესებში ბიუჯეტის მიერ ასიგნებული თანხების ჯგუფიდან გამოკლების“ დამადასტურებელ სერტიფიკატს. ამასთან, კომიტეტმა თავის დროზე მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „ასეთი სერტიფიკატი პასუხობს ყველა იმ კონკრეტულ საპარლამენტო მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს სამსახურის“ ხასიათს, რომლის საჭიროებისთვისაც გაკვეთილია აღნიშნული თანხების გაცემა“ (THE MODERN LAW REVIEW VOL.52, NOV.1989 P.815).

კონსტრუქციის სახელსაზღვრის
საპარლამენტო კონტროლის
მნიშვნელობისა და კონტროლის
მნიშვნელობისა

დიდ ბრიტანეთში და სხვა ქვეყნებში, სადაც სპეცსამსახურების საქმიანობის საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები არ არსებობს, ასეთი საკონტროლო ფუნქციები ხორციელდება

აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ.

რა თქმა უნდა, ყურადღებას იმ ფაქტი, რომ ანგლო-საქსონური პოლიტიკური კულტურის ქვეყნებში - დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ახალ ზელანდიაში, სადაც გვხვდება სპეცსამსახურების საქმიანობის გარკვეული სამართლებრივი ბაზა, მაგრამ არ არსებობს საპარლამენტო მაკონტროლებელი ორგანოები, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ პარლამენტი დარჩენილია მაკონტროლებელი ფუნქციების გარეშე. ამ ქვეყნებში პრემიერ-მინისტრი და სპეცსამსახურების კურატორი მინისტრი ანგარიშვალდებული არიან პარლამენტის წინაშე. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ პარლამენტს შეუძლია მოითხოვოს ამ პირების ანგარიში სპეცსამსახურების საქმიანობის ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის შესახებ.

გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა იმ მკაცრი კანონების შესუსტება, რომლებიც მინიშნავდა დაჰყავდათ უშიშროების პრობლემების განხილვა პარლამენტში. თუმცა პალატის მდივნის 1986 წლის განმარტების თანახმად, „ზოგადი წესის შესაბამისად, პრაქტიკაში ნებადართულია დაიხილოს ისეთი კითხვები, რომლებიც ეხებიან უშიშროებისა და სადაზვერვო სამსახურების საქმიანობას, თუ ისინი მოითხოვენ ამ სამსახურებში მომუშავე პირების ან მათ მიერ წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის გახსნას“ (THE MODERN LAW REVIEW VOL.52, NOV.1989 P.815).

ბოლო წლებში ინგლისის პარლამენტის რიგი კომიტეტისა განიხილავდა უშიშროების სამსახურის უფლებამოსილებების ზოგადი საკითხის, თუმცა მიწა სამსახურის საქმიანობა მისი არსებობის მთლიანი ისტორიის მანძილზე პარლამენტს არც ერთხელ არ განუხილავს.

მაგალითად, 1979-80 წლებში თქმით პალატის თავდაცვის კომიტეტი სწავლობდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოების დარღვევის საკითხებს, კერძოდ, კრიტიკულად გააანალიზა ე.წ. „დიო-შეტიკობინიზმის“ (D-NOTE SYSTEM) სისტემის ქმედითულობა, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დაყვანილი საკითხების ნუსხა, რომელთა განხილვა პრესაში საიდუმლოების დაცვის მოსაზრებით არასაშერეოდა.

1982-83 წლებში იგივე კომიტეტი საიდუმლოების დაცვის თვალსაზრისით განიხილავდა ფოლკლენდის ომის გაშუქებას პრესაში და თავდაცვის სამინისტროს აპარატში და შეიარაღებულ ძალებში სპეც შემომწმების დახვეწის საკითხს.

თქმით პალატაში დასაქმების კომიტეტი 1983-84 წლებში განიხილავდა საკითხს სამთავრობო კავშირების (ელექტრონული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანო) შტაბ-ბინაში პროფკავშირული საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას საკითხს, ხოლო 1984-1985 წლებში განიხილავდა

პოლიტრაფიის („სიმატოლის დეტექტორი“) გამოყენების მიზანშეწონილობა სახელმწიფო მოხელეთა შემწეობისას.

აუცილებელია გავერკვეთ დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო უწყებების სტრუქტურაში უშიშროების სამსახურის (მი-5) სამართლებრივი ადგილმდებარეობის თავისებურებებში, რომელიც გამოყოფენ მას სამთავრობო დანესებულებების საერთო რიგებიდან.

თუმცა კანონი ავალდებულებს შინაგან საქმეთა მინისტრს პასუხი აგოს უშიშროების სამსახურის საქმიანობაზე, ფაქტურად, ეს სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან დამოუკიდებლად მოქმედებს და არ შედის მის სტრუქტურაში.

სამსახურის გენერალური დირექტორი არ არის მინისტრთა კაბინეტის წევრი, მაგრამ როგორც სხვა მინისტრებს, მას აქვს პრემიერ-მინისტრთან პირდაპირი შესვლის უფლება. 1952 წლამდე პრემიერ-მინისტრი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ სამსახურს, თუმცა იგი დღესაც ეროვნული უშიშროების საკითხებში გადამწყვეტ როლს თამაშობს, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი დღესაც უშიშროების სამსახურის მართვაში იგივე აპლუგადაა. უკანასკნელ წლებში პრემიერის ასეთი მდგომარეობა გამყარდა. შემოღებულია დაზვერვისა და უშიშროების კოორდინატორის პოსტი (CO-ORDINATOR OF INTELLIGENCE AND SECURITY), რომელიც, ფაქტურად, მთავარი გახდა დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების გაერთიანებაში და რომელიც პრემიერ-მინისტრის წინაშეა პასუხისმგებელი გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრი არის მინისტრთა კაბინეტის დონის დაზვერვის სამსახურებო კომიტეტის (MINISTERIAL COMMITTEE ON INTELLIGENCE) თავმჯდომარეც, რომლის ფუნქციებში შედის სპეცსამსახურების გაერთიანების ბიუჯეტის შემუშავება და მისი შესრულების კონტროლი. სპეცსამსახურების საქმიანობაში პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელ როლზე მოუთხოვნიეს ისიც, რომ, როგორც წესი, იგი პასუხობს პარლამენტში დასმულ კითხვებს ამ თემებზე და გამოდის სამთავრობო განცხადებებით უშიშროების პრობლემის შესახებ პარლამენტში. პრემიერ-მინისტრი, და არა შინაგან საქმეთა მინისტრი იღებს პასუხისმგებლობას მი-5 საქმიანობაზე, როცა საქმე ეხება რაიმე დარღვევას ან სკანდალს.

სპეცსამსახურების გაერთიანების მართვაში პრემიერის ეს განსაკუთრებული. ხელმძღვანელი როლი არ არის დაუფენებული 1989 წლის კანონზე. ამ კანონით პრემიერს ევალება რწმუნებული დანიშნა (მუხლი 4-1) და სამსახურის გენერალური დირექტორის (მუხლი 2-4) და რწმუნებულის (მუხლი 4-6) ყოველწლიური ანგარიშების მოხსენა.

ფაქტურად მი-5-ის საერთო ხელმძღვანელობა ხორციელდება მინისტრთა კაბინეტის დონეზე, უშუალოდ პრემიერის დაქვემდებარებული კაბინეტის სტრუქტურებით.

გარდა ამისა, 1992 წლის მაისში მთავრობამ პარლამენტში გამოაცხადა კანცელარიის ფარგლებში სადაზვერვო სამსახურების კომიტეტის (CABINET OFFICE COMMITTEE ON INTELLIGENCE SERVICES - IS) არსებობის შესახებ, რომლის თავმჯდომარე აგრეთვე პრემიერ-მინისტრია (GUARDIAN, 1993 may 16, SUNDAY TIMES, 1993 may 2). კომიტეტის შემადგენლობაში შედიან შინაგან საქმეთა, თავდაცვა, თავდაცვის მინისტრები, აგრეთვე საზოგადოებრივი სამსახურების და მეცნიერების სამინისტროს გენერალური მდივანი, რომელიც პრემიერ-მინისტრის მიუხეობის კაბინეტში პასუხს აგებდა „ლია მთავრობის“ პოლიტიკაზე, კერძოდ, ამზადებდა პარლამენტისათვის წარსადგენად კანონპროექტებს მი-6 (დაზვერვა) და სხვა სპეცსამსახურების საპარლამენტო კონტროლის შესახებ. კომიტეტის ამოცანაა „თავის კონტროლს დაუქვემდებაროს უშიშროების სამსახურისა და დაზვერვის საქმიანობის კენ მიმართული პოლიტიკა“.

როგორც აღვნიშნეთ, კონტრსადაზვერვო სამსახურების სამართლებრივი საფუძვლები ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრის გაავრცელებაში, რომელიც შიშობდა ამ სამსახურების მხრიდან არ მომხდარიყო მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა; იგი აგრეთვე ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებების ევროპის საბჭოს სასამართლოს გადაწყვეტილებების გაავრცელებაში, რომლებიც ითხოვდნენ დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული გარკვეული სამართლებრივი სტანდარტის განხორციელებას, რომლის ერთ-ერთ ელემენტად მიჩნეულია სპეცსამსახურების საქმიანობის კანონის ფარგლებში ჩასმა.

დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის სამსახურის სამართლებრივი საფუძველი აღნიშნული მოთხოვნების თვალსაზრისით არ არის სრულყოფილი და, კრიტიკოსთა აზრით, ვერ იცავს სპეცსამსახურის არასამართლებრივად გამოყენების საშიშროებას.

წინააღმდეგობებს და ეჭვებს იწვევს მი-5-ის შესახებ კანონის პირველი მუხლი, რომელიც ეძღვნება „საგარეო სამსახურებს“ და ლარაკობს იმ მოქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომლებიც „მიმართულია საპარლამენტო დემოკრატიის დამხობის ან ძირის გამოთხრისაკენ პოლიტიკური, ეკონომიკური საშუალებებით და ძალადობის გზით“. ითვლება, რომ თითოეულ ცნებაში „ძირგამოთხრელი საქმიანობა“ („SABOTAGE“), „ACTIONS, INTEND TO UNDER - MINE“), როგორც იგი მიღებულია კანონში (მუხლი 1-2) თავისი შინაარსით წარმოადგენს გაურკვევლობის საგანს და ლია საუბიექტური მოსაზრებებისათვის.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებში, და მი-5-ში, მეტარჯვენე, კონსერვატიული მოსაზრებები სჭარბობს. თვითონ ფუნქციონირა ფორმული რეგამიჩადებული კანონის ისეთი განმარტების

საშუალება, რომლებიც უშვებენ ოპერატიული ღონისძიებების განხორციელებას პოლიტიკური ოპოზიციონერებისა და დისიდენტების კანონით გარანტირებული წორმალური პოლიტიკური მოღვაწეობის წინააღმდეგ.

ეჭვები იწვევს აგრეთვე ტერმინის „ეკონომიკური საშუალებები“ (INDUSTRIAL MEANS) განმარტება, როგორც „ძირგამოთხრელი საქმიანობის“ შემაღდგენელი ნაწილისა, რომლის წინააღმდეგაც სპეცსამსახურებია მოწოდებული. ეს ტერმინიც ასევე ღიაა ზედმეტად ფართო განმარტებისათვის, რომელიც სამსახური შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროფკავშირებისა და გაოცვების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი თუ ისინი მიმართული არიან მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ ან თუ ისინი იმართებიან სამთავრობო დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოებში.

„საპარლამენტო დემოკრატიის“ ცნებაც კი, გამოყენებული სამსახურის ფუნქციების განსაზღვრისას, არ არის ზუსტი და ერთმნიშვნელოვანი. ბეკონისათვის, მათ შორის მი-5-სა და შინაგან საქმეთა სამინისტროში, „საპარლამენტო დემოკრატია“ აღნიშნავს ქვეშევრდომთათვის მიღწეულ მოხალისეობა საერთო ეროვნულ არჩევნებში თავდენიშე წელიწადში ერთხელ და მათი მოქალაქეობა უსიტყვოდ დემოკრატიულ მათ, ვინც აირჩიეს მთელი დარჩენილი დროის განმავლობაში“ (THE MODERN LAW REVIEW VOL.52 NOV.1989. P 806-807). ასეთი განმარტებით, სწავლითაში არასაპარლამენტო საქმიანობა მიმართული მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, მასობრივი გამაჰიების და დემონსტრაციები შეიძლება მიკუთვნებულ იქნეს „ძირგამოთხრელი საქმიანობის“ ერთ-ერთ სახეობად.

კანონში კონტრსადაზვერვო სამსახურის მი-5-ის შესახებ, რომელიც არის მისი საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი, სამსახურის ფუნქციების განსაზღვრისას (მუხლი 1) იქმნება ტერმინოლოგიური გაურკვევლობა, რაც, სპეციალისტთა აზრით, იძლევა სამსახურის მთავრობის მიერ გაუმართლებელი გამოყენების შესაძლებლობას პოლიტიკური მიზნებისათვის. ამ შესაძლებლობას არ ამცირებს კანონის მე-2 მუხლის დებულება, რომელიც სამსახურის გენერალურ დირექტორს ავალდებულებს წინ აღუდგას სპეცსამსახურის რომელიმე პოლიტიკური პარტიის ინტერესებისათვის გამოყენებას.

„ჩვენ შორის ვართ იმ აზრისაგან, რომ კაცტოციოტ მოსაზრება იმას შესახებ, რომ კანონის სწორი ფორმირებები ქცეადაღუ აუცილებლად მიგვიყვანენ თავისუფალი საზოგადოების დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემის სასახურის შექმნაზე, მაგრამ კანონში ჯეროვნად ჩამოყალიბებული სამსახურის ფუნქციება და მიზნებს შეუღლია მის წილად შექმნას კონსერვატიული სულისკეთება და პირდაპირი

ზეგავლენა მოახდინოს იმაზე, თუ რა სახის ხალხი გამოეხმარება ამ მიზნებს და მოვა სამსახურში სამუშაოდ“ (იქვე, გვ. 809).

კონტრსადაზვერვო სამსახურის ფუნქციების უფრო მკაცრი და ზუსტი განსაზღვრება 1984 წლის კანონში „კანადის უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურის შესახებ“, რომელშიც არ გამოყენება ცნება „ძირგამოთხრელი საქმიანობა“ და ლარაკია იმაზე, რომ სამსახურის ფუნქციები შედის ისეთი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც „დაკავშირებულია საიდუმლო მეთოდების გამოყენებით პოლიტიკურ ძალდატანებასთან“.

1979 წლის ავსტრალიის კონტრსადაზვერვო სამსახურის (AUSTRALIAN SECURITY INTELLIGENCE ORGANIZATION - ASIO) სტატუსის განმარტებული კანონის, 1984 წლის შესწორებაში მცნება „ძირგამოთხრელი საქმიანობა“ სამსახურის ფუნქციების განსაზღვრისას შეცვლილია ცნებით „პოლიტიკურად მოტივირებული ძალდატანება“.

დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობით კონტრსადაზვერვო სამსახურის სამართლებრივ საფუძველში არ შედის აღმასრულებელი რეგრესიულ-პოლიტიკური ფუნქციები. უფლებამოსილების განსაზღვრის ასეთი პრინციპი დებს სამართლებრივი გარანტიების ძიების პროცესში, რომელიც მიმართულია პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ამ სამსახურების რეგრესიულ ორგანოებად გადაქცევის წინააღმდეგ.

ამიტომაც, იმ სახელმწიფოების კონტრსადაზვერვო სამსახურები, სადაც მიღებულია კანონები მათი სტატუსის შესახებ, მიკუთვნებული არიან „სადაზვერვო გაერთიანებებთან“, ანუ ისეთი სამსახურების გაერთიანებებთან, რომელიც ფუნქციონირებს სპეციალური მეთოდებით მოპოვება. ამიტომაც არ არიან მიკუთვნებული სამართალდამცვე ორგანოებთან, რომელთა ფუნქციებში შედის კანონის შესრულების უზრუნველყოფა ფართო გაგებით. „შინაგანი დაზვერვის“ (DOMESTIC INTELLIGENCE) ფუნქციები, ანუ ინფორმაციის სასამართლომდელი შეგროვება, რაც ოპერატიული „დამუშავების“ ან ოპერატიული „გამოძიების“ არის შეადგენს და კანონის დარღვევთა წინააღმდეგ რეგრესიების გამოყენების ფუნქციები (მათ შორის ამატაქცეობა) ამ ქვეყნებში გაყოფილია.

ფუნქციების ასეთი გაყოფა ითვალისწინებს კონტრსადაზვერვო ორგანოებისა და პოლიციის მჭიდრო თანამშრომლობისა და კონტაქტის ყოველდღიურ აუცილებლობას. პოლიცია ამ შემთხვევაში თამაშობს იმ ინსტრუმენტის როლს, რომლის მეშვეობით კონტრსადაზვერვა რეალიზებას უკეთებს შეგროვილ ინფორმაციას და კანონიერი საპოლიციო მოქმედებებით დაკითხვებით, ჩხრეკებით და ა.შ. ქმნის მტკიცებულებების პაკეტს, რომელიც შეიძლება სასამართლოს მიერ იქნეს მიღებული.

თუ კონტრსადაზვერვო ორგანოების

საქმიანობის საპარლამენტო კონტროლის გააჩნია ფართო უფლებამოსილება, რომელიც ვრცელდება ამ საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტზე, მაშინ კანონით დადგენილი სპეცსამსახურებისაგან უწყებრივად დამოუკიდებელი სპეციალური სასამართლოების სისტემა განიხილავს მხოლოდ კონკრეტული პირების საქმიანობას და აპელაციებს სპეცსამსახურების მიერ მათ მიმართ განხორციელებულ მოქმედებებს გამო.

კონტრასტაჟმენტი სამსახურების
სამართლებრივი ბაზის
სამართლებრივი ბაზის
კონტრასტაჟმენტი სამსახურების
სამართლებრივი ბაზის
სამართლებრივი ბაზის

სპეციალისტები აღნიშნავენ 1989 წლის მიწის შესახებ კანონში არსებულ სისუსტეებს და იურიდიულ სიცარიელეს, რომლებიც აქვეყნებენ კანონის მოქმედების ეფექტურობას პრაქტიკაში და ართულებენ კანონის დარღვევის კონტროლს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სპეცსამსახურების ფუნქციების გაგებაში ჩადებული გაურკვევლობა, გამომწვეული ზოგიერთი ძირითადი ტერმინის „ელასტიურობისაგან“, და რომლებიც ამ კანონის პირველ მუხლში გაგებული, ქმნის ქვეყნის უმაღლეს თანამდებობის პირთათვის პოლიტიკური მიზნებით მიწის გამოყენების არასამართლებრივ საფუძველს, რომლებსაც აქვთ კანონით მინიჭებული უფლება გასცენ სამსახურისათვის სახელმძღვანელო განკარგულება ანუ პრემიერ-მინისტრისათვის ან შინაგან საქმეთა მინისტრისათვის. მით უმეტეს, რომ სამსახურის გენერალური მდივნის უფლებები ამ შემთხვევაში კანონით არ არის გათვალისწინებული. სხვა სიტყვებით, თუ კანონი ესწრაფვის გარკვეულწილად დაიცვას საზოგადოება მიწის მხრიდან თავის უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან, იგი თითქმის მთლიანად იგნორირებას უკეთებს თვითონ სამსახურის დაცვის აუცილებლობას მისი ბოროტად გამოყენებისაგან სამსახურზე შეკავდენის მქონე პოლიტიკოსების მხრიდან.

სხვა ქვეყნების კანონმდებლობა ცდილობს გათვალისწინოს ეს აუცილებლობა მაგალითად, 1979 წლის კანონში ავსტრალიის უშიშროების სამსახურის შესახებ (ASIO ACT) გათვალისწინებულია გარკვეული გარანტიები იმ შემთხვევისათვის, თუ სპეცსამსახურის გენერალური დირექტორი იუსტიციის მინისტრისაგან (ATTORNEY GENERAL), რომლის დაქვემდებარებაშიც იგი მუშაობს, მიიღებს ისეთ განკარგულებას, რომელიც, მისი აზრით, სამსახურის ფუნქციებს არ პასუხობს. კანონის მე-8 მუხლი (4-6) ადგენს გენერალური დირექტორის უფლებას მოითხოვოს მისი ექვსი გამომწვევი განკარგულება გადაეცეს მას წერილობითი ფორმით, ამასთან, ერთი პირი ეგზავნება პრემიერ-მინისტრს ცნობისათვის,

ხოლო მეორე პირი გადაეცემა სპეცსამსახურების საქმიანობის მაკონტროლებელ გენერალურ ინსპექტორს. ასეთი სახით ირთება შტუკობინების მექანიზმი და უმაღლეს თანამდებობრივ პირებს აუცილებლობის შემთხვევაში აქვთ საშუალება საქმეში ჩაერთონ.

კანადის 1984 წლის კანონით უშიშროების და დაზვერვის სამსახურის შესახებ იუსტიციის მინისტრი (SOLICITOR GENERAL), რომელსაც ემორჩილება სპეცსამსახური, ვალდებულია, აგრეთვე, რთულ ვითარებაში გასცეს განკარგულება წერილობითი სახით. განკარგულების ერთი პირი მის მიერ ეგზავნება მაკონტროლებელ ორგანოს - უშიშროების და დაზვერვის სამსახურის საზედამხებელო კომიტეტს.

შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ავსტრალიის და კანადის კანონმდებლობა იძლევა უფრო სრულყოფილ გარანტიებს სპეცსამსახურების რომელიმე პოლიტიკური ძალის ინტერესებში არასამართლებრივად გამოყენების წინააღმდეგ.

სპეცსამსახურების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლის და კონტროლის მექანიზმის სრულყოფა - ეს არის დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრის დაუნიხლებელი მოთხოვნა, სადაც თვლიან, რომ „უშიშროების სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში უფრო თვალსაჩინო ადგილი უნდა მიეჩინოს დემოკრატიული უფლებების პატივისცემის გარანტიებს“ (THE MODERN LAW REVIEW VOL.52 NOV.1989. P.809).

სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა და ტექნიკური საშუალებების სწრაფმა განვითარებამ, რომლებსაც წარმატებით იყენებენ სპეცსამსახურები, უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო აუცილებელი გახდა ამ სამსახურების საქმიანობის კონტროლი ისეთი ფართო წარმომადგენლობითი ორგანოს მხრიდან, როგორიც პარლამენტია. „ხოლო წლების ტექნიკური გარდაქმნების ტემპმა დასცეს მთელი რიგი ურთულესი კითხვებისა, რომლებიც ეხება ადამიანის პირადი ცხოვრების ზღვარის და მისი ფელიკატური მხარეების დაცულობას მაღალი ტექნოლოგიების საშუალებებით მათში შეჭრის საშიშროების წინაშე. სპეცსამსახურები დაკავებული არიან ინფორმაციის საიდუმლო მეთოდებით მოგროვებით და თუ როგორ იქნება იგი გამოყენებული ჯეროვნად არავინ აკონტროლებს. მაგრამ სულ უფრო და უფრო ნატიფი და ყველგან შეღწევა ტექნიკური საშუალებების განვითარებით, შეიძლება მივიღეთ უდიდეს და მიუღებელ მოქალაქეობრივი უფლებების დარღვევამდე“ (GUARDIAN, 1993, may 29).

კონტრასტაჟმენტი სამსახურების საქმიანობის კონტროლის სამართლებრივი საფუძველი და მექანიზმები ძლიერი საზოგადოებრივი ზენონის შედეგად ჩამოყალიბდნენ, ძირითადად

შიდაპოლიტიკური პრობლემების გათვალისწინებით, და მოწოდებული არიან აჩვენონ სპეცსამსახურების დემოკრატიულ ღირებულებათა, მოქალაქეობრივი თავისუფლებების დაცვის საქმის და კონსტიტუციური წყობის ერთგულება, აპელაციების და საჩივრების სასტემა გათვალისწინებულია საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების დაცვაზე სპეცსამსახურების უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან და არის დაუსაბუთებელი ოპერატიული დამუშავებისა და სახელმწიფო საიდუმლოებებთან სამუშაოზე დაშვებაზე უსაყუძლო უარის თქმისათვის მნიშვნელოვანი დაბრკოლება.

გარდა ამისა, კონტრასტაჟმენტი სამსახურების ფუნქციების საკანონმდებლო განსაზღვრება და დამოუკიდებელი კონტროლი ქმნიან ოპერატიული მუშაობის დაცვის გარკვეულ სისტემას არ შეასრულონ უკანონო მოთხოვნები, კერძოდ, არ იქნენ გამოყენებული კონკრეტული პოლიტიკური ძალების ინტერესებში.

ამასთანავე, დაუშვებელია სპეცსამსახურების სამართლებრივი ბაზის, კანონმდებლობის ქმედითუნარიანობა გადაჭარბებულად შევადგასოთ. პრაქტიკაში ცნობილია მრავალი მაგალითი, როცა ეს სამსახურები საკუთარ ან უფრო ფართო პოლიტიკურ მიზნებს ისახავდნენ, მიდიოდნენ კანონით დადგენილი ნორმების შეგნებულ დარღვევებზე. ერთ-ერთი ამერიკელი სპეციალისტის თქმით, შესაბამისი კანონმდებლობის მიღების შემდეგაც კი „სპეცსამსახურები ინარჩუნებენ არა მარტო დემოკრატიის დაცვის პოტენციალს, არამედ მისი დანგრევის პოტენციალსაც“.

მთლიანობაში, აღსანიშნავია, რომ სპეცსამსახურების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლისა და კონტროლის მოქმედი მექანიზმის არსებობა აძლიერებს ქვეყანაში მოქალაქეობრივი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებს.

საინფორმაციო გვერდი

➤ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი კვლავ აგრძელებს სემინარულ მუშაობას ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაფინანსებით. გატყობინებთ, რომ ამა წლის 30 აპრილს „საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების“ ჯგუფის მუშაობის ფარგლებში ჩატარდა სემინარი შემდეგ თემებზე:

- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ფორმულირებასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხი
- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მიკლე მიმდინარე რუსეთში პროცესების ფონზე
- ქვეყნის უსაფრთხოების ინფორმაციული პრობლემები

➤ აქვე მინდა შეგატყობინოთ, რომ შემოდინიშნული პროექტის ფარგლებში „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკის“ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობით 30 მაისს ჩატარდა მორიგი სემინარი თემებზე:

- ეკონომიკურ რეფორმათა სტრატეგია და ბიუჯეტურ-ფულად-საკრედიტო პოლიტიკა პირველი სოციალისტურ ქვეყნებში
- სრულიყოფიანი სექტორის თავისებურებები გარდამავალი პერიოდის საქართველოს ეკონომიკაში
- საქართველოს ოფშორული ტერიტორიები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

ცენტრის მოხიზია და რეკომენდაციები „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკის“ სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ საკითხებზე შეჯერდა სემინარზე, ხოლო გამომქმედი წინადადებების საფუძველზე შემუშავებული მიმართვა დაეწესა კადასტრული მძღვებ პირებს. კერძოდ, ფინანსთა, ეკონომიკის, მრეწველობისა და ეჭრობის, შინაგან საქმეთა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროების, სახელმწიფო კანცელარიის, საბაჟო დეპარტამენტის, ეროვნული ბანკის, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის, საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურისა და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებს.

➤ გვსურს შეგატყობინოთ, რომ „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკის“ სამუშაო ჯგუფის №54 ბიულეტენის მოხსენებებზე სემინარული მუშაობისას შემუშავებულ რეკომენდაციებს, სამწახროდ, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მხრიდან არ მოაყლიდა რეაგირება.

➤ „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკის“ სამუშაო ჯგუფი აქტიურად მონაწილეობდა ბრიტანული ორგანიზაცია „ოქსფორდის“ ხელმეწივობით ჩატარებულ „საქართველოში ხიდარბობის დაძღვევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის“ განვითარების მონიტორინგის საინიციატივო ჯგუფის ღონისძიებებში.

➤ შემოსხენებული ჯგუფი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსებულ საქართველოს პრეზიდენტის №95 ბრძანებულების სამოქალაქო მონიტორინგის პროექტში. სამუშაო ჯგუფის წევრები ახორციელებენ ხსენებული ბრძანებულების მე-13 პუნქტის მონიტორინგს, რომლის შემადგენელი ნაწილებია: საველე მონიტორინგი და საშუალო მეწარმეთა გამოკითხვა.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

არასამთავრობო ორგანიზაცია — საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. მისი წევრები ცდილობენ შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების შემუშავებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრთან შექმნილია ექსპერტთა ქსელი. ექსპერტთა და ცენტრის თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით განისაზღვრება პრობლემები, რომლის ანალიზის შედეგად მზადდება შესაბამისი მოხსენება ან დოკუმენტი. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირების მიზნით დამუშავებული ინფორმაცია რეგულარულად გამოიცემა ბიულეტენების, ბროშურების, საინფორმაციო ფურცლებისა და ლიფლეტების სახით, რომელთა უმეტესი ნაწილი უფასოდ მიეწოდება სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო უწყებებს, პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სტრუქტურებს, მასმედიისა და მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებს. ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით თემატურ საჯარო განხილვებსა და სემინარებზე ვინცვეს შემოთხამოთვლილი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამგვარად, ცენტრი აქტიურად ცდილობს, გარკვეული გავლენა იქონიოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

საგულისხმოდ, რომ ცენტრის ძირითადი საქმიანობა მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისაკენ, რაც სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერაში გამოიხატება. ამ შრომის, ჩვენი საქმიანობა ვრცელდება ქ. თბილისისა, ოზურგეთისა და ლაგოდეხის რაიონებში. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ცდილობს სათემო ორგანიზაციების პოპულარიზაციას და აღნიშნული მოძრაობის განვითარების ხელშეწყობას.

ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები:

- საზოგადოება და დემოკრატია
- გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება
- საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება
- ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

1. კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
2. კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
3. საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციის შემუშავება;
4. ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
6. თვითმმართველობა საზოგადოების საშაზურში;
7. შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის საერთაშორისო კონფერენციის მომზადება, ქსელის საქმიანობის პოპულარიზაცია;
8. ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარება.

ცენტრის ღონიერი ორგანიზაციები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ჭიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის, შოლანდია.
3. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“.



ცენტრის მხარდაჭერები

* ცენტრის ინდივიდუალური „მხარდაჭერა“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ელექტრონულ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

* ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდაჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ელექტრონულ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. ღონისძიებების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიებების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

* ცალკეული ღონისძიებების სპონსორი კომპანია ღონისძიებების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი“ და მისი ღირსეული წარმოდგენილი იქნება ღონისძიებებზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდაჭერები:

❖ კომპანია ზენიტ გამა ქონსალტინგი (Zenith Gamma Consulting)

მხარდაჭერით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაფიქროთ ორგანიზაციის მისამართი.

ცენტრის საშვიანო დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.

ქობულისი 380094, გამსახურდიას ქ. №33, ბინა 22.

ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711

ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net

<http://www.csrdg.caucasus.net>

ინდივიდუალური მხარდაჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გაგზავნო ცენტრის მხარდაჭერა და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, _____

სამუშაო ადგილი _____

თანამდებობა _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

კომპანიის მხარდაჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდაჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

საკონტაქტო პირი _____

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

დაიგეგმა შ.პ.ს. „კომპიუტერი“
ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა №3